კოლინ ვარდი

ანარქიზმი

ძალიან მოკლე შესავალი

OXFORD

კოლინ ვარდი

ანარქიზმი

ძალიან მოკლე შესავალი

ანარქისტული ბიბლიოთეკა
2018

მთარგმნელი **ანა სუმბათაშვილი**

რედაქტორი **მარიამ Efie**

ანარქისტული ბიბლიოთეკის კოლექტივი მადლობას უხდის ამხანაგებს: სალომეს, ნიკას, ნინოს, რატის, ნაჯას და ყველას, ვინც ამ წიგნის გამოცემა გახადა შესაძლებელი.

ანარქისტული ბიბლიოთეკა

www.a-library.org

სარჩევი

1. ანარქიზმის განსაზღვრებები და წინამორბედები *7*
2. რევოლუციური მომენტები ანარქიზმის ისტორიაში *20*
3. სახელმწიფო, საზოგადოება და სოციალიზმის კრახი..... *32*
4. ნაციონალიზმის და ფუნდამენტალიზმის დეფლაცია..... *39*
5. სასჯელაღსრულების დაწესებულებები და შრომის
   განთავისუფლება *47*
6. თავისუფალი განათლება *56*
7. ინდივიდუალისტური პასუხი *66*
8. ჩუმი რევოლუციები *74*
9. ფედერალური დღის წესრიგი *82*
10. “მწვანე” მისწრაფებები და ანარქისტული მომავალი *93*
    გამოყენებული ლიტერატურა *101*
    რეკომენდებული ლიტერატურა *109*
    მთარგმნელის შენიშვნები *111*

ავტორის წინასიტყვაობა

ანარქიზმი - სოციალური და პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელიც მარცხით სავსე ისტორიის მიუხედავად, ყოველთვის განახლებული სახით აღმოცენდება, ამა თუ იმ ქვეყანაში. ამის წყალობით, ახალ ფურცელს ამატებს საკუთარ ქრონოლოგიას და სულ უფრო მეტად ფართოვდება მისი მოცულობა.

1962 წელს, ჯორჯ ვუდკოკმა დაწერა 470 გვერდიანი წიგნი - ''ანარქიზმი''. იგი პერმანენტულად იბეჭდებოდა, გამომცემლობა Penguin Book-ში და მრავალ ენაზეა თარგმნილი. ვუდკოკის ''ანარქიზმი'' ყველაზე პოპულარული კვლევაა, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ავტორი სიცოცხლის ბოლომდე, 1995 წლამდე, ამატებდა კომენტარებს.

1992 წელს, დაიბეჭდა პიტერ მარშალის 700 გვერდიანი წიგნი, სახელწოდებით - ''შეუძლებელის მოთხოვნა: ანარქიზმის ისტორია" (Demanding the Impossible: A History of Anarchism; გამომცემლობა Harper Collins), რომელიც სავარაუდოდ, დაეწევა და გაუსწრებს წინამორბედს გაყიდვების რაოდენობით. შესაბამისად, ვუდკოკი განთავისუფლდა საკუთარ ნაშრომში ცვლილებების შეტანისგან. ის წერდა: ''როდესაც მეკითხებიან, თუ როდის ვაპირებ ჩემი ''ანარქიზმის'' შევსებას, პასუხად შემიძლია ეს წიგნი მივუთითო. დანარჩენი მკითხველის მსგავსად, მეც მადლიერი ვარ პიტერ მარშალის, ანარქიის ისტორიის ნაკლებად შესწავლილი სფეროების კვლევისთვის და მრავალი იდეის რეზიუმირებისთვის''.

ათწლეულების განმავლობაში, ამა თუ იმ ფაქტის ან მოსაზრების ძიებისას, რჩევისთვის ყოველთვის მივმართავდი ნიკოლას ვალტერს, რომელიც სამწუხაროდ გარდაიცვალა 2000 წელს. ძალიან ვაფასებ მის მომცრო ბროშურას - ''ანარქიზმის შესახებ''. იგი მსოფლიო ანარქისტული ლიტერატურის საგანძურის ნაწილი გახდა. შეძენა შესაძლებელია ლონდონში, წიგნის მაღაზია - Freedom Press-ში. ჩემი ამოცანა კი გახლდათ, მოკლედ და მარტივად მომეწოდებინა თქვენთვის ანარქისტული იდეები და კიდევ ერთი, დამატებითი ნაშრომი შემომეთავაზებინა. მდიდარი და უზარმაზარი მოცულობის მქონე საკვლევ თემაში, აქცენტები ჩემი მოსაზრებით არის დასმული.

კოლინ ვარდი
2004 წლის თებერვალი

თავი 1
ანარქიზმის განსაზღვრებები და წინამორბედები

სიტყვა ''ანარქია'' მომდინარეობს ბერძნული Anarkhia-დან, რაც ნიშნავს ''ავტორიტეტის საწინააააღმდეგოს'' ან ''მმართველობის გარეშე'' ყოფნას. იგი დამაკნინებელი მნიშვნელობით გამოიყენებოდა 1840 წლამდე. იქამდე, ვიდრე პიერ-ჟოზეფ პრუდონი, საკუთარი პოლიტიკური და სოციალური იდეოლოგიის აღსაწერად არ გამოიყენებდა. პრუდონი ამტკიცებდა, რომ მმართველობა ხელისუფლების გარეშე არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ სასურველიც იყო. პოლიტიკური იდეების ევოლუციაში ანარქიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლიბერალიზმის და სოციალიზმის რადიკალური ანარეკლი; ხოლო ანარქისტული აზრების სხვადასხვა მიმდინარეობის სიახლოვე ერთ ან მეორე, ზემოხსენებულ იდეოლოგიასთან იმაზეა დამოკიდებული, თუ სად არის დასმული აქცენტები.

ისტორიულად, ანარქიზმი მხოლოდ იმიტომ არ აღმოცენებულა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის; ან იმ მიზეზით, რომ ღარიბ ხალხს მუდამ უწევს ბრძოლა საკუთარი წილის მისაღებად, საერთო მემკვიდრეობიდან, არამედ როგორც რადიკალური პასუხი კითხვაზე: ''რა გაკეთდა არასწორად?'' ეს შეკითხვა გაჩნდა საფრანგეთის რევოლუციის შედეგების შეჯამებისას. რევოლუცია დასრულდა ტერორით და მმართველთა ახალი, მდიდარი ფენის წარმოქმნით. უფრო მეტიც, დაპყრობილ ტერიტორიებზე ამაყად მოსიარულე და ხელახლა გაღმერთებული იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს დაბრუნებით.

ანარქისტები და მათი წინამორბედები იყვნენ ერთადერთნი ''მემარცხენე ძალებს'' შორის, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მრავალ საუკუნოვანი ექსპლუატაციის დასრულების მსურველ მუშებს და გლეხებს პოლიტიკოსთა ახალი კლასი გამოიყენებდა და უღალატებდა, რადგან

ამ უკანასკნელთა უმთავრესი პრიორიტეტი იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების აღდგენა. ყოველი რევოლუციური აჯანყების შემდეგ, როდესაც გამარჯვება უმძიმეს ფასად უჯდებოდა ჩვეულებრივ მოსახლეობას, მმართველთა ახალი კლასი მათ გასაკონტროლებლად უყოყმანოდ იყენებდა ტერორს, საიდუმლო პოლიციას და პროფესიულ არმიას.

ანარქისტებისთვის სახელმწიფო თავად არის მტერი და შესაბამისად, ანალოგიურ ინტერპრეტაციას აძლევდნენ, მე-19 და მე-20 საუკუნეში მომხდარი ყველა რევოლუციის რეზულტატს. ეს ხდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ თითოეული სახელმწიფო ეჭვის თვალით უყურებს დისიდენტებს და ზოგჯერ სჯის კიდეც მათ, არამედ იმიტომ, რომ ყველა სახელმწიფო იცავს ძალაუფლების მქონეთა პრივილეგიებს.

საუკუნეზე მეტია, ანარქისტული პროპაგანდის ძირითადი მიმართულება არის *ანარქო-კომუნიზმი*, რომელიც ამტკიცებს, რომ ადგილობრივი კომუნების საზიარო კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს - საკუთრება მიწაზე, ბუნებრივი რესურსები და წარმოების საშუალებები. კომუნები უნდა ერთიანდებოდნენ ფედერაციულ საწყისებზე, სხვადასხვა ამოცანის ერთობლივად გადასაწყვეტად. განსხვავებით სახელმწიფო სოციალიზმისგან, ანარქო-კომუნიზმი უპირისპირდება ნებისმიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების იდეას. ანარქისტების ნაწილი ერთმანეთისგან მიჯნავს ანარქო-კომუნიზმს და კოლექტივისტურ ანარქიზმს, რათა ცხოვრებისთვის აუცილებელი რესურსების განკარგვისას უფრო მეტად გაესვას ხაზი ინდივიდის ან ოჯახის თავისუფლებას, რაც სრულებით არ ნიშნავს კერძო საკუთრების უფლებას სხვებისთვის საჭირო საშუალებებზე.

ანარქო-სინდიკალიზმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ორგანიზებულ ინდუსტრიულ მუშებს, რომლებმაც ''საყოველთაო სოციალური გაფიცვის'' საშუალებით უნდა მოახდინონ კაპიტალის მფლობელთა ექსპროპრიაცია და შედეგად, უზრუნველყონ წარმოების და მართვის პროცესის განხორციელება მშრომელების მიერ.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ *ინდივიდუალისტური ანარქიზმის* რამდენიმე ტრადიცია არსებობს. ერთი მათგანი სათავეს იღებს, ''გონივრული ეგოიზმის'' ავტორის, გერმანელი მწერლის მაქს შტირნერისგან (1806 – 1856). დანაჩენი კი, მე-19 საუკუნის ამერიკელ მწერალთა მთელი პლეადისგან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საკუთარი ავტონომიის დაცვით და ამავე დროს სხვა ადამიანებთან გაერთიანებით საუკეთესო პირობებს ვქმნით საერთო კეთილდღეობისთვის. ეს მოაზროვნეები, თავისუფალი ბაზრის ლიბერალი იდეოლოგებისგან განსხვავებით, სრულ უნდობლობას უცხადებდნენ ამერიკულ

კაპიტალიზმს და აქცენტს აკეთებდნენ მუტუალიზმზე - ურთიერთდახმარებაზე აგებულ თანამშრომლობაზე. მე-20 საუკუნის ბოლოს, სიტყვა ''ლიბერტარიანელი'' , რომელსაც შესაბამისი მსოფლმხედველობის მქონენი იყენებდნენ ''ანარქისტის'' ალტერნატივად, მიითვისა ამერიკელ მოაზროვნეთა ახალმა ჯგუფმა. მათ შესახებ მე-7 თავში ვისაუბრებ.

პაციფისტური ანარქიზმი ერთი მხრივ წარმოდგება ანტიმილიტარიზმისგან, რასაც თან სდევს შეიარაღებულ ძალებზე უკიდურესად დამოკიდებული სახელმწიფოს უარყოფა; მეორე მხრივ, იმ მოსაზრებისგან რომ ნებისმიერი სიცოცხლისუნარიანი, ადამიანური საზოგადოება დამოკიდებულია მისი წევრების ნებაყოფლობით კეთილმოსურნეობაზე.

ანარქისტული აზროვნების ამ და სხვა მიმართულებებს, განსხვავებული მახასიათებლები აქვთ. თუმცა, აერთიანებთ აშკარა ძალაუფლების უარყოფა, იქნება ეს სახელმწიფო, დამსაქმებელი, ადმინისტრაციული იერარქია თუ ძალაუფლებრივი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, როგორიცაა სკოლა და ეკლესია.

იგივე შეიძლება ითქვას ანარქისტული პროპაგანდის ახალ სახეობებზე: მწვანე ანარქიზმსა და ანარქა-ფემინიზმზე. ისინიც, ვინც თვლის, რომ ცხოველთა განთავისუფლება ექსპლუატაციისგან ადამიანის თავისუფლების აუცილებელი ასპექტია, ფიქრობენ რომ მათ მიზნებთან თავსებადი ერთადერთი იდეოლოგია ანარქიზმია.

ჩვეულებრივ, ანარქისტულ ტრადიციას ოთხ გამოჩენილ მოაზროვნეს და მწერალს უკავშირებენ. მათგან პირველი, უილიამ გოდვინია (1756 – 1836), რომელმაც 1793 წელს გამოცემულ წიგნში ''კვლევა პოლიტიკური სამართლიანობის შესახებ'' (Enquiry Concerning Political Justice) ხელისუფლების, კანონების, საკუთრების და სახელმწიფო ინსტიტუტების საწინააღმდეგოდ ანარქისტული არგუმენტები წარმოადგინა. გოდვინი მწერალ მერი უოლსტონკრაფტის მეუღლე და მერი შელის მამა იყო. ის გახლდათ ტრადიციული, ინგლისური რადიკალური ნონკონფორმიზმის და ფრანგული განმანათლებლობის მემკვიდრე. მას წიგნმა მყისიერად გაუთქვა სახელი. თუმცა, მე-19 საუკუნის პოლიტიკური კლიმატის გამო, მალევე შეიცვალა მკაცრი და უარყოფითი დამოკიდებულებით. მიწისქვეშა რადიკალურ წრეებში მაინც აგრძელებდნენ მის კითხვას იქამდე, ვიდრე თავიდან არ აღმოჩინა ანარქისტულმა მოძრაობამ, 1890-იან წლებში.

მსგავსი პიონერი იყო პიერ-ჟოზეფ პრუდონი (1809 – 1865), ფრანგი პროპაგანდისტი. მან პირველმა უწოდა საკუთარ თავს ანარქისტი. პრუდონი ცნობილი გახდა 1840 წელს გამოქვეყნებული ესეს - '' საკუთრება არის ქურდობა'' წყალობით, სადაც ასევე ამტკიცებდა, რომ

ჯეიმს ნორტკოტი."უილიამ გოდვინი" (1736-1836), ზეთი, ტილო; 1802
ეროვული გალერეა, ლონდონი

''საკუთრება არის თავისუფლება''. პრუდონისთვის, ამ ორ განცხადებას შორის არ არის წინააღმდეგობა, რადგან პირველ შემთხვევაში საქმე ეხება მიწის მფლობელს, კაპიტალისტს, რომლის ქონება მოპოვებულია ძალით ან ექსპლუატაციით და შენარჩუნებულია მხოლოდ სახელმწიფოს, მისი კანონების, პოლიციის და არმიის მეშვეობით. მაშინ როდესაც, მეორე შემთხვევაში იგულისხმება გლეხის ან ხელოსნის ოჯახებისთვის, ბუნებრივი საჭიროების უფლება - საცხოვრებელზე; მიწაზე, რომლის დამუშავება შეეძლებათ; ხელობისთვის აუცილებელ ინსტრუმენტებზე; ვაჭრობის საშუალების უფლება; მაგრამ არა სხვათა სახლების, მიწის, სიცოცხლის ფლობის უფლება. პრუდონს აკრიტიკებდნენ, რომ სურდა, ღარიბული გლეხური ფერმების და ხელოსანთა არსებული ერთობების უცვლელად შენარჩუნება. რის საპასუხოდაც, ის საუბრობდა წარმატებული ფედერაციების მოწყობის პრინციპებზე და შესაძლებლობაზე.

კლასიკური ანარქიზმის მესამე მნათობი იყო, რუსი რევოლუციონერი მიხეილ ბაკუნინი (1814 – 1876). პირველ ინტერნაციონალში, 1870-იან წლებში, კარლ მარქსთან დებატების გამო დამსახურებულად სახელგანთქმული. ბაკუნინმა შესანიშნავი სიზუსტით იწინასწარმეტყველა მე-20 საუკუნის მარქსისტული დიქტატურების შედეგი. ''თავისუფლება სოციალიზმის გარეშე - ამბობდა ის - არის პრივილეგია და უსამართლობა, მაგრამ სოციალიზმი თავისუფლების გარეშე, მონობა და სისასტიკეა''. აღნიშნული თეზისი განხილულია, საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტ ქვეყნებში, რეჟიმის ნგრევის შემდეგ გამოცემულ მრავალ წიგნში. 1872 წლის წერილი, ბაკუნინის დაკვირვებების ტიპური ნიმუშია. წერილში ის აღნიშნავს:

''მჯერა რომ სერ მარქსი, გულწრფელი თუ არა, სერიოზული რევოლუციონერია. მიკვირს, როგორ ტოვებს მხედველობის მიღმა იმ ფაქტს, რომ უნივერსალური, კოლექტიური თუ ინდივიდუალური დიქტატურის დამყარება გამოიწვევს, ასე ვთქვათ, მსოფლიო რევოლუციის მთავარი ინჟინრის თანამდებობის შექმნას, რომელიც უხელმძღვანელებს მასების რევოლუციურ საქმიანობას, გააკონტროლებს მას ყველა ქვეყანაში, სამართავი მანქანის მსგავსად. საკმარისია, დამყარდეს ამგვარი დიქტატურა და იგი მოკლავს და დაამახინჯებს რევოლუციას, გამოიწვევს ყველა სახალხო მოძრაობის პარალიზებას...''

წამყვან მოაზროვნეთა ბოლო წარმომადგენელია არისტოკრატიული წარმოშობის რუსი პეტრე კროპოტკინი (1842 – 1921). თავდაპირველად, მან რეპუტაცია მოიპოვა როგორც გეოგრაფმა, შემდეგ კი ანარქიის მეცნიერული საფუძვლების შექმნისთვის დაწერილი, მთელი რიგი წიგნების და ბროშურების საშუალებით. ''პური და თავისუფლება'' (1892) მისი სახელმძღვანელოა, თვითორგანიზების და პოსტ-რევო-

გუსტავ კურბე. ''პრუდონი შვილებთან ერთად'', ზეთი, ტილო; 1865

ლუციური საზოგადოების შესახებ. ''ურთიერთდახმარება, როგორც ევოლუციის ფაქტორი'' (1902) - კროპოტკინმა დაწერა დარვინიზმის იმ არასწორი ინტერპრეტაციის საწინააღმდეგოდ, რომელიც ამართლებს კაპიტალიზმის შეჯიბრებითობას. ადამიანურ და ცხოველთა საზოგადოებებზე დაკვირვების შედეგად, მაგალითების მოყვანით, წიგნში ნაჩვენებია, თუ რა უმნიშვნელო როლი მიუძღვის სახეობათა შიგნით შეჯიბრს გადარჩენაში, განსხვავებით ურთიერთდახმარებისგან.

''მინდვრები, ქარხნები და სახელოსნოები'' (1899) - კროპოტკინის ტრაქტატია შრომის ჰუმანიზაციის შესახებ - მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ინტელექტუალური და ფიზიკური შრომის, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრაციის საშუალებით. კროპოტკინმა, რომელსაც ანარქისტ ავტორებს შორის ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს მსოფლიოში, ანარქია დააკავშირა უფრო გვიანდელი პერიოდის სოციალური ეკოლოგიის იდეებთან და ყოველდღიურ გამოცდილებასთანაც.

ზოგიერთი ანარქისტი არ ეთანხმება ანარქიზმის გაიგივებას მის ყველაზე ცნობილ იდეოლოგებთან. ისინი აღნიშნავენ რომ, მსოფლიოს გარშემო ყველგან, სადაც წარმოიქმნება ანარქისტული იდეები, არსებობს ადგილობრივი აქტივიზმი. შესაძლოა შენიღბული სახით, რათა წვდომა ჰქონდეს ბეჭდურ მედიასთა; მათი აზრით, ისტორიის მანძილზე ჩახშობილ ყოველ წინააღმდეგობაში არსებობს ფარული ანარქისტული ტენდენციები. ისინი შთაგონებული არიან იდეით, რომ გარკვეული პრობლემების თუ დილემების გადაწყვეტა ხდებოდა ანარქისტული მიდგომით. ამგვარად იკვეთება ისტორიული გზა, რომელშიც შესაძლებელია დავინახოთ ანარქისტული მისწრაფებები: ანტიკური ხანის მონების ამბოხებებში; შუა საუკუნეების გლეხების აჯანყებებში; ინგლისელ დიგერებში, 1640 წლის რევოლუციის დროს; 1789 და 1848 წლების საფრანგეთის რევოლუციებსა და 1871 წლის პარიზის კომუნაში. მე-20 საუკუნეში, ანარქიზმმა თავისი როლი ითამაშა 1911 წლის მექსიკის რევოლუციაში; რუსეთის, 1917 წლის და განსაკუთრებით, ესპანეთის რევოლუციაში, რომელსაც მოჰყვა შეიარაღებული აჯანყება და 1936-1939 წლების სამოქალაქო ომი. ამ რევოლუციურ მოვლენებში ანარქისტების მიერ შეტანილი წვლილის შესახებ მომდევნო თავში იქნება საუბარი.

აღნიშნული რევოლუციებიდან თითოეულში ანარქისტებს დამარცხებული გმირების ბედი ერგოთ. მაგრამ, ანარქისტები მაინცდამაინც არ შეესაბამებიან, საბოლოო რევოლუციის მორწმუნეთა სტერეოტიპს, რომლებიც სრულ გამარჯვებას აღწევენ ყველას დამარცხებით და გზას უხსნიან უტოპიას. გერმანელი ანარქისტის, გუსტავ ლანდაუერის განცხადებით:

ჰენრიხ მითროიტერი. ''ახალგაზრდა მიხეილ ბაკუნინი''

''სახელმწიფო არ წარმოადგნს რაღაც ისეთს, რომლის დანგრევაც შესაძლებელია რევოლუციით. სახელმწიფო - მდგომარეობაა. ერთგვარი ურთიერთკავშირია ადამიანებს შორის, ადამიანური ქცევის მოდელია. მისი განადგურება შეგვიძლია მხოლოდ სხვა ურთიერთკავშირის შექმნით, სხვანაირი ქცევით''.

ამას გარდა, მართალია ანარქისტებმა ვერ შეცვალეს საზოგადოება, საკუთარი წარმოდგენის მიხედვით, მაგრამ იგივე ითქმის წინა საუკუნის ყველა სოციალური იდეოლოგიის მიმდევარზე, სოციალისტური იქნება ეს თუ კაპიტალისტური. სამაგიეროდ, როგორც მე-8 თავში ვამტკიცებ, ანარქისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს, მთელ რიგ, მცირე მასშტაბის განმათავისუფლებელ მოძრაობებში, რომლებმაც ადამიანებს, ტანჯვის უზარმაზარი ტვირთი შეუმსუბუქა.

მართლაც, ანარქიზმს ახასიათებს მოქნილობა და გამძლეობა. ყველა ევროპულ, ჩრდილო და ლათინო-ამერიკულ, აზიურ საზოგადოებას ჰქონდა ანარქისტული გამომცემლობები, ჟურნალები, მიმდევართა წრეები; ჰყავდა დაპატიმრებული აქტივისტები და წამებულები. როდესაც, რომელიმე ავტორიტარული და რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმი ეცემა, ანარქისტები იქ არიან; უმცირესობა, რომელიც მოუწოდებს თანამოქალაქეებს ისწავლონ გაკვეთილი ხელისუფლების მიერ ჩადენილი საშინელებებიდან და უპასუხისმგებლობებიდან.

ანარქისტული პრესა ხელახლა აღმოცენდა ჰიტლერის შემდგომ გერმანიაში, მუსოლინის შემდგომ იტალიაში, ფრანკოს შემდგომ ესპანეთში, სალაზარის შემდგომ პორტუგალიაში, სამხედროების შემდგომ არგენტინასა და რუსეთში, 70 წლიანი სასტიკი ზეწოლის შემდეგ. ანარქისტებისთვის ეს იმის ნიშანია, რომ თვით-ორგანიზებული საზოგადოების იდეალი, რომელიც უფრო მოხალისეობრივ თანამშრომლობას ემყარება და არა - იძულებითს, დაუმარცხებელია. მათი მტკიცებით, ის წარმოადგენს უნივერსალურ ადამიანურ მისწრაფებას. რისი ილუსტრაციაც არის, არაევროპული კულტურების მიერ დასავლური ანარქისტული იდეებისა და კონცეფციების გაზიარება, ადგილობრივ ტრადიციებსა და საკუთარ მოაზროვნეებთან დაკავშირება.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, იაპონიაში ანარქისტული იდეების გამავრცელებელი იყო კოტუკო შუსუი (1871 – 1911). მან კროპოტკინის ნაშრომები წაიკითხა ტყვეობაში ყოფნისას, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს. განთავისუფლების შემდეგ ეწვია კალიფორნიას, სადაც კავშირი დაამყარა მებრძოლ ანარქო-სინდიკალისტურ ორგანიზაცია - ''მსოფლიოს ინდუსტრიულ მუშებთან'' (IWW).

იაპონიაში დაბრუნების შემდეგ მან დაიწყო ანტიმილიტარისტული ჟურნალის - ''Heimen''-ის გამოცემა. კოტუკო ამტკიცებდა, რომ იაპონურ ცხოვრებაში მუდამ არსებობდა ანარქისტული მიდრეკი-

ლებები, ბუდიზმის და დაოიზმის გავლენის გამო. 1911 წელს ის სიკვდილით დასაჯეს, 12 ანარქისტთან ერთად. მათ ბრალად ედებოდათ შეთქმულების მოწყობა იმპერატორ მეიჯის წინააღმდეგ. მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში, კოტუკოს მიმდევრების მთელი პლეადა განაგრძობდა პროპაგანდას და გაფიცვების ორგანიზებას მილიტარიზმის წინააღმდეგ. მთავრობის ზეწოლის გამო დასუსტებული წინააღმდეგობა აღორძინდა მეორე მსოფლიო ომის კოშმარის შემდეგ.

ჩინური ანარქიზმი დაახლოებით იმავე პერიოდში გაჩნდა, როდესაც იაპონური, ტოკიოსა და პარიზში სასწავლებლად წასული სტუდენტების ძალისხმევით. იაპონიაში წასული სტუდენტობა, კოტუკო შუსუის გავლენის ქვეშ იყო. ისინი ხაზს უსვამდნენ ანარქიზმის კავშირზე ჩინური ცხოვრების ტრადიციულ დინებასთან. როგორც პიტერ მარშალი განმარტავს:

''თანამედროვე ანარქიზმი ეხმიანებოდა როგორც დაოისტური სოფლის იდილიას, ასევე ჩინურ კულტურაში, ათასწლეულებით დამკვიდრებულ გლეხების სურვილს, მიეღწიათ ზომიერებისა და თანასწორობისთვის, რაც მათ ამბოხებებისკენ უბიძგებდა, ჩინეთის მთელი ისტორიის მანძილზე. ამას გარდა, ანარქიზმმა წინ წამოსწია ორი ტრადიციული ჩინური კონცეფცია: ლეგენდარული ოქროს ხანის სოციალური თანასწორობა-ჰარმონია (Ta-t'ung) და მიწის ფლობის კომუნალური სისტემა (Ching-t'ien)''.

პარიზში განათლებამიღებულ სტუდენტებს, ბაკუნინისა და კროპოტკინის გარდა, დარვინის ევოლუციის თეორიაც ხიბლავდათ. მათ უარი თქვეს ანარქიზმის დაოიზმთან და აგრარულ ისტორიასთან დაკავშირების მცდელობაზე. 1911 წელს, მანჩუს დინასტიის დაცემის შემდეგ, ორივე ანარქისტულმა დაჯგუფებამ იფიქრა, რომ მათი მოქმედების დრო დადგა. მაგრამ სინამდვილეში, მე-20 საუკუნის მღელვარე ჩინეთში, დროთა განმავლობაში სხვა იდეოლოგია, მარქსიზმ-ლენინიზმი დაწინაურდა. როგორც მეორე თავში ვიხილავთ, ჩინელებისთვის ძალით წარდგენილი პოლიტიკური პროგრამები ანარქისტების მისწრაფებების დიქტატორული პაროდია აღმოჩნდა.

კორეაშიც არსებობდა ანარქისტული ტრადიცია, რაც უკავშირდებოდა მე-19 საუკუნის იმედებს გლეხების კომუნიზმის შესახებ. მაგრამ იაპონიის 35-წლიანი ოკუპაციის გამო, რომელსაც ანარქისტები მძვინვარე წინააღმდეგობას უწევდნენ, მათ თავდადებულად მებრძოლი პატრიოტების რეპუტაცია დარჩათ ქვეყანაში, რომლის ჩრდილოეთში მარქსისტული დიქტატურაა დამყარებული, ხოლო სამხრეთი ამერიკული კაპიტალიზმის მოდელია.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ინდოეთის ინგლისის ბატო-

ნობისგან განმათავისუფლებელ ბრძოლაში, წამყვანი როლი ითამაშა მაჰათმა განდიმ (1869 – 1948), რომელმაც გარკვეულ წილად უნიკალური, არაძალადობრივი წინააღმდეგობის იდეოლოგია და ინდურ ტრადიციებთან დაკავშირებული გლეხური სოციალიზმი შექმნა, რაც სანახევროდ ანარქისტული წყაროებიდან ააგო. მან ტოლსტოის მსოფლმხედველობიდან არაძალადობრივი წინააღმდეგობის პოლიტიკა განავითარა, ტოროსგან - სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, ხოლო კროპოტკინის გულდასმით კითხვის შემდეგ შეიმუშავა დეცენტრალიზაციის და ავტონომიური სასოფლო კომუნების პროგრამა, ერთმანეთთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობით და ადგილობრივი წარმოებით. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, მისმა პოლიტიკურმა მიმდევრებმა პატივი მიაგეს განდის ხსოვნას, მაგრამ დაივიწყეს მისი იდეები. მოგვიანებით, იმავე, მე-20 საუკუნეში, ვინობა ბჰავეს (1895 – 1982) მოძრაობამ - ''სარვოდაია'' სცადა ''მიწიდან ამომავალი'' (Land-based) არაძალადობრივი რევოლუცია მოეხდინა ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის უარყოფით.

აფრიკაში, სახელმწიფო სოციალიზმის მარცხის შესახებ კვლევის ავტორებმა, მბაჰ-მა და იგარავეიმ, ყურადღება გაამახვილეს: ''მთელ კონტინენტზე გავრცელებული ეთნიკური კონფლიქტების ენდემურ პრობლემაზე; აფრიკის უწყვეტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მარგინალიზაციაზე, გლობალური მასშტაბით; აფრიკის მოსახლეობის 90%-ის ენით აუწერელ სიღატაკეზე და რა თქმა უნდა, ერი-სახელმწიფოების მიმდინარე ჩამოშლაზე, კონტინენტის ბევრ ნაწილში''.

ისინი ამტკიცებდნენ, რომ:

''მოცემული პრობლემების გათვალისწინებით, ''ანარქისტული ელემენტების'' დაბრუნება აფრიკულ კომუნალიზმში, ფაქტობრივად, გარდაუვალია. თვით-ორგანიზებული სოციუმი, რომელიც ემყარება ადგილობრივთა თავისუფალ ნებას, დაცლილილია ავტორიტარული მაკონტროლებელი რეჟიმისგან - მიმზიდველი და შესაძლებელია გრძელ ვადიან პერსპექტივაში''.

შესაძლოა, მკითხველმა იკითხოს, რომ თუ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ამდენ კულტურაში შეიმჩნევა ანარქიზმთან მიახლოებული იდეებისა და მისწრაფებების კვალი, მაშინ რატომ რჩება თავად კონცეფცია მუდამ გაუგებარი ან კარიკატურულად დამახინჯებული? პასუხი შეგვიძლია ვიპოვოთ, ანარქისტული ისტორიის ერთ, ძალიან მოკლე ეპიზოდში.

ერთი საუკუნის წინ იყო პერიოდი, როდესაც ანარქისტულმა უმცირესობამ, სხვა პოლიტიკური დაჯგუფებების მსგავსად, დაიჯერა, რომ სახალხო რევოლუციას დააჩქარებდა მონარქის, პრინცის და პრეზიდენტების მკვლელობა. სამწუხაროდ, მსხვერპლობის ყველაზე დამ-

სახურებული კანდიდატები - მუსოლინი, ფრანკო, ჰიტლერი ან სტალინი - კარგად იყვნენ დაცული. ასე რომ, ისტორიის მსვლელობის შემობრუნების თუ სამყაროს ტირანებისგან გადარჩენის საქმეში ანარქისტები უფრო წარუმატებელი აღმოჩნდნენ, ვიდრე შემდგომი პოლიტიკური მკვლელები.

თუმცა, მეხსიერებაში დარჩა სფეროს ფორმის ბომბებით შეიარაღებული წვერიანი ანარქისტის კარიკატურული სტერეოტიპი. ეს კიდევ ერთ დაბრკოლებად იქცა, ანარქისტულ მიდგომებზე სერიოზული დისკუსიისთვის. ამ დროს, სხვადასხვა მასშტაბების თანამედროვე პოლიტიკური ტერორიზმი, ძირითადად, ხელისუფლების მონოპოლიად გვევლინება, რომელიც მიმართულია მოსახლეობის საწინააღმდეგოდ; ან რელიგიური თუ ნაციონალური სეპარატიზმის ბრძოლის საშუალებაა. ორივე შემთხვევა ძალიან შორს არის ანარქისტული მიზნებისგან.

1905 წელს, კროპოტკინმა დაწერა სტატია ''ანარქიზმზე'', ''ბრიტანული ენციკლოპედიის'' მეთერთმეტე გამოცემისთვის. მან განმარტა, რომ ეს არის:

"ცხოვრებისეული პრინციპის, თეორიის და ქცევის განსაზღვრება, როდესაც საზოგადოება მოაზრებულია ხელისუფლების გარეშე. ამგვარ საზოგადოებაში, ჰარმონია მიიღწევა, არა კანონების ან ხელისუფლებისადმი მორჩილებით, არამედ სხვადასხვა ტერიტორიულ და პროფესიულ ჯგუფებს შორის შეთანხმებით, რომელიც თავისუფლად ყალიბდება, როგორც წარმოების და სამომხმარებლო მიზნებისთვის, ასევე ცივილიზებული ადამიანის საჭიროებათა და მისწრაფებათა ულევი მრავალფეროვნების დასაკმაყოფილებლად''.

ამ განმარტებაში, თავისთავად იგულისხმება კომპრომისის გარდაუვალობა, რაც პოლიტიკის ორდინალური და ანარქისტებისთვის ძნელად მისაღწევი ასპექტია. ზუსტად იმიტომ, რომ მათი იდეოლოგია თავს არიდებს პოლიტიკური გავლენის მოპოვებისთვის საჭირო ჩვეულებრივ გზებს.

პეტრე კროპოტკინი (1842-1921). ფოტო გადაღებულია 1864 წელს, როდესაც ის ციმბირის პირველ ექსპედიციაში გაემგზავრა, რუკაზე დაუტანელი რეგიონების საკვლევად

თავი 2
რევოლუციური მომენტები ანარქიზმის ისტორიაში

ამბობენ, რომ რევოლუციური მღელვარების დროს, რომელმაც 1848 წელს მთელი ევროპა მოიცვა, პარიზის პრეფექტმა მიხეილ ბაკუნინის შესახებ წამოიძახა: "რა ადამიანია! რევოლუციის პირველ დღეს ნამდვილი განძია, მაგრამ მეორე დღეს - უკვე დასახვრეტია!" მისი დაკვირვება ზუსტად ასახავს ანარქისტების თუ მათი წინამორბედების როლსა და ბედისწერას, მთელი რიგი ევროპული აჯანყებების დროს.

ნებისმიერი პოლიტიკური მიმდინარეობის მემატიანე თანამოაზრე წინაპრებს აღმოაჩენს წარსულში. ანარქისტებმაც შეიცნეს წინამორბედები აჯანყებულ რომაელ მონებში და შემდგომ - ჩაგრულთა მრავალ მივიწყებულ მღელვარებაში. წინამორბედები იცნეს ინგლისელი გლეხების 1381[1] წლის აჯანყებაში; ბოჰემიელი თაბორიტების 1493[2] წლის ბუნტში და საუკუნის შემდგომ - ანაბაპტისტების[3] მოძრაობაშიც.

ინგლისის რევოლუციის და სამოქალაქო ომის პერიოდში, რომელსაც 1649[4] წელი და მეფის სიკვდილით დასჯა მოჰყვა, ანარქისტული ელემენტები გარკვეულ წილად წარმოდგენილი იყო დიგერების, რანტერების და ლეველერების[5] სახით. მათ ხელი შეუწყვეს კრომველის გამარჯვებას. იმ ეპოქის ერთ-ერთმა პამფლეტისტმა ეს ჯგუფები დაახასიათა, როგორც "შვეიცარიაში გამოზრდილი ანარქისტები"[6] (Switzerising anarchists). ისინი მალე ჩამოიცილა ხელისუფლებაში მოსულმა "მფარველმა", რაც ასევე მცირე ხნით გაგრძელდა და მონარქიის რესტავრაციით დასრულდა. მაგრამ, ხალხმა გაბედა და გადააგდო მეფე. ამ ფაქტმა, გზა გაუხსნა რადიკალურ თვალსაზრისს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ მსჯელობისას. შემდეგი საუკუნეების ამერიკის და საფრანგეთის რევოლუციებმა ახალი აზროვნება მოიტანა. ეს იდეები მჭერმეტყველურად გამოხატა ტომას პეინმა "საღ აზრში" (Common Sense), 1776 წელს:

“საზოგადოება ნებისმიერ ფორმაში სიკეთეა, განსხვავებით მთავრობისგან, რომელიც თავის საუკეთესო მდგომარეობაშიც კი აუცილებელი ბოროტებაა. ხოლო უარეს შემთხვევაში - აუტანელია. როდესაც ვიტანჯებით ან მთავრობისგან, ვითმენთ იმავე უბედურებას, რომელიც, სავარაუდოდ, მთავრობის გარეშე არსებულ ქვეყანაშიც იქნებოდა, მაშინ ჩვენი უბედურება მძიმდება. რადგან ვაცნობიერებთ, რომ გასაჭირის მიზეზი ისევ ჩვენ ვართ. მთავრობა ტანისამოსს ჰგავს, დაკარგულ უმანკოებას რომ გვახსენებს: სამეფო სასახლეები სამოთხის დაქცეული ბაღების ნანგრევებზეა აშენებული”.

მე-18 საუკუნეში, პოლიტიკური იდეები ისევე სწრაფად კვეთდა ატლანტიკის ოკეანეს, როგორც დღეს, 21-ე საუკუნეში. ამერიკის შემდეგ, გარდაუვალი გახდა საფრანგეთის რევოლუცია. ჯეფერსონს, პეინს და ფრანკლინს ორივე მოვლენაში მიუძღვოდათ წვლილი. იმავე დროს, უილიამ გოდვინი - “კვლევაში პოლიტიკური სამართლიანობის შესახებ”, ანარქისტული არგუმენტების საწყის პრინციპებს წარმოადგენდა. ამასობაში, ახალი ფრანგული სახელმწიფოს გაბედული მოწინააღმდეგეები დაჯგუფდნენ ჟაკ რუს და ჟან ვარლეს გარშემო. “ცოფიანებად”[7] (Enragés) წოდებული ეს ჯგუფი დაუპირისპირდა ახალ მმართველობას. ტერორს გადარჩენილი ვარლე აღნიშნავდა:

“დესპოტიზმმა მეფის სასახლიდან გადმოინაცვლა კომიტეტის წევრებს შორის. მეფეების სიძულვილის მიზეზი მათი მოსასხამი, კვერთხი და გვირგვინი არ ყოფილა, არამედ ამბიცია და ტირანია. ჩემს ქვეყანაში უბრალოდ ტანისამოსი შეიცვალა”.

ანარქიზმი ხელახლა გამოჩნდა 1848 წლის ევროპული რევოლუციების დროს. დრეზდენის[8] რევოლუციის მარცხის ერთი წლის თავზე ბაკუნინი დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს. თუმცა ერთი წლის შემდეგ იგი ავსტრიის მთავრობას გადასცე, რომელმაც, თავის მხრივ, იგი რუსეთის იმპერიას გადასცა. ბაკუნინმა ექვსი წელი გაატარა სანქტ პეტერბურგის პეტრე-პავლეს ციხეში, საიდანაც ციმბირში გადაასახლეს. ის ციმბირიდან, ჯერ იაპონიის, შემდეგ სან-ფრანცისკოს და ნიუ-იორკის გავლით, ლონდონში გაიქცა.

1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ, პრუდონის ფედერალისტური იდეები მაგალითად იქცა პარიზის ხანმოკლე კომუნისა და მისი “დეკლარაციისთვის ფრანგი ხალხისადმი”, რომელიც დათარიღებულია 1871 წლის 19 აპრილით:

“კომუნის აბსოლუტური ავტონომია ვრცელდება საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე. უზრუნველყოფს ნებისმიერი ადამიანის განუყოფელი უფლებების დაცვას და თითოეული ფრანგისთვის - მისი, როგორც ადამიანის, მოქალაქის, მშრომელის ყველა უნარის განხორციელებას. კომუნა ისეთივე ავტონომიური იქნება თავის ფარგლებ-

ში, როგორც შეთანხმების მონაწილე ყველა დანარჩენი კომუნა. მათი გაერთიანება უზრუნველყოფს საფრანგეთის თავისუფლებას''.

კომუნის წევრი იყო გმირი ანარქისტი ქალი - ლუიზ მიშელი[9]. ალბათ ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ამის მიუხედავად, "დეკლარაცია'' უყურადღებოდ ტოვებდა ფრანგ ქალთა უფლებებს.

მე-20 საუკუნის მრავალ რევოლუციაში იკვეთება ანარქისტული ელემენტი, მაგრამ ყოველი რევოლუციის შემდეგ, ანარქისტები ახალი მმართველების მსხვერპლი ხდებოდნენ. 1900 წელს, მექსიკაში, რიკარდო ფლორეს მაგონმა და მისმა ძმებმა დაიწყეს ანარქო-სინდიკალისტური გაზეთის "Regeneración'' გამოცემა, რომელიც დიქტატორ პორფირიო დიასის წინააღმდეგ ილაშქრებდა. როდესაც გაზეთის გამოცემა გართულდა, მათ საზღვარი გადაკვეთეს და კალიფორნიაში გადავიდნენ. დიასის ჩამოგდების შემდეგ, მაგონი დაუკავშირდა რევოლუციონერ გლეხს - ემილიანო ზაპატას. ის სამხრეთით, მორელოსის შტატში ებრძოდა მდიდარ მიწათმლობელებს, რომლებიც ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ღარიბი გლეხების მიწები. ამბობენ, რომ მაგონმა ასწავლა წერა-კითხვა ზაპატას, კროპოტკინის "პური და თავისუფლების'' კითხვის და განხილვის პროცესში. 1919 წელს, ზაპატას ჩაუსაფრდნენ და მოკლეს, ხოლო მაგონი დააპატიმრეს აშშ-ში და მოკლეს ლივენვორტის ციხეში. ირონიაა, რომ ორივე მათგანი მოხსენიებულია მექსიკის გამოჩენილ მოღვაწეთა როტონდაში (პანთეონში). დღევანდელ მექსიკაში, "ეროვნული განთავისუფლების ზაპატისტური არმია'' - EZLN, ზაპატას პოლიტიკის თანამედროვე ინკარნაციაა. ისევე, როგორც ბრაზილიის "უმიწო სოფლის მეურნეობის მუშაკთა მოძრაობა'' - MST. ორივე კამპანია არის მიწის გარეშე დარჩენილი გლეხების ბრძოლა მასზე საერთო, კომუნალური ფლობის უფლებისთვის და მიმართულია მსხვილფეხა საქონლის რანჩოების მფლობელების წინააღმდეგ, რომლებსაც მიწები არნახული მასშტაბით აქვთ მიტაცებული.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის დროს, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დამხობას თან სდევდა ანარქისტული ლოზუნგები: "პური და თავისუფლება!'' და "მთელი ძალაუფლება საბჭოებს!'', რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, ახალი რეჟიმის ყოველდღიური პრაქტიკისგან ძალიან შორს იყო. რევოლუციის ანარქისტი გმირი იყო უკრაინელი ნესტორ მახნო. ის სათავეში ჩაუდგა გლეხების მიერ მიწების მოპოვებას და იცავდა მათ როგორც ბოლშევიკებისგან, ისე თეთრებისგან. გადასახლებიდან ქვეყანაში ბრუნდებოდნენ რუსი ემიგრანტები. მათ შორის იყვნენ, აშშ-დან დეპორტირებული ემა გოლდმანი და ალექსანდრე ბერკმანი; ასევე კროპოტკინი, რომელიც იძულებული იყო, 40 წელი ეცხოვრა საზღვარგარეთ.

კროპოტკინმა კრიტიკული წერილები გაუგზავნა ლენინს და

ცოცილის ტომის ინდიელი ქალი უყურებს განცხადებას: ''თქვენ იმყოფებით ზაპატისტების ტერიტორიაზე, სადაც ხალხი მართავს, მთავრობა კი ემორჩილება''. ფოტო გადაღებულია ჩიაპასში, მექსიკის სამხრეთ შტატში, რომელიც 2003 წლის მონაცემებით, უღარიბესი შტატია

მექსიკაში დაბრუნებული ემილიანო ზაპატა და პანჩო ვილა, მას შემდეგ, რაც გააძევეს გენერალი უერტა, 1914 წელს. თავად ზაპატას ჩაუსაფრდნენ და მოკლეს, 1919 წელს

დაწერა - "წერილი დასავლეთ ევროპის მშრომელებს", მათთვის რუსული რევოლუციის გაკვეთილების აღწერის მიზნით. 1921 წელს, მისი გასვენება უკანასკნელი შესაძლებლობა იყო ანარქისტებისთვის, რათა თავისუფლებაში ენახათ ერთმანეთი, რადგან სტალინის ბანაკებიდან განთავისუფლება მხოლოდ 1956 წლის შემდეგ ეღირსათ.

საბჭოთა რუსეთიდან წასული გოლდმანი და ბერკმანი შეეცადნენ სიმართლე ეთქვათ ლენინის რუსეთის შესახებ, მაგრამ დასავლეთის მემარცხენე წრეებში უკუაგდეს მათი მცდელობა და შეაფასეს, როგორც "კონტრ-რევოლუციური" ნაბიჯი.

მემარცხენეების მხრიდან ასეთივე მტრული დამოკიდებულება ხვდათ წილად სხვა ანარქისტებსაც, რომლებიც ცდილობდნენ საბჭოთა კავშირში არსებული ვითარების გამოაშკარავებას. ეს ხდებოდა მაშინაც, როდესაც სტალინიზმის ექსპანსიამ გახლიჩა მუშათა ორგნიზაციული ერთობა დასავლეთში.

იტალიაში ანარქისტული ტრადიცია დაიწყო 1863 წელს, ბაკუნინის იქ გადასახლებიდან. გარიბალდი და ჯუზეპე მაძინი მას რეკომენდაციას უწევდნენ ამხანაგ რევოლუციონერებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ბაკუნინი აკრიტიკებდა მათ - ნაციონალიზმის, კომუნალური ავტონომიზმის და ფედერალიზმის პრინციპების გამო. ბაკუნინის ბიოგრაფიის ამავე პერიოდს ეკუთვნის პოლემიკა მარქსთან. დებატებისას ბაკუნინმა უშეცდომოდ და ცალსახად იწინასწარმეტყველა მარქსისტული დიქტატურის ევოლუცია, მე-20 საუკუნეში. მისმა მოწაფემ, მუსოლინის მმართველობის დროს შინაპატიმრობაში გარდაცვლილმა ერიკო მალატესტამ სათავე დაუდო ანარქისტული იდეოლოგიის განვითარებას იტალიასა და სამხრეთ ამერიკაში, რომლის განსხვავებული განშტოებები დღემდე არსებობს.

შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ტრადიციამ - შეძლებული ოჯახის შვილების ევროპაში გაგზავნამ სწავლის გასაგრძელებლად, შედეგად მოიტანა რევოლუციური სტუდენტობის გაჩენა. მათ პარიზიდან ჩინეთში გაავრცელეს კროპოტკინის შემდეგ ჩამოთვლილ წიგნებში გადმოცემული ანარქისტული იდეები: "პური და თავისუფლება", "ურთიერთდახმარება, როგორც ევოლუციის ფაქტორი" და განსაკუთრებით, "მინდვრები, ფაბრიკები და სახელოსნოები". 1950-1960-იან წლებში, ჩინეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კურსის პუნქტებში შეიმჩნევა კავშირი კროპოტკინის პროგრამასთან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მათი რეალიზება ხდებოდა ადამიანების ტანჯვის მიმართ სრული გულგრილობით. გამოჩენილი მწერალი ბა ძინი (ლი ფეიგანი) ემა გოლდმანში ხედავდა "სულიერ დედას", ხოლო საკუთარი ფსევდონიმი შეადგინა ბაკუნინისა და კროპოტკინის გვარებიდან აღებული მარცვლებით. რასაკვირველია, არა

კროპოტკინის დაკრძალვა, მოსკოვი, 1921 წ. სიტყვით გამოდის ემა გოლდმანი. მეორე რიგში, ქვემოთ, ალექსანდრე ბერკმანი. ამბობენ, რომ ანარქისტები ერთი დღით გამოუშვეს ციხეებიდან, ცერემონიაზე დასაწრებად.

ერთხელ სცადეს მისი "ხელახლა აღზრდა". უკანასკნელად დააპატიმრეს 1989 წელს, 84 წლის ასაკში, ტიანანმენის მოედანზე გამართულ დემონსტაციაში მონაწილეობისთვის.

მაგრამ ანარქიზმმა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე ღრმად ესპანეთში გაიდგა ფესვები. 1930 წელს, არსებობდა იატაკქვეშეთიდან პერიოდულად ამომავალი, მასობრივი ანარქო-სინდიკალისტური პროფკავშირები: "შრომის ეროვნული კონფედერაცია" (CNT) და "იბერიის ანარქისტთა ფედერაცია" (FAI). 1936 წლის 19 ივლისის რევოლუციამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ანარქისტებისა და სხვა, უფრო გავლენიანი ადამიანების მიერ მოვლენების შეფასებისას მათ თვალსაზრისებს შორის არსებული უდიდესი სხვაობა.

1936 წლის 18 ივლისისთვის ესპანეთს "სახალხო ფრონტის" სამი, ერთდღიანი მთავრობა ჰყავდა. ვერცერთმა ვერ მიაღწია შეთანხმებას, თუ როგორი წინააღმდეგობა გაეწიათ მაროკოელი გენერლების კონტინენტზე შეჭრის მუქარისა და სამხედრო აჯანყებისათვის. ამასობაში, ზოგიერთ ქალაქსა და რეგიონში CNT-ის წევრებმა ხელში ჩაიგდეს სამხედრო გარნიზონების და სახალხო გვარდიის იარაღი. ამას გარდა, კონტროლი დაამყარეს ფაბრიკებზე, ტრანსპორტსა და მიწაზე. მომდევნო დღე გახდა ფრანკოსთან ბრძოლისა და სახალხო რევოლუციის დასაწყისი.

ფრანკოს იარაღით, მებრძოლებითა და ბომბდამშენი ავიაციით ამარაგებდა ფაშისტური იტალია და ნაცისტური გერმანია. ინგლისისა და საფრანგეთის ჩაურევლობის პოლიტიკამ კი გაართულა ფრანკოს მოწინააღმდეგე ძალების უზრუნველყოფა იარაღით, რომელსაც მათ საბჭოთა კავშირი აწვდიდა (ესპანური ოქროს სანაცვლოდ). მომავალში, საბჭოთა დახმარებისთვის გაცილებით დიდი საფასური იქნა გადახდილი.

სტალინის საერთაშორისო პოლიტიკას ესაჭიროებოდა ესპანეთის რევოლუციის მსხვერპლად შეწირვა "სახალხო ფრონტის" ინტერესებისთვის. საბჭოთა კავშირის მზარდ გავლენასთან დასაპირისპირებლად ანარქისტი და სინდიკალისტი მებრძოლები კატალონიის მინისტრთა კაბინეტის[10] და მადრიდის ცენტრალური მთავრობის წევრებიც კი გახდნენ.

1939 წლის აპრილში ესპანეთის ომი, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დასასრულს მიუახლოვდა. იმავე წლის აგვისტოს თვეში, სტალინსა და ჰიტლერს შორის ხელი მოეწერა პაქტს თავდაუსხმელობის შესახებ. სექტემბერში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ესპანეთში ფრანკოს რეჟიმი გაგრძელდა მის სიკვდილამდე - 1975 წლამდე. ოპოზიციის კრახმა ხელ-ფეხი გაუხსნა შურისძიების კამპანიას ფრანკოს გაბედული მოწინააღმდეგეების მიმართ. სიკვდილმის-

ჯილთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. ციხეები გადაივსო პატიმრებით. მილიონობით ესპანელმა დევნილობაში გაატარა სიცოცხლე.

ანარქისტების აზრით, ესპანეთმა სამწუხარო ირონიის მაგალითები წარმოგვიდგინა. სოფლის მეურნეობის და ინდუსტრიული მრეწველობის კოლექტივიზაცია გახდა შთამაგონებელი რეალიზაცია კროპოტკინის იდეისა მუშათა კონტროლის შესახებ. ფრანკოს კონტროლისგან თავისუფალ რეგიონებში, მიწის ფართო ნაკვეთების გადანაწილება მიმდინარეობდა. ესპანეთი უპირატესად აგრარული ქვეყანა იყო, სადაც სახნავ-სათესი მიწის 67% ეკუთვნოდა მდიდარ მიწათმფლობელთა ორ პროცენტს მაშინ, როდესაც მცირე მიწის მეპატრონეები ოჯახსაც ვერ კვებავდნენ. როგორც ჯერალდ ბრენანი[11], კლასიკურ ნაშრომში "ესპანური ლაბირინთი" (The Spanish Labyrinth), წერდა: "კოლექტიური მეურნეობა, ყამირი მიწების ათვისების პრობლემის ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება იყო".

1936 წელს, ფრანკოს შემოსევისგან თავისუფალ რეგიონებში, კომუნებში ცხოვრობდა დაახლოებით 3 მილიონამდე ქალი, კაცი და ბავშვი. იმ პერიოდის დამკვირვებლების ცნობით, ბარსელონაში მოხდა კომუნალური მომსახურების, ტრანსპორტის, სატელეფონო კომუნიკაციის, გაზით და ელექტრო ენერგიით მომარაგების რეორგანიზაცია.

ამერიკელი ლინგვისტი, ნოამ ჩომსკი იხსენებს, რომ ამ მიღწევების შესახებ ჯერ კიდევ ბავშვობაში კითხულობდა იდიშზე, ანარქისტულ ჟურნალში "Fraye Arbayter Shtimme"[12] ("მშრომელის თავისუფალი ხმა"). მისი თქმით, განსაკუთრებით დაამახსოვრდა რეპორტაჟი ღარიბული ესპანური სოფლიდან, მემბრილადან. სადაც, ქოხებში ცხოვრობდა რვა ათასამდე ადამიანი "გაზეთების, კინოს, კაფეების, ბიბლიოთეკების" გარეშე. მაგრამ მისი მაცხოვრებლები ერთმანეთს უნაწილებდნენ საკვებს, ტანსაცმელს, შრომის იარაღს და დიდი რაოდენებით დევნილებსაც იღებდნენ. "ეს მაინც იყო სიღარიბის და არა - სიმდიდრის განაწილება... მემბრილა, შესაძლოა, ყველაზე ღარიბი სოფელი იყო ესპანეთში, მაგრამ ამავე დროს ყველაზე სამართლიანი". ჩომსკი დასძენს:

"მსგავსი აღწერა, ადამიანურ ურთიერთობებზე აქცენტით და სამართლიანი საზოგადოების იდეალით, შეიძლება, უცნაური იყოს დახვეწილი ინტელექტუალისთვის და ირონიულად უყურებდეს ან ნაივურად, პრიმიტიულად თუ ირაციონალურად მიაჩნდეს ეს. ისტორიკოსების მიერ იმ სახალხო მოძრაობის სერიოზული შესწავლა, რომელმაც რესპუბლიკური ესპანეთი აქცია ისტორიაში ყველაზე შთამბეჭდავი სოციალური რევოლუციის მაგალითად, მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, როცა წინასწარ შექმნილი ეს უარყოფითი აზრი უკუგდებულიქნება".

1936 წელს, CNT-ის და FAI-ს მშრომელებმა, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საკუთარ თავზე აიღეს ბარსელონას საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვა

დღეს, როდესაც ასეთი კვლევები ტარდება, ჩომსკი ხაზს უსვამს მათ მნიშნელობას:

“მე პირადად, ანარქიზმში მხიბლავს იმ პრობლემებში გარკვევის ტენდენცია, რომლებსაც რთული ორგანიზაციის მქონე ინდუსტრიული საზოგადოებები აწყდებიან, თავისუფალი ინსტიტუტების და სტრუქტურების ფარგლებში”.

ესპანეთის გამოცდილება ნაკლებად შეესატყვისება ჩომსკის მეორე კრიტერიუმს, მაგრამ 1936 წლის მოვლენები მთლიანად ადასტურებს მის კომენტარებს. ეს მიღწევები დასავლეთ ევროპის საინფორმაციო სააგენტოებისთვის შეუმჩნეველი დარჩოდა, რომ არა ანარქისტული და არაკომუნისტური, მემარცხენე გამოცემები. ესპანეთიდან დაბრუნებული ჯოჯრ ორუელი შეეცადა დაერღვია შეთქმული სიჩუმე, წიგნით “პატივი კატალონიას”(“Homage to Catalonia”). თუმცა, წიგნის მხოლოდ 300 ეგზემპლიარი გაიყიდა. 1940 წელს დარჩენილი ტირაჟი ანარქისტულმა წიგნის მაღაზიამ შეისყიდა. ათწლეულების შემდეგ, ესპანეთში კენ ლოუჩის ფილმს “მიწა და თავისუფლება” (“Land and Freedom”; 1995) აღფრთოვანებით ხვდებიან, სამოქალაქო ომის საკვანძო ეპიზოდისთვის, რომელიც თვითონ ესპანეთში აქამდე უცნობ თითქმის ფაქტად რჩებოდა.

რა თქმა უნდა, ემიგრაციაში მყოფი ანარქისტები, რომლებიც ომს და ფრანკოს დევნას გადაურჩნენ, გაუთავებლად კამათობდნენ CNT-ის ლიდერების საბედისწერო გადაწყვეტილების შესახებ, გამხდარიყვნენ მთავრობის წევრები საბჭოთა კავშირის დომინაციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ამ შემთხვევამდე, ანარქიზმის ყველა მიმართულება ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკური სისტემის სტრუქტურებში მოხვედრას. აღნიშნულმა კომპრომისულმა გადაწყვეტილებამ, სარგებლობის მოტანის ნაცვლად, დისკრედიტაცია გამოიწვია. ეპიზოდის მკვლევარი ანარქისტები დიდწილად ეთანხმებოდნენ ფრანგი ვეტერანი ანარქისტის, სებასტიენ ფორის[13] სიტყვებს: “მესმის, რომ ყოველთვის არ არის იმის გაკეთების საშუალება, რაც საჭიროა, მაგრამ არსებობს რაღაც, რაც არასდროს უნდა გააკეთო”.

გავიდა ხანი და ათწლეულების შემდეგ, სტალინის მონოლითური იმპერიისადმი გმირული დაუმორჩილებლობის დროს, ახალმა სახალხო აჯანყებებმა ანარქისტული ლოზუნგები აღადგინა (1956 წელს უნგრეთის და პოლონეთის ქუჩებში გაჭრილი ხალხის მისწრაფებები ჩაახშეს, 1968 წელს კი - ჩეხოსლოვაკიისა). ისინი აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირის უსისხლოდ[14] დაშლის მაუწყებლები, სადაც ათწლეულების განმავლობაში იტანჯებოდნენ მმართველობისთვის მიუღებელი ადამიანები.

ტოტალიტარული რეჟიმების დამხობის შემდეგ გადარჩენილ ანარ-

ქისტებს საშუალება მიეცათ შავი დროშები ახალი კაპიტალიზმის წინააღმდეგ გაეშალათ, რომლის მესაჭეებად ისევ ძველი მჩაგვრელები იქცნენ. ანარქისტები საკუთარი თავის ერთგულები არიან, მათი პრიორიტეტები უცვლელია.

“მიწა შენია, დაამუშავე!’’, ლოზუნგი მატარებელზე, კატალონია, 1936 წელი.

თავი 3
სახელმწიფო, საზოგადოება და სოციალიზმის კრახი

საზოგადოება და სახელმწიფო მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაზეც მიუთითებენ კიდეც ანარქისტები. აღნიშნული სხვაობა ყოველთვის ცხადი იყო საუკუნეების მანძილზე. მიუხედავად ამისა, ბევრი მოაზროვნე უგულებელყოფდა მას. თუმცა, იგი ნათელი იყო მე-20 საუკუნის ისეთი მეცნიერებისთვის, როგორებიც იყვნენ ისაია ბერლინი[15] და ჯორჯ დუგლას კოული[16], ტომას პეინი - მე-18 საუკუნეში, რომლის ამონარიდიც წინა თავშია წარმოდგენილი. და მაინც, საბჭოთა იმპერიის ნგრევამ პოლიტიკის ბევრ მკვლევარს ხელახლა აღმოაჩენინა"სამოქალაქო საზოგადოება''.

ფილოსოფოსი მარტინ ბუბერი ანარქისტ გუსტავ ლანდაუერის არამხოლოდ მეგობარი იყო სიცოცხლის ბოლომდე, არამედ მისი ანდერძის აღმსრულებელიც. პირველ თავში განვიხილეთ ლანდაუერის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს ბუნებას განაპირობებს ადამიანთა ქცევის მოდელები. სოციოლოგიის პროფესორმა ბუბერმა კი ერთმანეთისგან განასხვავა ადამიანური ქცევის ორი პოლარული პრინციპი: პოლიტიკური და სოციალური. პოლიტიკური პრინციპისთვის დამახასიათებელია: ძალაუფლება, ხელისუფლება, იერარქია და დომინირება; ხოლო სოციალური პრინციპის გამოვლინებას ბუბერი ხედავს ყველა იმ სპონტანურ კავშირში, რომელიც საერთო მოთხოვნილების ან ინტერესის გარშემო იქმნება. შესაბამისად, საჭიროა იმ მიზეზის ძიება, რაც მუდმივად იწვევს პოლიტიკური, და არა - სოციალური პრინციპის უფრო მეტად გავრცელებას. ამის შესახებ ბუბერი შემდეგ განმარტებას გვთავაზობს:

"ყველა ადამიანი გრძნობს საფრთხეს სხვებისგან, რაც სახელმწიფოს ერთგვარი გამაერთიანებლის როლის თამაშის შესაძლებლობას აძლევს. მიზეზი თავად საზოგადოების თვითგადარჩენის ინსტიქტია.

ფარული საგარეო კრიზისის გამო სახელმწიფო თავს უფლებას აძლევს ჩაერიოს შიდა კრიზისებში... მმართველობის ყველა ფორმას აქვს საერთო ნიშანი: ყველა მათგანს იმაზე მეტი ძალაუფლება გააჩნია, ვიდრე საჭიროა არსებულ პირობებში; ფაქტობრივად, სწორედ უფლებამოსილების გადამეტება წესრიგის დამყარებისას წარმოადგენს იმას, რასაც პოლიტიკურ ხელისუფლებას ვუწოდებთ. გადამეტების ხარისხი... გამოხატავს განსხვავებას მმართველობასა და მთავრობას შორის''.

ბუბერი აღნიშნულ გადამეტებას უწოდებს "პოლიტიკურ სიჭარბეს'', რომლის ზუსტი გამოთვლა შეუძლებელია და დასძენს:

"მისი გამართლება გამომდინარეობს საგარეო და საშინაო არასტაბილურობიდან; ნაციათა შორის და მათ შიგნით არსებული ფარული კრიზისული მდგომარეობიდან. სულერთია, რას მოითხოვს მოცემული მდგომარეობა, პოლიტიკური პრინციპი ყოველთვის უფრო ძლიერია, ვიდრე სოციალური. რეზულტატი კი არის სოციალური სპონტანურობის მუდმივი კლება''.

ანარქისტები მეტად აფასებენ სპონტანურობას საზოგადოებაში, პოლიტიკოსებთან შედარებით, რომლებსაც განსხვავებული დღის წესრიგი აქვთ. მაგალითად, ომის შემდგომ ბრიტანეთში ეს იყო "სოციალური სახელმწიფოს'' დემონტაჟი და კომერციულ, კერძო საწარმოს ღირსებებზე საუბარი. ანარქისტებს ხშირად მიუთითებენ, რომ მათი ანტიპათია სახელმწიფოსადმი ისტორიულად მოძველდა მას შემდეგ, რაც თანამედროვე სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა გახდა. ისინი პასუხობენ, რომ ინგლისში კეთილდღეობა არ დამდგარა სამთავრობო ქმედებების შედეგად ან დაზღვევის შესახებ კანონის მიღებით ომის შემდგომ პერიოდში, ან ჯანდაცვის ნაციონალური სამსახურის დაარსებით 1948 წელს; არამედ, აღმოცენდა მე-19 საუკუნეში, მუშათა კლასის ინიციატივით შექმნილი ურთიერთდახმარების ორგანიზაციათა ფართო ქსელიდან.

ჯანდაცვის ნაციონალური სამსახურის დამაარსებელი იყო ანერინ ბევანი, ჯანდაცვის მინისტრი ლეიბორისტულ მთავრობაში, სამხრეთ უელსის ქალაქ ტრედეგარიდან. მის საარჩევნო ოლქში 1870 წლიდან ფუნქციონირებდა "ტრედეგარის სამედიცინო საზოგადოება'', რომელმაც 1995 წლამდე იარსება. საზოგადოება სამედიცინო მომსახურებას უწევდა ადგილობრივ დაქირავებულ მშრომელებს, ძირითადად, მაღაროელებს და ფოლადსასხმელი ქარხნის მუშებს. ასევე, ზრუნავდა რაიონში მცხოვრებ კმაყოფაზე მყოფ ადამიანებზე, ბავშვებზე, მოხუცებზე, უმუშევრებზე (განსხვავებით, ჯანდაცვის ნაციონალური სამსახურისგან, 1948 წლის შემდეგ). ტრედეგარის სამედიცინო საზოგადოება "წლების განმავლობაში არსებობდა ნებაყოფლობითი შენატანების

წყალობით - მაღაროელთა და მეტალურგთა ხელფასიდან ირიცხებოდა სამი პენი, საიდანაც ფინანსდებოდა ხუთი ექიმი, დენტისტი, ორთოპედი და ფიზიოთერაპევტი. ისინი დაახლოებით, 25 000 ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ''.

პიტერ ჰენესის[17] პენსიაზე გასულმა მაღაროელმა მოუთხრო, რომ როდესაც ბევანმა ჯანდაცვის ნაციონალური სამსახური შექმნა, ყველამ ჩათვალა "მთელი ქვეყანა ერთ დიდ ტრედეგარად უნდა გადააქციოსო''. რეალურად კი, მართალია, ჯანდაცვის სისტემა დაარსების დღიდან მოყოლებული, მუდმივად განიცდიდა რეორგანიზაციას, მაგრამ არასოდეს უცდია სამედიცინო მომსახურებაში ადგილობრივი თუ ფედერალური გამოცდილების დანერგვა. ტრედეგარის შემთხვევის გაცნობის შემდეგ, კიდევ ერთი აზრი იბადება - როდესაც ქალაქის ყველა მშრომელი, ნებაყოფლობით რიცხავდა შენატანს ადგილობრივი მცხოვრებლების ჯანმრთელობისთვის, ყველაზე მაღალკვალიფიციური ინდუსტრიული მუშების შემოსავალი უფრო დაბალი იყო, ვიდრე დღევანდელი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება. მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის დროს შემოღებული საყოველთაო დასაქმებით და საშემოსავლო გადასახადის ავტომატური დაბეგვრით, სამთავრობო ხაზინა უზარმაზარ მოგებას ნახულობს იმ თანხებიდან, რომლითაც ოდესღაც საზრდოობდნენ ადგილობრივი ინიციატივები. ტრედეგარის ადგილობრივი საგადასახადო ვალდებულება, მაგალითი რომ გამხდარიყო მთელი ჯანდაცვის სისტემისთვის, მაშინ ეს ყოველდღიური საჭიროება არ გადაიცქეოდა სათამაშოდ, ცენტრალური მთავრობის ფინანსური პოლიტიკის ხელში.

სამედიცინო მომსახურების სფეროში ამ ალტერნატიული მიდგომის დასახელებით ანარქისტები ყურადღებას ამახვილებენ სოციალური ორგანიზაციის სულ სხვა, სასიკეთო მიმართულებით განვითარების შესაძლებლობაზე. ინგლისის გამოცდილებაში არსებობს განსხვავებული მაგალითიც, "პეკჰემის ექსპერიმენტის'' სახელწოდებით. 1930-1950-იან წლებში, სამხრეთ ლონდონში ფუნქციონირებდა საოჯახო გამაჯანსაღებელი კლუბი, რომლის მომსახურებაში გარდა ცურვისა და სპორტული აქტივობებისა, ბონუსად სამედიცინო დახმარების აღმოჩენაც შედიოდა. უნივერსალური სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წარსული თუ უახლესი მცდელობები ცხადყოფს, რომ საჭიროა ალტერნატიული გზის მოძებნა და სამწუხარო პოლარულობიდან თავის დაღწევა, რომელიც გამოიხატება ერთი მხრივ, სახელმწიფო ბიუროკრატიით და მეორე მხრივ, ინდივიდუალური ანგარებით. თავად მომისმენია ჯანდაცვის სამინისტროს არქიტექტორის აღიარება, რომ მის მიერ გაცემული რჩევები საავადმყოფოების დიზაინის შესახებ შეცდომებს შეიცავდა. ანალოგიური მოგვისმენია ჯანდა-

ცვის ნაციონალურ სამსახურში, მენეჯმენტის სფეროში დაქირავებული, მაღალი ანაზღაურების მქონე კონსულტანტებისგანაც.

საუკუნის წინ, კროპოტკინმა აღნიშნა: "ექიმის მომსახურების გადასახდელად უთვალავი მრავალფეროვნებით არსებობდა ორგანიზებული ურთიერთდახმარების საზოგადოებები, საიდუმლო საძმოები, სოფლის და ქალაქის კლუბები", რომლებიც მუშათა კლასის თვით-დახმარების პრინციპით იქმნებოდა. თავის ნაშრომში, "ურთიერთდახმარება, როგორც ევოლუციის ფაქტორი" და მოგვიანებით გამოცემულ წიგნში, "თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი", ის აცხადებს, რომ: "ადამიანის ეკონომიკური და პოლიტიკური გათავისუფლება, მის ცხოვრებაში უნდა გამოიხატოს ახალი ფორმებით, ნაცვლად სახელმწიფო უწყებების მიერ დაარსებული სამსახურებისა". მისთვის ცხადია, რომ "ეს ახალი ფორმა უნდა გახდეს იმაზე უფრო სახალხო, დეცენტრალიზებული და სათემო თვითმმართველობასთან ახლოს მდგომი, ვიდრე ოდესმე შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი ხელისუფლება". იგი ხშირად იმეორებდა, რომ იძულებული გავხდებით ვიპოვოთ იმ სოციალური ფუნქციების შემსრულებელი ორგანიზაციის ახალი ფორმები, რომლებსაც დღეს სახელმწიფო ასრულებს ბიუროკრატიის მეშვეობით, და რომ "სანამ ეს არ განხორციელდება, იქამდე არაფერი იქნება გაკეთებული".

არსებობს მოსაზრება, რომ თანამედროვე ინდივიდის მობილობის და წამიერი კომუნიკაციის პირობებში, რამდენიმე გლობალურ დასახლებაში ვცხოვრობთ და ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ ადგილობრივი მმართველობის განხორციელების კონცეფცია მოძველებულია. მაგრამ ეს ნიშნავს ერთმანეთში ავურიოთ საახლობლო, სამეზობლო და ინტერესთა ერთობა. ჩვენ შეიძლება ვიზიარებდეთ დედამიწის სხვა კონტინენტზე მცხოვრები ადამიანების თვალსაზრისს და ამავე დროს არ ვიცოდეთ მეზობლის სახელი. მაგრამ სურათი იცვლება ჩვენი პირადი ან ოჯახური ისტორიის იმ ეტაპებზე, როდესაც გვიწევს გავიზიაროთ - დაწყებითი სკოლის, სამედიცინო ცენტრის, ადგილობრივი მაღაზიის ან ფოსტის მომხმარებლების ინტერესები. ყველა მშობელს შეუძლია დაადასტუროს, რომ ამ დროს ვლინდება დაინტერესება ადგილობრივი საკითხებით.

შეიძლებოდა, შექმნილიყო ალტერნატიული სოციალური კონტროლის მოდელები, მაგრამ ცენტრალური მთავრობა ხელს უწყობს ნაციონალურ ერთფეროვნებას. ამავე დროს, კეთილდღეობის ბიუროკრატიული სახელმწიფოთი გამოწვეული ილუზიების დაკარგვა დაემთხვა მენეჯერული კაპიტალიზმისადმი მიძღვნილი დითირამბების კორიანტელს. ანარქისტებს სჯერათ, რომ მოსალოდნელი იმედგაცრუების შემდეგ, კვლავ მოხდება სოციალიზმის ალტერნატიული კონცეფ-

ციის აღმოჩენა. ისინი ამტკიცებენ, რომ საზოგადო კეთილდღეობის გაიგივებამ ბიუროკრატიულ მენეჯერიზმთან ნახევარი საუკუნით შეაფერხა სხვა მიდგომების განვითარება. ე.წ. კერძო სექტორი მოხარულია, იტვირთოს გადახდისუნარიანი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. დანარჩენებს მოუწევთ დაკმაყოფილდნენ მინიმალური მომსახურებით ან ხელახლა შექმნან მე-19 საუკუნეში აღმოცენებული ინსტიტუტები. ანარქისტებს საკუთარი მეთოდები აქტუალურად მიაჩნიათ, ელოდებიან მათ ხელახლა აღმოჩენას, რადგან თანამედროვე საზოგადოებამ უკვე შეიტყო, როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური ალტერნატივების შეზღუდული სიკეთეების შესახებ.

ერთ დროს პოპულარულ წიგნში "მენეჯერული რევოლუცია", მისმა ავტორმა, ჯეიმს ბერნჰემმა ზუსტად აღწერა მსხვილ კომპანიებში კონტროლის სადავეების გადასვლის პროცესი მესაკუთრე-აქციონერებიდან, მმართველი მენეჯერების ხელში. მაგრამ, შესამჩნევია სხვა, არც ისე დიდი ხნის წინ მომხდარი ცვლილება ყველა სახის საზოგადოებრივი სამსახურის მართვაში; მაგალითად, განათლების სფეროში. ეს არის, პროფესიონალი მენეჯერების აღზევება და დომინირება, რომლებიც ყველა სახის დაწესებულების მართვის შეუვალ სპეციალისტებად გვევლინებიან. საშუალო კლასის სპეციალისტები, რომლებმაც თავისი მოწოდება იპოვეს, ვთქვათ, საზოგადოებივ ჯანდაცვაში, სკოლებში, უნივერსიტეტებში, კომუნალური მომსახურების სფეროში, დაექვემდებარნენ ზუსტად იმგვარ Newspeak (ორაზროვანი, ევფემისტური ლექსიკა, გამოყენებული პოლიტიკური პროპაგანდის წარმოებისთვის) მმართველებს, როგორებიც თვითნებობდნენ მუშათა პროფკავშირების წინააღმდეგ. გროტესკული ჟარგონით საუბარში დაოსტატება შრომის ბაზარზე დანიშვნის და დაწინაურების წინაპირობა გახდა, გარდა იმ ღარიბული ორგანიზაციებისა, მძიმე, მონოტონული შრომით, სადაც ძველი მოთხოვნები ისევ აქტუალურია სტანდარტების არ არსებობის, სამუშაო დროის ხანგრძლივობის და დაბალი ანაზღაურების გამო.

ახალ მენეჯერიზმს იმდენად მყიფე საფუძველი აქვს და ისეთ აღშფოთებას იწვევს ადამიანებს შორის, რომლებიც ამაყობენ საკუთარი პროფესიული უნარებით (ეს ეხებათ გლობალიზაციის მიზეზით განდევნილ, კვალიფიციურ მუშაკებს), რომ მას მშრომელთა დემოკრატიული უფლებების დამცველთა ახალი თაობის მხრიდან უნდა მიეღო გამოწვევა. უახლესი მენეჯერული სახელმძღვანელოების ავტორები უკვე სესხულობენ ანარქისტულ ენას, იდეებს თუ - არა. მაგალითად, წიგნები სახელწოდებით "მართვა მენეჯმენტის გარეშე" ან "ქმედება და არსებობა: ანარქიზმი ბიზნეს ადმინისტრირებისთვის".

როგორც ჩანს, გარდაუვალია ანარქისტული კონცეფციების ხელა-

ხლა გამოგონების ან აღმოჩენის მუდმივი პროცესი ისეთ სფეროებში, რომელზეც მისი იდეოლოგები ვერასდროს იფიქრებდნენ, რადგან სხვადასხვა დარგში მომუშავე ადამიანები ყოველთვის შეეცდებიან მოძებნონ კაპიტალისტური თავისუფალი ბაზრის და ბიუროკრატიული, ადმინისტრაციული სოციალიზმის ალტერნატივა.

შესაძლებელია ოთხი პრინციპის გამოყოფა, რომელსაც ეყრდნობა ანარქისტული თეორია ორგანიზაციის შესახებ: 1) ნებაყოფლობითი; 2) ფუნქციური; 3) დროებითი და 4) მცირე.

ნებაყოფლობითი და ფუნქციური პრინციპები გასაგებია: ინდივიდუალური თავისუფლების დაცვა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვიძება ვერ მოხდება, ბუნდოვანი დანიშნულების მქონე ორგანიზაციის სავალდებულო წევრობით. არსებობს ტენდენცია ისეთი ორგანიზაციების შენარჩუნებისა, რომლებმაც ამოწურეს საკუთარი ფუნქცია. აუცილებელია დროებითობის პრინციპის დაცვა, რადგან პერმანენტულობა ერთ-ერთი ფაქტორია, რაც იწვევს ნებისმიერი ორგანიზაციის არტერიის დაცობას. ამ დროს საქმიანობის მიზანს შეადგენს ფუნქციის მოჩვენებითი შესრულება და ორგანიზაციის სტრუქტურის თუ მისი მესვეურების ინტერესების ხელოვნურად შენარჩუნება. და ბოლოს, უმჯობესია მცირე ზომის ორგანიზაცია, სადაც ნაკლებად იქნება ბიუროკრატიზაციის და იერარქიულობის გამოვლენის შესაძლებლობა, რაც ყველა ორგანიზაციას ახასიათებს.

მე-20 საუკუნის განმავლობაში სახელმწიფო სოციალიზმის განსხვავებული მოდელები განხორციელდა. უკვე ვნახეთ, რომ თუ მმართველი საკმარისად ულმობელია, მაშინ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეუძლია დაამყაროს მეტად უცნაური რეჟიმი და სახელად სოციალიზმი დაარქვას. ანარქიზმიც ზარალდება სოციალიზმის დამახინჯების გამო, რადგან გავრცელებული აზრით, ისიც მილენარიზმის (უტოპიური მომავლის რწმენა, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ უნდა დაიწყოს) მორიგი ფორმაა, "რევოლუციის შემდგომი'', საბოლოო ისტორიული პუნქტია; ბედნიერების ხანა, როდესაც კაცობრიობის პრობლემები გადაჭრილია.

მე-19 საუკუნეში, მსგავს აზრს გარკვეულწილად იზიარებდა ანარქიზმი და სოციალიზმის განსხვავებული ვარიაციების პროპაგანდაც. მაგრამ მე-20 საუკუნეში, იშვიათად მოიძებნება ანარქისტი, რომელიც იგივენაირად შეიძლება ფიქრობდეს. როგორც საბჭოთა კავშირის ტრაგედიამ აჩვენა, მომავლის დაპირებული მიწიერი სამოთხე დღევანდელი თაობების მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს. რის შესახებაც, ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ 1847 წელს წერდა ბაკუნინის მეგობარი, ხალხოსანი ალექსანდრე გერცენი:

"თუ მიზანი პროგრესია, მაშინ ვისთვის ვმუშაობთ? ვინ არის ის მო-

ლოჰი[18], რომელიც მშრომელის მიახლოებისას ჯილდოს გაცემის ნაცვლად, უკან იხევს. დამცინავი ღიმილით პასუხობს ქანცგაწყვეტილ და დაღუპვისთვის განწირულ მყვირალა ბრბოს: "სიკვდილმისჯილნი, გესალმებიან შენ!" პასუხად მხოლოდ იმას მიუგებს, რომ მათი სიკვდილის შემდეგ, დედამიწაზე ცხოვრება მშვენიერი იქნება. ნუთუ თქვენც კარიადიტების[19] სავალალო ბედს უმზადებთ თანამედროვე ადამიანებს, რომლებიც ტერასების საყრდენად ქცეულან, მასზე შორეულ მომავალში მოცეკვავე ადამიანებისთვის? ან მუხლამდე ტალახში ჩაფლული, გალერის საცოდავი მონების ბედისწერას, რომლებიც ბარჟის ამოთრევას ცდილობენ, დროშით ხელში, მოკრძალებული წარწერით "მომავალი პროგრესი"?

"... უსასრულოდ შორეული მიზანი სატყუარაა. მიზანი უფრო ახლოს უნდა იყოს; უკიდურეს შემთხვევაში - ანაზღაურება ან კმაყოფილება შესრულებული სამუშაოთი. ყოველ ეპოქას, ყველა თაობას ჰქონდა და აქვს საკუთარი გამოცდილება და ამ გზაზე წარმოიშობა ახალი მოთხოვნები, ახალი მეთოდები".

მე-20 საუკუნეში სოციალიზმი მუდმივად გასცემდა "ხვალინდელ სიტკბოების" დაპირებას, ოღონდ ის შეუსრულებელი რჩებოდა. შემდეგ თაობებს, როგორც გერცენი ამტკიცებდა, მოუწევთ საკუთარი, უფრო ახლო სოციალური მიზნების მონიშვნა, რომლებიც ანარქისტების იმედით, სოციალური ტიპის ორგანიზაციის გარშემო განსხვავებულად იქნება სტრუქტურირებული, ვიდრე სამთავრობო აპარატში.

ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ ანარქიზმი არ შეესაბამება თანამედროვე საზოგადოების მასშტაბებს, ამიტომ ორგანიზაციის შესახებ ნებისმიერი ანარქისტული თეორიის ასაგებად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფედერალიზმის ცნების რაობა. ანარქისტული წარმოდგენები ფედერალიზმის შესახებ მე-9 თავში იქნება განხილული.

თავი 4
ნაციონალიზმის და ფუნდამენტალიზმის დეფლაცია *

ანარქისტების აზრით, სახალხო თვითორგანიზება სოციალური ორგანიზების იმგვარი ფორმაა, რომელიც, კროპოტკინის ერთხელ უკვე ნახსენები დაკვირვების მიხედვით, "შეასრულებდა იმ სოციალურ ფუნქციებს, რასაც დღეს სახელმწიფო ახორციელებს ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით''. სკეპტიკოსები თვლიან, რომ ანარქიზმი პრიმიტიული და არარელევანტური იდეოლოგიაა თანამედროვე მსოფლიოს პირობებში. თუმცა, ანარქიზმს მხოლოდ ამის გამო არ უარყოფენ. არსებობს სხვა არგუმენტებიც. ესენია: თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოების არსებობა; მთავრობებს შორის ინტენსიური მტრობა და კონკურენცია; სახელმწიფოდ მოაზრებული ტერიტორიების შიგნით სხვადასხვა დაჯგუფებების ურთიერთ შუღლი და სიძულვილი; შემაშფოთებელი ანტაგონიზმი ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრებს შორის. განსაკუთებით შესამჩნევია ევროპული იმპერიალიზმის მომწამვლელი მემკვიდრეობა დაპყრობილ და კოლონიად ქცეულ ტერიტორიებზე.

როგორც ჩანს, კვლავაც მნიშვნელოვანია შევახსენოთ ბრიტანელებს, ფრანგებს, ბელგიელებს, გერმანელებს, ესპანელებს, პორტუგალიელებს, იტალიელებს, ჰოლანდიელებს, ავსტრიელებს, ბერძნებს, თურქებს, რუსებს, ამერიკელებს და სხვებს, რომ დღეს არსებული ყველაზე რთული მსოფლიო კონფლიქტები გამოწვეულია მათი წარსული მმართველების იმპერიალისტური პოლიტიკით, მსოფლიოს ამა თუ იმ ნაწილის დაპყრობის ფატალური სურვილით და ლოგიკური შედეგია "დაყავი და იბატონე'' პრინციპის ცინიკური განხორციელების. მთელი

*დეფლაცია - ფასების შემცირების გრძელვადიანი პროცესი, ფულის რეალური ღირებულების ზრდის ფონზე.

მსოფლიოს გარშემო, იმპერიის შემქმნელთა საქმიანობის რეზულტატია - ადამიანების ტანჯვა. როგორც წესი, აგრესიას უარესი შედეგი მოაქვს. ავი შლაიმი[20], შემდეგნაირად აღწერს ნაციონალისტურ მოძრაობებს: "ერთი მხრივ, ექსტრემიზმის, ქსენოფობიის, თავმომწონეობის თანდაყოლილი მიდრეკილება; მეორე მხრივ, მტრის დემონიზება. როგორც წესი, ისტორია ფალსიფიცირდება, რათა ნაციონალისტების პოლიტიკურ პროგრამას ემსახუროს''.

ძნელი წარმოსადგენია, რომ რელიგიური და ტერიტორიული უთანხმოების მოძულე ანარქისტები, იმპერიალიზმის დაგმობის გარდა, ამ კინკლაობებშიც აღმოჩნდნენ ჩათრეული. თავის შეკავება ხშირად სახიფათო, თუმცა აუცილებელი პოზიციაა. მსოფლიოს მასშტაბით უამრავი მაგალითია, როდესაც ფანატიკოსები ყველაზე დიდი ბრაზით მათ შესცქერიან, ვინც ბედავს და ცდილობს კომპრომისი იპოვოს ბარიკადების მიღმა მდგარ ხალხთან.

ნახევარი საუკუნის წინ, ანარქიზმის შეფასებაში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი მარტინ ბუბერი 1921 წელს აფრთხილებდა მეგობარ სიონისტს, რომ თუკი იუდეველები არ იცხოვრებდნენ არაბების გვერდიგვერდ პალესტინაში, მაშინ ისინი მტრულ გარემოში აღმოჩნდებოდნენ. 44 წლის შემდეგ, მისი ნეკროლოგის ავტორებმა შემდეგი ფაქტი მოიხსენიეს: ბუბერი, ორთოდოქსებმა "ხალხის მტრად'' შერაცხეს და ოსტრაკიზმი მიუსაჯეს, ბინაციონალიზმის იდეის დაცვისთვის.

რა თქმა უნდა, მე-20 საუკუნეში მომხდარი ამგვარი რეაქცია ვერ იწინასწარმეტყველეს მე-19 საუკუნის ანარქისტებმა. მათი კლასიკად ქცეული მტკიცებულება რელიგიის, როგორც სოციალური ფენომენის შესახებ, გადმოცემულია რუსი ანარქისტის, მიხეილ ბაკუნინის ყველაზე ცნობილ ნაშრომში "სახელმწიფო და ღმერთი''. 1871 წელს დაწერილ შემდეგ ამონარიდში ის წუხს, რომ ადამიანთა გულებში ჯერ კიდევ არსებობს ღმერთის რწმენა. მისი სიტყვებით, რელიგია განსაკუთრებით "ფართოდაა გავრცელებული სოფლის მაცხოვრებლებში და ნაკლებად - ქალაქის პროლეტარიატში''. ბაკუნინის აზრით, რწმენა ბუნებრივი მოვლენა გახდა, რადგან ნებისმიერი მთავრობა სარგებელს ნახულობს ადამიანების უცოდინრობისგან, რაც მისი ძალაუფლების შენარჩუნების მთავარი პირობაა. შრომით გადატვირთული, თავისუფალ დროსა და ინტელექტუალურ ურთიერთობას მოკლებული ადამიანები ცდილობენ მცირეოდენი შვება მაინც იპოვონ. ბაკუნინი ამტკიცებს, რომ ცხოვრებისეული უბედურებისგან თავის დაღწევის სამი გზა არსებობს. აქედან, ორი ილუზორულია, ერთი - რეალური. პირველი ორი არის სასმელი და ეკლესია, "სხეულის და გონების გახრწნილება''; ხოლო მესამე - სოციალური რევოლუცია. ბაკუნინი

ამტკიცებს, რომ სოციალური რევოლუცია, "რელიგიური რწმენის და ადამიანთა დამღუპველი ჩვევების ძირფესვიანად გაქრობისთვის უფრო ქმედუნარიანი იქნება, ვიდრე თავისუფლად მოაზროვნეთა პროპაგანდა. რწმენა და ჩვევები იმაზე უფრო მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ვიდრე წარმოუდგენიათ". შემდეგ, ბაკუნინი თავს ესხმის საზოგადოების გავლენიან, დომინანტურ კლასებს, რომლებიც ძალზე გამოცდილი არიან იმისთვის, რომ თვითონ იყვნენ მორწმუნეები. სამაგიეროდ, იძულებული არიან ასეთად მოაჩვენონ თავი, რადგან უბრალო ადამიანების რწმენა ხელსაყრელი ფაქტორია ამ უკანასკნელთა ჩაგვრისთვის. ბაკუნინი დაწვრილებით გადმოსცემს თავის მოსაზრებებს ხსენებულ ნაშრომში და ბოლოს, რელიგიის პროპაგანდისტებს მიმართავს.

როდესაც, ეჭვი შეგაქვთ დოგმებთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებში, როგორიცაა სასწაული, უბიწო ჩასახვა, მკვდრეთით აღდგომა, ისინი მედიდურად განმარტავენ რომ ეს ლამაზი მითებია. შემდეგ გვეუბნებიან, რომ პროზაული შეკითხვების დასმისთვის ჩვენ უფრო მეტ სიძულვილს ვიმსახურებთ, ვიდრე თვითონ - მითოლოგიის ჭეშმარიტებად გასაღებისთვის.

ამ საკითხში, ბაკუნინის აზრი მეტწილად დაემთხვა მისი ოპონენტის, კარლ მარქსის თვალსაზრისს, რომლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფრაზაა, რელიგიის განსაზღვრება " ხალხის ოპიუმად".

იდეათა ისტორიკოსებს შეუძლიათ მოახდინონ კლასიფიკაცია და ლიბერალიზმი, სოციალიზმი, კომუნიზმი თუ ანარქიზმი განიხილონ დროის პირმშოდ, როგორც განმანათლებლობის, "გონების ეპოქის" (Age of Reason), აზრთა დუღილისა და დაეჭვების პერიოდების შედეგი; რაც გამოიკვეთა 1640 წელს, ინგლისის რევოლუციის დროს, ასევე ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციებს შორის, 1770-80-იან წლებში.

ინგლისში, განმანათლებლობის მიღწევებს შორის, რელიგიური შემწყნარებლობა ყველაზე უხალისოდ და ნელი ტემპით იქნა აღიარებული. ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ ინგლისში არსებული ეკლესია დაფუძნდა ჰენრი VIII-ის ერთ-ერთი განქორწინების გამო და რომის პაპთან მომხდარი უთანხმოების შედეგად. სხვაგვარად, მოაზროვნე წამებულების დევნის გრძელი ისტორია შეგვახსენებს რწმენის თავისუფლებისთვის ბრძოლის სირთულეს. 1858 წლამდე ებრაელთა მიმართ სამართლებრივი შეზღუდვები არსებობდა. ხოლო 1871 წლამდე, ის ადამიანები, რომლებიც ხელს არ მოაწერდნენ ანგლიკანური ეკლესიის 39 დოგმატს, არ დაიშვებოდნენ უნივერსიტეტებში. შესაძლოა, ბრიტანელების უმრავლესობა გულგრილია ანგლიკანური ეკლესიის მიმართ, მაგრამ მისი არსებობა არის მნიშვნელოვანი სოციალური და

პოლიტიკური ფაქტების შეხსენება. განმანათლებლობის ერთ-ერთი შედეგი ის გახლდათ, რომ საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციის დამწერი ადამიანები ცდილობდნენ გაეთვალისწინებინათ ისტორიის გაკვეთილები და არ დაევიწყებინათ რელიგიური ომების საშინელება. საამისოდ საჭიროდ მიიჩნევდნენ რელიგიური და საერო ცხოვრების გამიჯვნის აუცილებლობას. რელიგია ადამიანის პირადი საქმე უნდა იყოს.

აღნიშნული ჭეშმარიტება იყო აშშ-ის დამფუძნებელი მამებისთვის, რომელთა წინაპრები ევროპიდან გამოექცნენ რელიგიურ ნიადაგზე დევნას. ასევე, ჭეშმარიტება იყო საფრანგეთის რესპუბლიკისთვის და შესაბამისად, ფრანგული იმპერიალიზმისგან უზარმაზარი დანაკარგის ფასად განთავისუფლებული ქვეყნებისთვის. იგივე ითქმის მე-20 საუკუნეში იმპერიალიზმების ნგრევის შემდეგ, ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკების შესახებ. რამდენიმე მაგალითია ინდოეთის, თურქეთის, ეგვიპტის, ალჟირის რესპუბლიკა და ისრაელი.

დღეს, მთელ მსოფლიოში, სეკულარული სახელმწიფო დარტყმის ქვეშ არის. ჩრდილოეთ აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის სეკულარულ პოლიტიკურ რეჟიმებს უპირისპირდება მებრძოლი რელიგიური მოძრაობები. სულ უფრო იზრდება ფუნდამენტალიზმის საფრთხე აშშ-ის სეკულარული კონსტიტუციის მიმართაც. ამგვარი მდგომარეობა არ უწინასწარმეტყველიათ ბაკუნინს, მარქსს ან მე-19 საუკუნის სხვა მოაზროვნეებს, დაწყებული ალექსის დე ტოკვილიდან, ჯონ სტიუარტ მილის ჩათვლით.

მოულოდნელი და არასასურველი ცვლილებები რელიგიურ სფეროში, რასაც ფუნდამენტალიზმს ვუწოდებთ, I მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-შიც წამოიზარდა, "რელიგიური აღორძინების" (Religious revivalism) ტენდენციიდან. მისი ადეპტები მოითხოვდნენ ბიბლიის ტექსტის სიტყვასიტყვით გაგებას. იგივე ტერმინით შეიძლება განისაზღვროს მიმდინარეობები იუდაიზმში, ისლამში, ინდუიზმში, სიქხიზმსა და სინტოიზმში, რადგან გარეშე დამკვირვებლისათვის ანალოგიური ტენდენციებით ხასიათდება. ფუნდამენტალიზმი საფრთხეს უქმნის არამხოლოდ რთულად დამკვიდრებული სეკულარული სახელმწიფოს არსებობას (რომელიც შესაძლოა არც ისე მნიშვნელოვანია ანარქისტებისთვის), არამედ დიდი ბრძოლის შედეგად მოპოვებულ სამოქალაქო თავისუფლებებსაც. ანარქისტი და ანტიკლერიკალიზმის პროპაგანდისტი ნიკოლას ვალტერი გვირჩევს, რომ სერიოზულად მოვეკიდოთ აღნიშნულ საკითხს. ის ამბობს, რომ:

"ორთოდოქსი ქრისტიანები, აშშ-სა და მესამე სამყაროში ცდილობენ აკრძალონ ევოლუციის სწავლება, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება, აბორტი. ორთოდოქს იუდეველებს სურთ მთელი

პალესტინა გააერთიანონ ისრაელთან და დააწესონ იუდაიზმის ტრადიციული, რელიგიური, საყოფაცხოვრებო ადათი - გალაჰა (halachah). მუსლიმი ფუნდამენტალისტები მიისწაფვიან ისლამური რეჟიმი დაამყრონ ყველა ქვეყანაში, სადაც მუსლიმი მოსახლეობაა, მათ შორის, დიდ ბრიტანეთშიც და დაამყარონ ტრადიციული ისლამური ქცევის კოდექსი - შარიათი. ყველა სარწმუნოების წარმომადგენელი ფუნდამენტალისტები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში იყენებენ მკვლელობას და ტერორს, თავისუფლების ჩასახშობად და ამ საკითხებზე ყოველგვარი დისკუსიის შესაწყვეტად''.

ეს ნამდვილი ტრაგედიაა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობისთვის, რომლებიც უბრალოდ ცხოვრობენ, ზრუნავენ ოჯახის გამოკვებაზე და ცდილობენ განიცადონ სიხარული ყოველდღიური საქმიანობისგან. ასევე მათთვის, ვინც ცდილობს კოლექტიური ქმედებით წვლილი შეიტანოს სამყაროს ოდნავ გაუმჯობესებაში და იბრძვის სოციალური სამართლიანობისთვის.

ამ სფეროში, სამთავრობო წნეხი არასოდეს ყოფილა შედეგიანი. საბჭოთა კავშირი 70 წლის განმავლობაში ახდენდა არასასურველი დამოკიდებულების კულტივირებას რელიგის მიმართ, ხან მკაცრი, ხან - სულგრძელი მეთოდებით.

რეჟიმის დამხობის შემდეგ, შეინიშნება მართლმადიდებლობის არნახული აღმავლობა და ნოყიერი ნიადაგია შექმნილი ამერიკელი პროტესტანტი მისიონერებისთვისაც. საბჭოთა ცენტრალური აზიის მდგომარეობის შესახებ, მალიზ რუტვენი ამბობს:

"ისლამურ ტრადიციებზე აღზრდილი ადგილობრივი ელიტა, რომელიც საერთო შტრიხებს პოულობდა ისლამურ და სოციალურ ღირებულებებს შორის, ისევე მარტივად თვალთმაქცობდა ანტირელიგიური ღონისძიებების მოწყობისას, როგორც ბამბის მოსავლის ფალსიფიცირებული ანგარიშების წერისას. რელიგიური ათეიზმის პროპაგანდისტთა დასამშვიდებლად, ყურანის მკითხველი ხანშიშესული ადამიანების შეკრება, სამამულო ომის ვეტერანთა შეხვედრად ინათლებოდა''.

თურქეთში, ქემალ ათათურქი გარკვეულწილად იზიარებდა ბაკუნინის ხედვას რელიგიის თაობაზე და რკინის ხელით ატარებდა პოლიტიკურ კურსს, რომელსაც შეგვიძლია "დე-ისლამიზაცია'' ვუწოდოთ. მისი მონაცვლე ხელისუფლები, რელიგიის აღორძინების საფრთხის გამო, ფასადური დემოკრატიის დამყარებასაც კი ხელს უშლიდნენ. ისტორიის სხვა მონაკვეთში, ირანის შაჰი - დასავლური კურსის ულმობელი გამტარებელი - შეცვალა ფუნდამენტალისტურმა რეჟიმმა, რაც წინასწარ არავის განუსაზღვრავს. ეგვიპტე და ალჟირი იხლიჩება სეკულარული და რელიგიური ელიტების დაპირისპირე-

ბით. აშშ-ში, რესპუბლიკურ პარტიაში იზრდება ქრისტიანული კოალიციის გავლენა, რომელიც ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ლობია. იგი უარს ამბობს რაიმე პასუხისმგებლობაზე სამხრეთ ამერიკაში აბორტის ოპერაციის ჩატარებისთვის მოკლული ექიმის[21] გამო.

ეს სამწუხარო და მოულოდნელია, სეკულარული ანარქისტებისთვის, რომლებიც თვლიდნენ, რომ რელიგიური ომები წარსულს ჩაბარდა და უმჯობესი იქნებოდა ხალხის გამაერთიანებელი და არა მათი გამყოფი საკითხების წამოწევა. მათთვის მისაღებია ანარქიზმის პროპაგანდისტის რუდოლფ როკერის მიდგომა. საუკუნის წინ, ლონდონის აღმოსავლეთით, ვაითჩაპელში, ბრიკ ლეინზე, ებრაულ სინაგოგასთან მომხდარ ამბებთან დაკავშირებით: კლერიკალიზმის ზოგიერთი მოწინააღმდეგე, შაბათობით იკრიბებოდა სინაგოგის წინ და თავხედურად იქცეოდა. როდესაც, როკერს აზრი ჰკითხეს აღნიშნულ დემონსტრაციებზე, მან უპასუხა: მორწმუნეთა ადგილი ტაძარშია, ხოლო ურწმუნოებისა - მიტინგზე. მაგრამ, მას შემდეგ ვითარება შეიცვალა. იგივე შენობაში, ბრიკ ლეინზე, განსხვავებული სარწმუნოება ენაცვლებოდა ერთმანეთს. თავდაპირველად, განთავსებული იყო ჰუგენოტების ეკლესია; შემდეგ სამლოცველო სახლი; სინაგოგა; ახლა კი - მეჩეთი ფუნქციონირებს. მლოცველთა რიცხვის გაზრდით, უკვე ინგლისელი რასისტია გაბრაზებული და არა, ბანგლადეშელი[22] ათეისტი. მძვინვარესა და პირქუშს, სურს შიშის ზარს სცემდეს და პრობლემები გამოიწვიოს.

თუ გავიხსენებთ, ინდოეთის სახალხო პარტიას (Bharatiya Janata – BJP), რომელიც ძალადობით გამოირჩეოდა მორწმუნეების; ასევე, რასობრივი და კულტურული ჯგუფების მიმართ პენჯაბის იმ რაიონებში, სადაც უწინ ყველა მშვიდობიანად თანაცხოვრობდა, მაშინ აღნიშნული სენის სახელწოდება ეთნიკური ნაციონალიზმია და არა - ფუნდამენტალიზმი. ეს ცნება მიესადაგება და აღწერს დედამიწის სხვა წერტილებში მიმდინარე მოვლენებსაც. ამგვარი ექსცესების გამომწვევი მიზეზი, რომლებიც უმეტესად ისლამურ სამყაროს მოიცავს, შეგვიძლია დავინახოთ დასავლური იმპერიალიზმის კოლონიალურ პოლიტიკაში, ადგილობრივი კულტურების დევალვაციასა და დამცირებაში.

დიდი სიმართლეა ედვარდ საიდის[23] მიერ დასმულ რთულ დიაგნოზში:

"ტერორიზმისა" და ფუნდამენტალიზმის" გადაჭარბებული ბოროტების სურათებით (დავარქვათ მათ, საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ხატებები) გამოწვეული შიში... ხელს უწყობს პიროვნების დამორჩილებას არსებული გაბატონებული ნორმებისადმი. ეს მექანიზმი ერთნაირად მოქმედებს როგორც პოსტ-კოლონიალურ საზოგა-

დოებაში, ისე მთლიანად დასავლეთში და კერძოდ, აშშ-ში. ამგვარად, ტერორიზმისა და ფუნდამენტალიზმის ანომალიასთან დასაპირისპირებლად, ვაძლიერებთ გადაწყვეტილების მიმღები, ბუნდოვანი, "დასავლური" (ან ლოკალური, სავარაუდოდ პატრიოტული) ეთოსის ზომიერებას, რაციონალობას. ირონია იმაში მდგომარეობს რომ ვახასიათებთ რა დასავლურ ეთოსს სანდო, საიმედოდ დაცულ "ნორმალურობად", ვაკავშირებთ მას პრივილეგიასა და პირდაპირობასთან. აღნიშნული დინამიკა სიბრაზით და თავდაცვის გაძლიერების სურვილით გვავსებს. ამ დროს, "სხვები", საბოლოო ჯამში, განიხილებიან როგორც ჩვენი ცივილიზაციისა და ცხოვრების წესის დანგრევისადმი მიდრეკილი მტრები". (Edward W. Said; "Culture and Imperialism", 1993).

შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები საუკუნეების მანძილზე იყვნენ ამა თუ იმ სახის იმპერიალიზმის სამიზნე. მათ კულტურას დასცინოდნენ და ზემოდან უყურებდნენ. ევროპული სახელმწიფოები და ბიზნესმენები თვითნებურად ავლებდნენ რუკაზე მათი ქვეყნების საზღვრებს. დღეს ამ ქვეყნებს აფასებენ ნავთობის რესურსების ან ბაზრის პოტენციური მოცულობის მიხედვით. არადა, ამ ქვეყნების ხელშია იარაღის უზარმაზარი არსენალი, რომლითაც ცივი ომის პერიოდში აავსო ორივე დაპირისპირებულმა მხარემ. გადაჭარბებული კონსუმერიზმის დასავლური სეკულარული რელიგია აიტაცეს შუა აღმოსავლეთის მმართველებმაც, მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი შესთავაზეს გაღატაკებულ ქვეშევრდომებს, გაცრუებული იმედების გარდა.

კიდევ ერთი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი აქვს წამოწეული მაროკოელ მეცნიერს, ფატიმა მერნისს. საკუთარი წიგნის "ქალი და ისლამი" ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში, ის წერს:

"როდესაც წიგნის წერა დავასრულე, ერთი მარტივი რამ გავიაზრე - თუ ზოგიერთი თანამედროვე მუსლიმი მამაკაცისთვის პრობლემას წარმოადგენს ქალთა უფლებები, ეს ხდება არა ყურანის, მოციქულის ან ისლამური ტრადიციის გამო, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ ეს უფლებები ეწინააღმდეგება მამაკაცური ელიტის ინტერესებს. ელიტური დაჯგუფება ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მათ ეგოისტურ, უკიდურესად სუბიექტურ და არაორიგინალურ წარმოდგენას კულტურის და საზოგადოების შესახებ წმინდა საფუძველი აქვს".

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, სხვა მემარცხენე ჯგუფებთან ერთად, ანარქისტებიც ტერიტორიულ და რელიგიურ სეპარატიზმს განიხილავდნენ, როგორც არარელევანტურ მოვლენას. დღევანდელობის შემყურე, ისინი მხოლოდ იმედს გამოთქვამდნენ, რომ ფანატიკოსები დაკარგავენ სტიმულს მას შემდეგ, რაც მათი ლიდერები აღიარებენ, რომ არავინ მიჰყვებათ. რადგან, ადამია-

ნებს უფრო საინტერესო, სასიამოვნო (ან ბოლოსდაბოლოს, ნაკლებად ლეტალური) საკითხები აქვთ მოსათათბირებელი მეზობლებთან.

თავი 5
სასჯელაღსრულების დაწესებულებები და შრომის განთავისუფლება

ბასტილიის აღებიდან სტალინის სიკვდილამდე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ანარქისტებს მდიდარი მასალა დაუგროვდათ სასჯელაღსრულების სისტემის გასაკრიტიკებლად. პირველ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, მხოლოდ 7 ადამიანი გამოვიდა ბასტილიიდან, ხოლო სტალინის სიკვდილის შემდეგ - მილიონობით დაპატიმრებული, ეტაპობრივად. პირადი გამოცდილების ერთგვარი ანგარიში იყო კროპოტკინის პირველი წიგნი "რუსეთის და საფრანგეთის ციხეებში" (In Russian and French Prisons; 1887) და ალექსანდრე ბერკმანის "ანარქისტის ციხის მემუარები" (Prison Memoires of an Anarchist; 1912).

სწორედ, კროპოტკინს ეკუთვნის ფრაზა: "ციხე კრიმინალური უნივერსიტეტია". მისი დაკვირვებები დღესაც დასტურდება. ნებისმიერი დამნაშავისთვის, თავისუფლების პირველი აღკვეთა იმის გარანტიაა, რომ თვითონ და კამერაში მასთან ერთად მსხდომნიც, გაცილებით უფრო დახვეწენ წვრილი ქურდობის კრიმინალურ ტექნიკას და ეს, მხოლოდ პირველი საფეხური იქნება მომავალ "საპატიმრო კარიერაში". 1886 წელს კროპოტკინმა განაცხადა, რომ ურთიერთდახმარებაზე დამყარებული საზოგადოება, გაცილებით ნაკლებად დაიტანჯება კრიმინალური აქტივობისგან, ვიდრე შეჯიბრებაზე ორიენტირებული:

"პოლიტიკური ორგანიზაციის არმქონე და შესაბამისად, ჩვენზე ნაკლებად გადაგვარებულმა ხალხებმა იცოდნენ, რომ დამნაშავედ წოდებული ადამიანი უბრალოდ უბედური არსებაა; ამასთან, გამოსწორების საშუალება არ არის როზგი, ბორკილები, სიკვდილით დასჯა ეშაფოტზე ან ციხის საკანი. საჭიროა, მზრუნველობით მოპყრობა; თა-

ნასწორობაზე დამყარებული ურთიერთობა და თანაცხოვრება, პატიოსან ადამიანებს შორის მიღებული ცხოვრების წესის მიხედვით''.

მე-20 საუკუნეში, მსოფლიო ომების დროს, ამერიკისა და ინგლისის მთავრობამ ომის მოწინააღმდეგეები საპატიმროში გამოკეტა. ამ ნაბიჯმა, შეიძლება ითქვას, ხელი შეუწყო პენიტენციური სისტემის რეფორმირების დაწყებას. დაპატიმრებულ გამპროტესტებლებს, I მსოფლიო ომის პერიოდში უკვე მოუწიათ დიდი სირთულეების გადატანა. მათი დახასიათება სხვა მხრივაც შეიძლება: ისინი, როგორც წესი, განათლებული ხალხი იყნენ და ყურადღებით აკვირდებოდნენ როგორც საერთო ვითარებას, ისე სხვა პატიმრებსაც. ამას გარდა, მორალური უპირატესობის განცდა ჰქონდათ ციხის ადმინისტრაციასთან მიმართებით, რადგან მიყენებული დამცირება არ იყო მათი ქმედების ანარეკლი, არამედ იმ მოქალაქეებისა, ვინც ისინი ციხეში გამოკეტა.

აღნიშნულმა დამკვირვებლებმა გაიგეს და ხმამაღლა განაცხადეს იგივე, რასაც მე-19 საუკუნის რეფორმატორები ამბობდნენ: ქურდობის, წვრილმანი ხულიგნობის, ნარკოტიკებით ვაჭრობის, მთვრალი დებოშის გამო ბრალდებულების უმეტესობა ისეთი გარემოდან წარმოდგება, რომ მათი მომავალი პატიმრობა, პრაქტიკულად გარდაუვალია.

ბევრ ჩვენგანს რომ შეესწავლა ერთი პატიმრის ციხეში შენახვის ღირებულება, დაინახავდა რომ საფასური ბევრად აღემატება ჩვენს შემოსავლებს. შესაძლოა, მაშინ გულმხურვალედაც მოგვდომებოდა შეგვესმინა რეფორმატორების გაფრთხილება და ყურადღება მიგვექცია ციხეში გამწესებულთა ცხოვრების ზოგად ფაქტორებზე. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში დამნაშავეების ბიოგრაფიაში ფიგურირებს ბავშვთა სახლი, ფსიქიკური წონასწორობის დარღვევა ან სწავლის პროცესის ჩავარდნა. მათ რიცხვს უმეტეს წილად მამაკაცები შეადგენენ.

მე-19 საუკუნის ბოლოს, ამერიკასა და ინგლისში, ციხის ალტერნატიული სამსახურის - პრობაციის სისტემის შემოღება, ზემონახსენები ფაქტორების გააზრების ერთ-ერთი შედეგი იყო. პრობაციის ოფიცერს ევალებოდა პირობით განთავისუფლებული პირის მრჩეველი და მეგობარი გამხდარიყო, დახმარებოდა ნორმალური პროფესიული თუ საოჯახო ცხოვრების წარმართვაში. მე-20 საუკუნის განმავლობაში, ნელი ტემპით მიმდინარეობდა სასჯელაღსრულების სისტემის ჰუმანიზაცია, რისი შთამაგონებლებიც იყვნენ ომის პერიოდში დაკავებული და პატიმრობის პირადი გამოცდილების მქონე რეფორმატორები. რეფორმას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა პენიტენციური სისტემის დაწესებულებათა პერსონალი.

მაგრამ ზოგიერთი ციხის ხელმძღვანელობა დროდადრო ნებას რთავდა სპეციალისტებს, ფსიქოთერაპევტებს, ჩაეტარებინათ ექსპერიმენტი. იმედის მომცემი რეზულტატი არწმუნებდა თანამშრომლე-

ბს, რომ მათი სტატუსი და სამუშაოთი კმაყოფილება გაიზრდებოდა თუ საქმეს მიუდგებოდნენ არა - ზედამხედველის, არამედ თერაპევტის პოზიციიდან. ბევრი ანარქისტი სკეპტიკურად უყურებდა პენიტენციური სისტემის ცივილიზების მცდელობებს ისევე, როგორც პრესა, რომელიც საპატიმროს უწოდებდა საზაფხულო ბანაკს (და სინამდვილეში ორივე ცნების უცოდინრობას ამჟღავნებდა).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, მრავალ ქვეყანაში შემცირდა პატიმართა რიცხვი (საპირისპირო ვითარება იყო საბჭოთა კავშირსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში). დევიდ კეილი[24] განმარტავს:

"კარგი მაგალითია ნიდერლანდები. ომის შემდგომი შეფარდება - 90 პატიმარი 100 000 მაცხოვრებელზე, 1975 წლის მონაცემებით შემცირდა და გასაოცარ ნიშნულამდე დავიდა - 17 პატიმარი 100 000 მოსახლეზე... ჰოლანდიელმა კრიმინოლოგმა ვილემ დე ჰაანმა ერთხელ თქვა, რომ დაპატიმრებულთა რიცხვის კლება გამოიწვია "დანაშაულის გრძნობის პოლიტიკამ" (politics of bad conscience).

მაგრამ, 1970-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, "დანაშაულის გრძნობის პოლიტიკა'' ჩაანაცვლა, როგორც კრიმინოლოგი ენდრიუ რეზერფორდი უწოდებს, "გისოსებს მიღმა სუფთა სინდისით'' (politics of good conscience about imprisonment) აღმოჩენის მიდგომამ. კრიმინალური სტატისტიკის ინტერპრეტირება რთულია, რადგან ეს არის მთელ რიგ დანაშაულთა ჩადენის გამო დაკავებულთა რაოდენობა, რომელსაც პოლიცია აღნუსხავს. მაგრამ სასჯელაღსრულების დაწესებულებების სტატისტიკა ხელმისაწვდომია და იგი საგანგაშო სურათს გვიჩვენებს. 1998 წელს, დევიდ კეილი გვამცნობს:

"1990-დან 1995 წლამდე, მილიონ-ნახევარი ამერიკელი პატიმრის განთავსებისთვის აშენდა 168 სახელმწიფო და 45 ფედერალური საპატიმრო. თუმცა, ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი ახალი პატიმრების მისაღებად... აშშ-ში, უამრავმა შავკანიანმა და ლათინო ამერიკელმა მოქალაქემ იწვნია საპატიმროს სასტიკი ეფექტი. ამიტომ, წინასწარმეტყველება რეალობად იქცა. რაც უფრო მეტი ამერიკელი გადაიტანს სასტიკ მოპყრობას მართლმსაჯულების სისტემისგან, მით უფრო გამართლებულად წარმოდგება მათი საქციელი და შესაბამისი მკურნალობა იქნება საჭირო''.

2000 წლის მონაცემებით, აშშ-ის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ორი მილიონი პატიმარი იყო გამწესებული. ნიუ იორკის უნივერსიტეტში, კრიმინალური ვითარებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, სოციოლოგმა დევიდ დოუნსმა[25] აღნიშნა, რომ ამ რაოდენობის ადამიანი არცერთ სხვა ქვეყანას არ გაუგზავნია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ხოლო, სასამართლო სისტემის წყალობით,

აფროამერიკელი მოქალაქე ცხოვრების განმავლობაში, ოთხიდან ერთ შემთხვევაში, დიდი ალბათობით ერთხელ მაინც აღმოჩნდება გისოსებს მიღმა. მაშინ, როდესაც თეთრკანიანის შემთხვევაში შეფარდება არის ერთი ოცდასამთან. პროფესორ დევიდ დოუნსს ჰკითხეს, გაიზიარებს თუ არა ევროპა ამერიკის მაგალითს. მისი აზრით - "ყველა წინაპირობა არსებობს პატიმართა რიცხვის გაზრდისთვის''. მართლაც, ევროპაში თავისუფლებააღკვეთილი მოქალაქეების რაოდენობით ინგლისი ლიდერობს. პოლიტიკოსები და პუბლიკა უარყოფს ანარქისტებისა და პენიტენციური სისტემის რეფორმატორთა ალტერნატიულ მიდგომებს. მაგრამ, ამ უკანასკნელთ არ შეუცვლიათ პოზიცია. თუმცა, იძულებული არიან დაელოდონ საზოგადოებრივი აზრის ცვლილებას.

სამართალდარღვევათა და სამართლის დაცვის სფეროში მხოლოდ ერთი მიმართულება არსებობს, სადაც დეკრიმინალიზაციის მომხრეთა რიცხვი იზრდება და შესაძლოა ხელი შეუწყოს პატიმართა რაოდენობის შემცირებას. ლაპარაკია, ნარკომომხმარებლებსა და გამავრცელებლებზე. ყველა თანხმდება, რომ ამ მიმართულებით გატარებული პოლიტიკა ძვირადღირებული ჩავარდნა გამოდგა. დევიდ კეილის სიტყვებით: "ბოროტების დამარცხების მაგივრად, უფრო დიდი ბოროტება გამოვზარდეთ''. კიდევ ერთი პარადოქსი: ბევრმა ნარკომომხმარებელმა აღმოაჩინა, რომ მათთვის საჭირო პრეპარატი ციხეში უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე გარეთ. კარგი იქნება გავიხსენოთ ანარქისტ ერიკო მალატესტას მოსაზრება, რომელიც იქამდე გამოთქვა, სანამ ჩვენი მშობლები ან კიდევ უფრო წინა თაობა გაიაზრებდა ნარკომანიის პრობლემას:

"ეს არის კანონმდებლების ძველი შეცდომა, რასაც უცვლელი გამოცდილების მიუხედავად, ისევ და ისევ უშვებენ. გამოცდილება შემდეგში მდგომარეობს: როგორი ულმობელიც არ უნდა იყოს კანონი, ის ვერასოდეს აღმოფხვრის მანკიერებას და ვერ შეაფერხებს დანაშაულის ჩადენას. რაც უფრო ულმობელია სადამსჯელო ღონისძიება კოკაინის მომხმარებლისა და გამსაღებლის წინააღმდეგ, მით უფრო მიმზიდველია აკრძალული ნაყოფი ნარკომანისთვის და მით უფრო მეტია, ფულზე დახარბებული საქმოსანის მოგება.

ამიტომ, კანონის იმედად ყოფნა ფუჭი საქმიანობაა. ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზა. საჭიროა შეზღუდვის მოხსნა კოკაინის მოხმარებასა და გასაღებაზე; ამას გარდა, კიოსკების გახსნა, სადაც ის გაიყიდება თვითღირებულების ფასად ან უფრო იაფადაც; ამის შემდეგ, გრანდიოზული ახსნა-განმარტებითი პროპაგანდის ჩატარება. საზოგადოებას უნდა მიეცეს საშუალება, მაგალითით დაინახოს, რამდენად საზიანოა კოკაინი. კონტრ-პროპაგა-

ნდის შიში არ შეიძლება გვქონდეს, რადგან ნარკომანის უბედურება, სარეკლამო მიზნებისთვის არ გამოდგება.

რა თქმა უნდა, კოკაინის დამღუპველი მოხმარება მთლიანად არ გაქრება. რადგან ისევ იარსებებს ნარკომანიის გამომწვევი სოციალური მიზეზები, რაც ამ უბედურებს უბიძგებს ნარკოტიკისკენ. მაგრამ ბოროტება შესამჩნევად შემცირდებოდა. ვერავინ მიიღებდა მოგებას გაყიდვიდან და არავინ მოახდენდა სპეკულირებას გამსაღებლებზე ნადირობით. ზუსტად ამ მიზეზით, ჩვენს წინადადებას არავინ დაუგდებს ყურს ან შეუძლებელ სიგიჟედ ჩათვლის. მხოლოდ, ბრძენი და პირადი ინტერესების არ მქონე ადამიანი ჩაფიქრდება: „რაკი სისხლის სამართლის კანონმდებლობა სრულიად უუნაროა, იქნებ ექსპერიმენტის სახით ანარქისტული მეთოდი გვეცადა?!'' (Umanità Nova; 2 სექტემბერი, 1920).

ევროპის ორ ქალაქში, ციურიხსა და ამსტერდამში მსგავსი პოლიტიკის გატარება სცადა ადგილობრივმა მთავრობამ. ხოლო ინგლისში, 21-ე საუკუნის დასაწყისში, ანალოგიური აზრი გამოთქვა ორმა მთავარმა კონსტებლმა. პრესა აჭრელდა სენსაციური სათაურებით, მაგრამ ამას პრაქტიკული მხარდაჭერა არ მოჰყოლია.

დიდი ბრიტანეთის მთავარი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა კაპიტალი დააგროვეს პოპულისტური რიტორიკით, რაც გულისხმობს: დამნაშავეთა მიმართ "მოკლე, უხეში შოკის'' გამოყენებაზე საუბარს; მათი ახალწვეულთა სამხედრო მომზადების ბანაკებში გაგზავნის იდეას; პრობაციის სამსახურის მცდელობის შეზღუდვას, პატიმრების განთავისუფლების საქმეში. პოლიტიკური პროგრამებისთვის დამახასიათებელი წყვეტილი, ერთმარცვლიანი, სტაკატოს ჟღერადობის ენა ნათელს ხდის, რომ მთავარი მიზანი არ არის დამნაშავეობის პრობლემის გადაჭრა, არამედ ყვითელი პრესის დაკმაყოფილება, რომელიც პენიტენციური პოლიტიკის რეალური განმსაზღვრელია. აშშ-ში, რესპუბლიკური პარტიის წარმატება არჩევნებში დაკავშირებულია მოწინააღმდეგეების, როგორც "კრიმინალისადმი გულჩვილი დამოკიდებულების" მქონეთა წარმოჩენის ტექნოლოგიასთან.

გაიზარდა თვითმკვლელობების რიცხვი წვრილმანი ხულიგნობისთვის დაკავებულ ახალგაზრდა პატიმრებს შორის, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული არ წარმოადგენდა დიდ საფრთხეს საზოგადოებისთვის. სრულიად ნათელია, რომ საპატიმრო არ შველის დანაშაულის რიცხვის შემცირებას. როგორც ამ საკითხის შესახებ განაცხადა მარგარეტ ტეტჩერის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ლორდმა უედინგტონმა: "ციხე ძვირადღირებული გზაა იმისათვის, რომ გზასაცდენილი ადამიანი უარესი გახდეს''. პოლიტიკოსებსაც კი არ სჯერათ, მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკის. ეს მოსალოდნელიც არის, თუ



შრომის განთავისუფლება: სახელოსნო, კლიფორდ ჰარპერის წარმოდგენით.

კარგად შევისწავლით სტატისტიკას. 2003 წლის ანგარიშის მიხედვით, სასჯელმოხდილი ბრიტანელი ახალგაზრდების 84 % კვლავ არღვევს კანონს. სავარაუდოდ, აშშ-ის სტატისტიკური მაჩვენებელი გადააჭარბებდა ამ შედეგს.

საკითხები, რომლებსაც დღის წესრიგში აყენებენ ანარქისტები და პენიტენციური სისტემის რეფორმირებისთვის მებრძოლები, არ გაქრება. მაგრამ, ყვითელი პრესის მიერ მანიპულირებულ საზოგადოებაში, უფრო რთულად გადასაჭრელი გახდება.

კიდევ ერთი საკვანძო საკითხი, რომელიც ანარქიზმის ისტორიის ადრეულ ეტაპზე წარმოიშვა, ეხება შრომის სფეროს. როგორც წესი, ანარქიზმის პიონერები ცდილობდნენ ურთიერთობა დაემყარებინათ ახლად წარმოქმნილ ტრედ-უნიონისტულ მოძრაობებთან. ანარქისტები დაკავშირებული იყვნენ პროფკავშირული მოძრაობის რადიკალურ ფრთასთან და ანარქო-სინდიკალიზმის პროპაგანდას ეწეოდნენ (ფრ. სიტყვიდან "syndicat" - გაერთიანება, კავშირი). ანარქო-სინდიკალიზმი, ნებისმიერ ლოკალურ, ინდუსტრიულ მშრომელთა ბრძოლას განიხილავს გენერალური გაფიცვისაკენ გადადგმულ ნაბიჯად, რომელიც კაპიტალისტური სისტემის კოლაფსს გამოიწვევს და მშრომელთა გამარჯვებით დასრულდება.

საფრანგეთის "შრომის საყოველთაო კონფედერაციის" (CGT – Confederation Generale du Travail) და "ესპანეთის შრომის ეროვნული კონფედერაციის" (CNT – Confederation National del Trabajo) საქმიანობა, მძლავრ მასობრივ მოძრაობაში გადაიზარდა. მოგვიანებით, მათ რიცხვს შეემატა "მსოფლიოს ინდუსტრიული მშრომელები" (IWW – Industrial Workers of the World), აშშ-ში. რა თქმა უნდა, ხშირი იყო წევრებს შორის შიდა კონფლიქტები. იყვნენ ისეთები, ვინც მზად იყვნენ ებრძოლათ და ზოგჯერ მოეგოთ მცირე, ლოკალური ბრძოლა მოკრძალებული დათმობების ფასად და იყვნენ ისეთი აქტივისტებიც, რომლებიც იმედოვნებდნენ ფინალურ გაფიცვამდე მიეყვანათ ყველაზე უმნიშვნელო კამათიც, რათა კონტროლი დაემყარებინათ წარმოების საშუალებებზე, მოეხდინათ "ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია" და წარმოება გაგრძელებულიყო მშრომელთა კონტროლის ქვეშ.

შრომის განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზნის გაფერმკრთალებას მუშათა მოძრაობაში არ შეუმცირებია უფსკრული რეფორმისტებსა და რევოლუციონერებს შორის. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული დამსაქმებელთა ახალ იარაღთან, რომელიც მიმართულია მშრომელთა მოთხოვნების წინააღმდეგ: "დათანხმდით შემოთავაზებულ პირობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიწევს წარმოების და თქვენი სამუშაო ადგილების გადატანა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ან ლათინურ ამერიკაში, სადაც სიამოვნებით დათანხმდებიან ჩვენს პირობებს". კა-

პიტალის მფლობელი რჩება მდიდართა სამფლობელოში და მარაგდება სამუშაო ძალით განვითარებადი ქვეყნებიდან. თუ მშრომელი მოითხოვს წარმოებული პროდუქტის მეტ წილს, მაშინ მწარმოებელს შეუძლია უბრალოდ მიაშუროს შრომის კიდევ უფრო დაჩაგრულ ბაზარს, სხვა ქვეყანაში.

მდიდართა ფენის განკარგულებაშია 'ფარული' სამუშაო ძალაც. ხილ-ბოსტნეულის კრეფით და სორტირებით დაკავებული არიან გასტარბაიტერები: უკანონო იმიგრანტთა ჯგუფები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპიდან წამოსული ყოფილი საჯარო მუშაკები არიან. ისინი დაგვიანებულ ხელფასებს ელოდნენ საკუთარ ქვეყნებში. ასევე, სტუდენტები, ემიგრანტები. მშრომელთა ყველაზე დაუცველი ფენის წარმომადგენლები მუშაობენ ქოლ-ცენტრებში, დაწყებული ბრიტანეთის პროვინციებიდან, დამთავრებული ქალაქ ბანგალორით, ინდოეთში.

საუკუნის წინ, ბრიტანეთში - "ახალმა ტრედ-უნიონიზმმა" და აშ-შ-ში - "მსოფლიოს ინდუსტრიულმა მუშებმა" დაიწყეს მრავალრიცხოვანი, კვალიფიკაციის არმქონე, "ოფიციალური" ეკონომიკის ფარგლებს გარეთ, უმიზნოდ მცხოვრები მშრომელების ორგანიზება და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს. იმავე პერიოდში, ანარქისტმა პეტრე კროპოტკინმა მიმართა ინგლისის პუბლიკას, რომელიც ამაყად უწოდებდა ბრიტანეთს "მსოფლიოს სახელოსნოს". თითქოს, იმ მომენტში მთელი პლანეტა დამოკიდებული ყოფილიყო ლანკაშირულ ქსოვილებზე, ნიუკასლის ქვანახშირზე ან ხომალდებზე, მდ. კლაიდის შესართავიდან. 1899 წელს, კროპოტკინის წიგნის "მინდვრები, ფაბრიკები და სახელოსნოების" დაწერის ერთ-ერთი მიზანი იყო მცირე საწარმოების როლის დემონსტრირება. სანამ პოლიტიკოსები და ეკონომისტები ძირითადად მსხვილი საწარმოებით ინტერესდებოდნენ, ამ დროს სასაქონლო წარმოების უდიდესი წილი მოდიოდა ადგილობრივ სახელოსნოებსა და მცირე საწარმოებზე. ელექროენერგიის და თანამედროვე ტრანსპორტის გამოგონებამ გამოიწვია წარმოების დეცენტრალიზაცია. კროპოტკინი ამტკიცებდა, რომ გაჩნდა თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება, არა მარტო სამუშაოს ადგილმდებარეობის, არამედ მისი ინდივიდუალური მიდრეკილების მიხედვით შერჩევის კუთხითაც. შესაძლებელი გახდა ინტელექტუალური და ფიზიკური შრომის გაერთიანება, რაც კროპოტკინის იდეალი იყო ინდუსტრიულ მრეწველობაში.

ანარქისტებს იშვიათად გადაეყრებით კარიერული დასაქმების სულ უფრო შემცირებულ სამყაროში, იქნება ეს მსხვილი წარმოება თუ სახელმწიფო მართვის სისტემა. მათი ნიშა უფრო არაფორმალურ და მცირე ეკონომიკას მიეკუთვნება. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ გა-

ვიხსენებთ, რომ ინდუსტრიული ფსიქოლოგიის სფეროში მომუშავე სპეციალისტების კვლევით: შრომით მიღებული სიამოვნება პირდაპირ კავშირშია "ავტონომიის ხარისხთან", რაც ნიშნავს სამუშაო დღეების ან კვირების რაოდენობის ისეთ პროპორციას, როდესაც მუშაკს საშუალება ეძლევა თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. დღევანდელ პოსტინდუსტრიულ სამყაროში, წვრილი მეწარმე სულაც არ ცდილობს ტეტჩერიზმის შრომის გმირი გახდეს. ის უფრო კრეატიული ამბოხებულია იმ იძულების წინააღმდეგ, რომ ან დამსაქმებელი იყოს, ან მშრომელი. პოლ ტომპსონის[26] თქმით:

"ასი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სამუელ სმაილსის[27] წარმოსახულ, მიზანდასახულ ბიზნესმენს ურჩევნია განზე გადგეს. მათ არ მოსწონთ თანამედროვე კაპიტალისტური ეთიკა. განსაკუთრებით, დაქირავებულ მშრომელად ყოფნა. სამაგიეროდ, მათ იდეალს უფრო შეეფერება "სერვისის გაწევის" ან "კარგი სამუშაოს" ცნება. ხშირად, შემთხვევის წყალობით პოულობენ ნამდვილ მოწოდებას. უფრო მეტიც, ისინი ვერ გახდებიან საყრდენი, შემდგომი სამრეწველო რევოლუციისთვის, რადგან არ სურთ გაფართოება. მათთვის სამუშაოზე ახალი მუშაკების მიღება პატარა კოლექტივში მეგობრული ურთიერთობის დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა".

ამგვარი დასკვნები შორს არის ანარქო-სინდიკალისტების გეგმებისგან, რომლებსაც ქარხნების მშრომელების ხელში ტრიუმფალური გადასვლის მოლოდინი ჰქონდათ. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ანარქისტებისა და მოქალაქეთა უზარმაზარი რაოდენობის მისწრაფებები ძალზე ახლოს არის ერთმანეთთან, რადგან ეს უკანასკნელნი გაბატონებული, დაქირავებული შრომის კულტურის ხაფანგში გამომწყვდეულებად გრძნობენ თავს.

თავი 6
თავისუფალი განათლება

ანარქისტული ნაშრომების ანთოლოგიის რედაქტორები აღნიშნავენ, რომ დაწყებული უილიამ გოდვინის 1783 წლის სკოლის შესახებ ბროშურიდან, დამთავრებული პოლ გუდმანის[28] 1964 წელს გამოცემული წიგნით 'სავალდებულო ცუდი განათლება'' (Compulsory Miseducation), "არ ყოფილა სხვა პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც თავისი ლიტერატურული თუ პრაქტიკული მოღვაწეობისას, ამდენ ყურადღებას დაუთმობდა საგანმანათლებლო კონცეფციას, ექსპერიმენტებს, პრინციპებს და პრაქტიკულ მეთოდებს''. გოდვინის ტრაქტატი გამოქვეყნდა სათაურით - „12 მოწაფისთვის განკუთვნილი სემინარიის ანგარიში, რომელიც გაიხსნება ორშაბათს, 4 აგვისტოს, ეპსომში, სურეიში.'' გოდვინმა ვერ დაარწმუნა საკმარისი რაოდენობის მშობელი, ამიტომ სკოლის დაარსება ვერ მოხერხდა. ბროშურაში, ის წერს:

"თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა ზიანს აყენებს ჩვენი ახალგაზრდების ჯანმრთელობას, რადგან სწირავს სასტიკი მონობისთვის. უფრო მეტიც, გონებას ურევს გაუგებარი ჟარგონის სავალდებულო დასწავლით და ნაკლები ყურადღება ეთმობა მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული სწავლის პროცესის დანერგვას.'' გოდვინი შემდეგ დასძენს: "მთელ სამყაროში არ არსებობს იმაზე უფრო საბრალო არსება, ვიდრე ყოველი შეხედვისას დამფრთხალი ბავშვია, რომელიც გაურკვეველი შფოთვით შესცქერის პედაგოგის კაპრიზებს.''

მისი ბიოგრაფი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ გოდვინის მოგვიანებით დაწერილ წიგნში "მკვლევარი'' (The Enquirer; 1797) "ყველაზე გამორჩეულ და მოწინავე იდეებს ვეცნობით განათლების თაობაზე, რაც კი ოდესმე დაწერილა''. წიგნის დიდებულ შესავალში ვკითხულობთ, რომ "განათლების, ისევე, როგორც ნებისმიერი მორალური პროცესის ჭეშმარიტი არსი ბედნიერების წარმოშობაში უნდა

მდგომარეობდეს''. ავტორი საუბრობს ბავშვის უფლებაზე და იცავს მას უფროსების ძალაუფლების ავტომატური გავრცელებისგან. საინტერესოა, გოდვინის შემდეგი დაკვირვება:

"ამბობენ, რომ ბავშვი თავისუფალია ყოველგვარი საზრუნავისგან. ნუთუ, ეს მართალია? დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ზრუნვას, ყველაზე დიდი ნუგეში მოაქვს. ამ სამყაროში, არ არსებობს საკუთარი არსებობისა და მნიშვნელობის გაცნობიერებაზე უფრო დიდი სიხარული. ჩვეულებრივ კი, ბავშვი გრძნობს რომ არაფერს წარმოადგენს. როგორც წესი, ზომაზე მეტად წინდახედული მშობელი ხელს აძლევს შვილის ამგვარი განწყობის შენარჩუნებას. არ შეგიმჩნევიათ, ბავშვის განუზომელი ბედნიერება, როდესაც ხედავს, რომ ღირსება გააჩნია, ენდობიან და უფროსები რჩევას ეკითხებიან?''

იმავე პერიოდში, ზემოხსენებული ორი გახმაურებული მანიფესტის გარდა, გოდვინმა თავისი ყველაზე ცნობილი წიგნი დაწერა - "კვლევა პოლიტიკური სამართლიანობის შესახებ'' (Enquiry Concerning Political Justice; 1793). წიგნში, მან მკვეთრად გადაუხვია გავრცელებულ ბრიტანულ "პროგრესულ თვალსაზრისს'' და დაშორდა განმანათლებლების - რუსოს, ჰელვეციუსის, დიდროს და კონდორსეს პოზიციას. ასევე ყველას, ვისი წინადადებაც იყო ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის შექმნა და "იდეალური სახელმწიფოს'' შენების იდეა, რაც გოდვინის აზრით, წინააღმდეგობრივი სიტყვათშეთანხმება იყო. გოდვინის პოზიცია, სამ ძირითად პუნქტშია გამოკვეთილი:

"პირველ რიგში, ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის მიერ მიყენებული ზიანი მის უცვლელ მუდმივობაში მდგომარეობს... სახელმწიფო განათლება დიდ ენერგიას ხარჯავს ცრურწმენების შესანარჩუნებლად... ეს თვისება ყველა სახის სახელმწიფო ორგანიზაციისთვის არის დამახასიათებელი. საკვირაო სკოლის შემთხვევაშიც კი, რომელიც თითქოს არც თუ ისე მნიშვნელოვანია, გაკვეთილების ძირითადი ნაწილი ეძღვნება ანგლიკანური ეკლესიის მიმართ მოწიწების ჩამოყალიბებას და მდიდარ ტანისამოსში გამოწყობილი ნებისმიერი ადამიანის დანახვისას თავის დაკვრის ჩვევის გამომუშავებას.

მეორე რიგში, განათლების ეროვნული სისტემა სრულიად უგულებელყოფს გონების თვისებას და ბუნებას. კარგია ყველაფერი, რასაც ადამიანი თვითონ აკეთებს საკუთარი თავისთვის. ცუდად კეთდება ის, რის გაკეთებასაც მისთვის ცდილობენ მეზობლები ან ქვეყანა. მთელი სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანში გავაღვიძოთ მოთხოვნილება, იმოქმედოს საკუთარი თავისთვის და არ დარჩეს მუდმივი არასრულწლოვანების მდგომარეობაში...

და მესამე, განათლების ეროვნული სისტემის პროექტმა უმჯობესია, არ მოიპოვოს მხარდაჭერა, რადგან აშკარად არის დაკავშირებუ-

ლი ხელისუფლებასთან. ეს ერთობა, უფრო საშიში ბუნებისაა, ვიდრე უძველესი და შერყეული ავტორიტეტის მქონე ალიანსი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. უმჯობესია, დავფიქრდეთ რას ვაკეთებთ იქამდე, სანამ მართვის ძლიერ ბერკეტს გადავცემდეთ ამბიციურ სუბიექტს. ხელისუფლება დაუყოვნებლივ გამოიყენებს მას, საკუთარი ძალაუფლებისა და ინსტიტუტების გასაძლიერებლად... საგანმანათლებლო სისტემის ინიციატორების თვალსაზრისი, მათი პოლიტიკური ხედვის ანალოგიური იქნება...

გონივრული იქნება დავუშვათ, რომ თავისუფალ ქვეყნებშიც მოსალოდნელია მნიშვნელოვანი გადაცდომები, ხოლო ეროვნული სისტემა მიდრეკილია "უკვდავყოს" შეცდომები და ყველა გონება ერთი თარგის მიხედვით აღზარდოს".

გოდვინის ზოგიერთი მომხრე განაცვიფრა "პროგრესული" ინიციატივის უარყოფამ. მათ ახსოვდათ მძიმედ გადატანილი ბრძოლა თავისუფალი, საყოველთაო და სავალდებულო განათლებისთვის 1870-იან წლებში და შემდგომ, ინგლისსა და აშშ-ში (უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისსა და აშშ-ში გამოყენებული ტერმინები, ხშირად დაბნეულობას იწვევს. აშშ-ში Public School ნიშნავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ, დაწყებითი და საშუალო საფეხურის სკოლას. ინგლისში, სიტყვები - Private და Public - აღნიშნავს პრივილეგირებულ კერძო სკოლას, რომელსაც შეძლებული მშობლები აფინანსებენ. ხოლო, სახელმწიფო ანუ ადგილობრივი მმართველობის ქვეშ არსებულ სკოლებს, ეწოდება - State School). 1970 წელს, "ბრიტანეთის პედაგოგთა ეროვნული კავშირის" ასი წლისთავისადმი მიძღვნილ გამოცემაში შემდეგ განმარტებას ვკითხულობთ: "რელიგიური და საქველმოქმედო სკოლებისგან განსხვავებით, დაწყებითი სკოლები კერძო ინიციატივით იხსნებოდა, ხშირ შემთხვევაში, წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანების მიერ". ხოლო, მე-19 საუკუნეში, მუშათა კლასში გავრცელებული მტრული დამოკიდებულება სახელმწიფო სასკოლო საბჭოების მიმართ შემდეგნაირად არის ახსნილი: "ყველა მშობელი მაშინვე ვერ მიხვდა სრული სასკოლო განათლების უპირატესობას, რადგან თვლიდნენ, რომ სავარაუდოდ დაკარგავდნენ დამატებით შემოსავალს, რაც მომუშავე ბავშვს შეჰქონდა ოჯახში".

მაგრამ, თანამედროვე ისტორიკოსები სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემისადმი წინააღმდეგობის გამომწვევად სხვა მიზეზს ხედავენ. სტივენ ჰემფრისმა (Stephen Humphries, "ხულიგნები თუ აჯანყებულები? მუშათა კლაისის ბავშვებისა და ახალგაზრდობის ზეპირი ისტორია 1889 – 1939") აღმოაჩინა, რომ 1860-იან წლებში, მუშათა კლასისთვის განკუთვნილ კერძო სკოლებში ("კერძო" - არა იმ გაგებით, რასაც დღეს ვგულისხმობთ), საქველმოქმედო და რელიგიური

ტიპის ეროვნული სასწავლო დაწესებულებებისგან განსხვავებულ, ალტერნატიულ განათლებას იღებდა ყოველი მესამე ბავშვი მშრომელთა ოჯახებიდან. ჰემფრისი შემდეგნაირად განმარტავს ამ ფაქტს:

"უზარმაზარი მოთხოვნა კერძო სკოლაზე, სახელმწიფო სკოლის მაგივრად, იმით აიხსნება, რომ სკოლაში სავალდებულო დასწრების წესების შემოღების შემდეგ, მუშათა ფენამ შვილის სახელმწიფო სკოლაში გადაყვანას, როგორც ამას სამთავრობო ინსპექტორები სთავაზობდნენ, ამჯობინა კერძო სკოლაში სწავლის გახანგრძლივება. მშობლები, კერძო სკოლას რამდენიმე მიზეზის გამო ანიჭებდნენ უპირატესობას: სიმცირე და სახლთან სიახლოვე, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ მოწყობილი სკოლებისგან განსხვავებით, ინდივიდუალური მიდგომა მოსწავლეებისადმი და კომფორტულობა; სკოლაში არსებული არაფორმალური ვითარება გულისხმობდა გაცდენის და არაპუნქტუალურობის მიმართ მომთმენ დამოკიდებულებას; არ აწარმოებდნენ საკლასო ჟურნალს; არ ხდებოდა დაყოფა ასაკის და სქესის მიხედვით; სწავლის მეთოდი ინდივიდუალური იყო და არა - ავტორიტარული. და ყველაზე მთავარი - სკოლა იმყოფებოდა ადგილობრივი მაცხოვრებლების, თემის კონტროლის ქვეშ, რაც შეუძლებელი იყო სახელმწიფო სკოლის, გარედან თავს მოხვეული დიქტატის პირობებში''.

ჰემფრისის შესანიშნავი დაკვირვება, აღნიშნული ეპოქის მრავალი წყაროთი დასტურდება, რომლებიც ფილიპ გარდნერმა მოიძია და შეკრიბა თავის ნაშრომში - "ვიქტორიანული ეპოქის ინგლისის დაკარგული, დაწყებითი სკოლა'' (The Lost Elementary Schools of Victorian England). მკვლევარი ასკვნის, რომ მუშათა კლასის სკოლა:

"ზუსტად პასუხობდა დამკვეთის მოთხოვნას. ბავშვები ითვისებდნენ საბაზო ჩვევებს, როგორიცაა წერა-კითხვა, არითმეტიკა. დრო არ იხარჯებოდა რელიგიურ განათლებასა და სულიერი აღმაფრენის გამომუშავებაზე. განათლებაზე ორიენტირებული ამგვარი სკოლა ექსპერტების მიერ დაწესებული კონცეფციის რეალურ ალტერნატივას წარმოადგენდა''.

ისტორიკოს პოლ ტომპსონის აზრით, განათლების ეროვნული სისტემის შემოღებას, თავისუფალი სკოლების გაუქმების ხარჯზე, შემდეგი საფასური ჰქონდა:

"მუშათა კლასის ურიცხვ შვილებს შორის განათლების მიღების და დამოუკიდებლად სწავლის უნარის დაქვეითება, რის ხელახლა გაღვივებასაც ცდილობს თანამედროვე პროგრესისტული განათლება''.

თავისუფალი სკოლის კონცეფცია მიივიწყა ისტორიამ და მას არც მომავალ პედაგოგებს ასწავლიან უნივერსიტეტებში. მაგრამ მისი წყალობით, შეგვიძლია დავინახოთ ანარქისტი მოაზროვნეები საგანმა-

ნათლებლო იდეების სპექტრში. ასეთ მოაზროვნეებს შორის არიან: ლევ ტოლსტოი, ნააზრევით, "იასნაია პოლიანაში'' დაარსებულ სკოლაზე და ფრანცისკო ფერერი (1859 – 1909), მოძრაობა "თანამედროვე სკოლის'' (Modern School) დამაარსებელი. პირველი სკოლა ფერერმა ბარსელონაში გახსნა, 1901 წელს. მისი მიზანი იყო სეკულარული, რაციონალისტური განათლება. ფერერს მრავალ ქვეყანაში გამოუჩნდა მიმდევრები და ეკლესიის რისხვაც დაიმსახურა. 1909 წელს, ესპანეთის ხელისუფლებამ, რომელსაც ომი ჰქონდა გაჩაღებული მაროკოსთან, სამხედრო კატალონიაში გაწვევა გამოაცხადა. ფერერი დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს ქუჩის არეულობის ორგანიზება ბარსელონაში (სადაც 200 დემონსტრანტი იქნა მოკლული), მიუხედავად იმისა, რომ არეულობის დროს საერთოდ არ იმყოფებოდა ქალაქში. ფერერი სიკვდილით დასაჯეს, თუმცა არ მომკვდარა მის მიერ დაწყებული კამპანია სეკულარული განათლებისთვის. 1936 წლის 19 ივლისის რევოლუციის შემდეგ, კატალონიაში, 60 000-მდე ბავშვი სწავლობდა ფერერის სკოლებში.

საინტერესოა იმის დანახვა, თუ როგორ აისახა სხვადასხვა ანარქისტის წარმოდგენა განათლების თაობაზე საუკუნის შემდეგაც, პროგრესისტული იდეოლოგების პროექტებში. მაგალითად, ბაკუნინმა სულ სხვა თემაზე გამართული პოლემიკის გამო დაწერილ ტექსტს, დაურთო შენიშვნა, სადაც სკოლას განიხილავდა, როგორც თითოეული ჩვენგანისთვის საჭირო სასიცოცხლო რესურსს:

"ეს არ იქნება სკოლა, არამედ სახალხო აკადემია. აქ არ იარსებებს მოწაფე და მასწავლებელი. ხალხი თავისუფლად ივლის მაშინ, როდესაც მისთვის საჭირო იქნება თავისუფალი განათლების მიღება და სადაც მდიდარი გამოცდილების მქონე ადამიანს საშუალება ექნება, ბევრი რამ ასწავლოს მასწავლებელს; მისგან კი მიიღოს ის ცოდნა, რომელიც აკლია. შესაბამისად, ეს იქნება ურთიერთ-სწავლება, ინტელექტუალური ძმობის აქტი.''

ბაკუნინი ამას 1870 წელს წერდა. თუ მისი შეხედულება გვეცნო, ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ საუკუნის შემდეგ, იდენტური მისწრაფება გამოთქვეს ივან ილიჩმა[29] და პოლ გუდმანმა, აშშ-ში, ხოლო ბრიტანეთში - მაიკლ იანგმა[30] და პროფესორმა ჰარი ალფრედ რემ.[31] 1972 წელს, ამ უკანასკნელმა ახალგაზრდა პედაგოგებს მიმართა:

"ვფიქრობ, ჯერ კიდევ თქვენს სიცოცხლეში დადგება დრო, როდესაც სკოლა დღევანდელი სახით აღარ იარსებებს. მის მაგივრად იქნება ადგილობრივი საზოგადოებრივი ცენტრები. მათი კარი ღია იქნება დღეში 12 საათის და კვირაში 7 დღის განმავლობაში. ყველას ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ბიბილიოთეკით, სახელოსნოებით, სპორტული დარბაზით, თვითონ მოემსახუროს თავის თავს მაღაზიასა და



სადილობის დრო ფრანცისკო ფერერის სკოლაში, კატალონია. 1936 წლის რევოლუციის შემდეგ, ფერერის სკოლაში, 60 000-მდე ბავშვი სწავლობდა.

ბარში. ეკლესიაში სავალდებულო სიარულისა არ იყოს, სკოლაში სავალდებულო დასწრების შესახებ კანონებსაც იგივე ბედი ელით''.

საეჭვოა, ახდეს მისი წინასწარმეტყველება, რადგან მიმართვიდან ათი წლის შემდეგ, ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ იპოვა განტევების ვაცი და სკოლას დააბრალა ინგლისის მრეწველობაში არსებული ჩავარდნა. ამას მოჰყვა მთავრობის უპრეცედენტო ჩარევა დაწყებითი და საშუალო სკოლების მართვასა და სასწავლო გეგმის შედგენაში, რომლებიც ბრიტანეთში ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაში არიან. ცენტრალურმა ხელისუფლებამ სკოლებს თავს დაატეხა ეროვნული სასწავლო გეგმა, გარკვეული ასაკის ბავშვთა სავალდებულო ტესტირების პროგრამა და მასწავლებლებს - შესავსები ფორმების ზღვა (რასაკვირველია, ამ გაუთავებელი შეფასებების მიხედვით, მდიდრულ რაიონებში მდებარე სკოლებს უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ ღარიბულ უბნებთან შედარებით, სადაც ინგლისური არ არის მშობლიური ენა; თუმცა, ამ სოციალური ფაქტების შესახებ, იქამდეც ცნობილი იყო).

1995 წელს, მისი უდიდებულესობის სკოლების მთავარმა ინსპექტორმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას და დახვეწას აფერხებდა "გარკვეული რწმენების ერთგულება, განათლების მიზნის და მისი წარმართვის მეთოდის შესახებ'' და საჭირო იყო: "არა, პრაქტიკული ქმედებების სწავლება, არამედ ცოდნის სიტყვიერად, მოყოლით გადაცემა'' (less learning by doing and more teaching by telling). იგი უარყოფდა პროგრესული განათლების გავლენას ოფიციალურ, სავალდებულო საგანმანათლებლო სისტემაზე დაწყებითიდან საშუალო საფეხურამდე. ირონია იმაში მდგომარეობს, რომ "პროგრესული'' განათლების უარმყოფელი "მემარჯვენე'' ფრთის პოლიტიკოსებისთვის ბევრი ანარქისტის საგანმანათლებლო მიზანი საკმაოდ მისაღები იქნებოდა. ისტორიკოსი მაიკლ სმიტი, წიგნის "ლიბერტარიანელები და განათლება'' ავტორი აღნიშნავს, რომ პრუდონს:

"გააზრებული ჰქონდა ის ფაქტი, რომ ბავშვები რომელთა შესახებაც საუბრობდა, მუშების შვილები იყვნენ. მომავალში, ფიზიკური შრომა მათი ცხოვრების ნაწილი გახდებოდა. პრუდონი ამაში ცუდს ვერაფერს ხედავდა. შრომა ადამიანისთვის სიამაყის საგანს წარმოადგენდა. ის საინტერესოს, ღირებულს და პატივსაცემს ხდიდა მის ცხოვრებას. შესაბამისად, გამართლებული იყო, რომ სკოლას შრომისთვის მოემზადებინა ახალგაზრდა. შრომისგან მოწყვეტილი, მხოლოდ წიგნზე ან გრამატიკაზე ორიენტირებული განათლება ღირებული არ იყო ჩვეულებრივი მშრომელის ოჯახში დაბადებული ბავშვისთვის. რა თქმა უნდა, დაუშვებელი იქნებოდა უკიდურესობაში გადავარდნა და ბავშვის მომზადება მხოლოდ ფაბრიკაში სამუშაოდ. საჭირო იყო გა-

ნათლება, რომელიც "შეაიარაღებდა" მოსწავლეს მომავალი სამუშაო ადგილისთვის, მაგრამ ამავე დროს გაზრდიდა მისი დამოუკიდებლობის ხარისხს შრომის ბაზარზე. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა, თუ მოსწავლე მიიღებდა არა მხოლოდ საბაზისო განათლებას, არამედ შრომის ბაზარზე მოთხოვნილი უნარების ფართო სპექტრსაც შეისწავლიდა. ამ შემთხვევაში მას გარანტია ექნებოდა მთლიანად არ გამხდარიყო დამოკიდებული ინდუსტრიულ სისტემაზე, რადგან, ერთ დღესაც, გარკვეული პროფესიის ადამიანი აღარ გახდებოდა საჭირო და მას თავიდან შეუბრალებლად მოიცილებდნენ. ამრიგად, პრუდონი მივიდა "პოლიტექნიკური" განათლების იდეამდე."

მკითხველი სწორად ვარაუდობს, რომ პრუდონი მხოლოდ ვაჟების განათლებაზე ამახვილებდა ყურადღებას. მაგრამ, იგივეს თქმა შეუძლებელია კროპოტკინზე, რომელსაც მომავალში გონებრივი და ფიზიკური შრომის ინტეგრაციის იმედი ჰქონდა, არა მხოლოდ შრომის სფეროში, არამედ - ცხოვრებაშიც. იგივე ითქმის ფრანცისკო ფერერზე. მისი "განმათავისუფლებელი" განათლების იდეები უპირისპირდებოდა, როგორც თავად უწოდებდა, "განათლებას მორჩილებისთვის". მაიკლ სმიტის წიგნის ყველაზე საინტერესო მონაკვეთი "ინტეგრალური განათლების" პრაქტიკულ განხორციელებას აღწერს ფრანგი ანარქისტის, პოლ რობენის და მისი ობოლთა თავშესაფრის მაგალითზე. რობენი, სემპიუიში მდებარე თავშესაფარს ხელმძღვანელობდა 1880-დან 1894 წლამდე. "ინტეგრალური განათლება" გულისხმობდა საკლასო ოთახზე უარის თქმას. სწავლება მიმდინარეობდა სახელოსნოში ან, როგორც დღეს ვუწოდებთ, "რესურს ცენტრში". სადილის მომზადებას, ხელსაქმეს, სადურგლო და საზეიკლო საქმეს ორივე სქესის ბავშვები სწავლობდნენ. სემპიუის გოგონები და ბიჭები პირველები იყვნენ მათ შორის, ვინც ველოსიპედის ტარება ისწავლა საფრანგეთში.

ორივე სქესის ბავშვების ერთად სწავლების, თანასწორობის და ათეიზმის გამო პოლ რობენის სკოლა დაიხურა. მაგრამ, სხვა ცნობილმა ფრანგმა ანარქისტმა, სებასტიან ფორმა დააარსა სასწავლებელი სახელად "სკა". მაიკლ სმიტის თქმით: "სებასტიან ფორმა, გაკვეთილი ისწავლა რობენის მარცხიდან - არ არის საჭირო რაიმე ურთიერთობის დაჭერა ხელისუფლებასთან, რისი საშუალებითაც აბსოლუტურ დამოუკიდებლობას დაიცავ". ინგლისში, სასკოლო სისტემაში არ შემწყდარა ლიბერტარიანული განათლების დანერგვის მცდელობების დაფინანსება მოქალაქეების მიერ. კიდევ ერთმა ისტორიკოსმა, ჯონ შოტონმა, შეისწავლა ოფიციალური სასკოლო სისტემიდან გაძევებული ბავშვების დასახმარებლად გაწეული მცდელობების და ძალისხმევის ისტორია.

საუკუნის განმავლობაში ჩატარებულმა პროგრესულმა ექსპერიმე-

ნტებმა დიდი გავლენა მოახდინა სკოლაზე, განსაკუთრებით - დაწყებითი სკოლის საფეხურზე. შეიცვალა მასწავლებლის როლი და დისციპლინის მრისხანე დამცველიდან, მეგობარ გიდად გადაიქცა. ამავე დროს, სკოლებში აიკრძალა ფიზიკური დასჯა. მიუხედავად ამისა, უნდა განვასხვავოთ "პროგრესული" და "ლიბერტარიანული" განათლება. განსხვავება მდგომარეობს, გაკვეთილზე სავალდებული და ნებაყოფლობით დასწრებაში. გამოჩენილი ლიბერტარიანელი იყო ალექსანდრე საზერლენდ ნილი, რომელიც ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სკოლას "Summerhill", სუფოლკში. სკოლა დღემდე არსებობს, ნილის ქალიშვილის, ზოე რიდჰედის მეთვალყურეობის ქვეშ.

დორა რასელის სკოლა "Beacon Hill", რომელმაც 1927-დან, 1943 წლამდე იარსება.

ნილი არ ეთანხმებოდა მანიპულატორული და მაღალფარდოვანი სტილის მქონე პროგრესისტებს. 1930-იან წლებში, დორა რასელს[32] სწერდა: "ნამდვილი პედაგოგები, მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ". ნილის თვალსაზრისი გამოხატა მისი სკოლის ერთ ერთმა აღმზრდელმა, ჰომერ ლეინმა:

"მიეცით ბავშვს თავისუფლება!" - გაჰყვირიან "ახალი ტიპის" აღმზრდელები. მაგრამ, ჩვეულებრივ, მათი მიმდევრები ქმნიან "სისტემას", რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სწორ პრინციპებს ემყარება, ზღუდავს თავისუფლებას და ეწინააღმდეგება ამოსავალ პრინციპს".

თავად ლეინის პოზიცია ეხმიანება გოდვინისას, რომელიც The Enquirer-ში რუსოზე საუბრობს და ამბობს, რომ მის მიმართ ყველა ვალშია "ნაშრომების უძლეველი ენერგიის და თეორიების უდიდესი მნიშვნელობის გამო"; მაგრამ რუსომაც დაუშვა გავრცელებული შეცდომა, რაც ბავშვით მანიპულირებაში მდგომარეობს. ლეინი წერს:

"მისი განათლების სისტემა ტრიუკების მთელი სერიაა - მარიონეტთა თეატრის წარმოდგენა, სადაც ძაფები მეთოჯინის ხელშია, მოწაფე კი ვერ ხვდება, როგორ აიძულებენ, იმოძრავოს".

ანარქიზმის გავლენა საგანმანთლებლო სფეროში უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე სხვა ცხოვრებისეულ დარგში. ავტორიტარული სტილის თაყვანისმცემლებს შეუძლიათ იკამათონ ან დამწუხრდნენ ამ მოცემულობით და სევდით გაიხსენონ მეხსიერებაში შემორჩენილი იდეალიზებული წარსული. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ მომავალში ახალგაზრდებმა მოითმინონ მათი ბებია-ბაბუების დროინდელი მკაცრი აღმზრდელობითი რეჟიმი.

მსოფლიოს ზოგ წერტილში ახალგაზრდების თავისუფლებისთვის ბრძოლა წარსულს ჩაბარდა. ზოგან კი, ბრძოლა ჯერ ისევ მოსაგებია. ბრიტანეთში მომხდარი ზოგიერთი მცდელობის შესახებ, მიეცათ ალტერნატიული განათლება ოფიციალური საგანმანათლებლო სისტემიდან გამოთიშული ახალგაზრდებისთვის, განხილული იქნება მე-8 თავში.

თავი 7
ინდივიდუალისტური პასუხი

ერთი საუკუნის განმავლობაში, ანარქისტები სიტყვა ''ლიბერტარიანელის'' (Libertarian) ''ანარქისტის'' (Anarchist) სინონიმად იყენებდნენ. ამავე სახელწოდებით გამოიცემოდა 1895 წელს დაარსებული ცნობილი ანარქისტული გაზეთი - ''Le Libertaire''.[33] მიუხედავად ამისა, უახლოეს წარსულში სიტყვა ''ლიბერტარიანელი'' მიითვისეს თავისუფალი ბაზრის ამერიკელმა ფილოსოფოსებმა: დევიდ ფრიდმანმა, რობერტ ნოზიკმა, მიურეი როთბარდმა და რობერტ პოლ ვოლფმა. ამრიგად, აუცილებელია, ტრადიციული ანარქისტული თვალსაზრისიდან გამომდინარე, შევისწავლოთ თანამედროვე ინდივიდუალისტური, ''ლიბერტარიანული'' პოზიცია.

საკითხის განხილვის პროცესში, ერთი დაბრკოლება გვექნება გადასალახი, ''გონივრული ეგოიზმის'' დამცველის - მაქს შტირნერის სახით. მისი ნამდვილი სახელია, იოჰან კასპარ შმიდტი (1806-1856). 1845 წელს, შტირნერმა გამოაქვეყნა ნაშრომი, სათაურით - ''Der Einzige und sein Eigentum''. 1907 წელს, იგი შემდეგნაირად ითარგმნა ინგლისურად - ''The Ego and his Own'' („ეგო და მისი საკუთრება"). წიგნი რამდენჯერმე წავიკითხე, მაგრამ მაინც ბოლომდე გაუგებარი დარჩა ჩემთვის. შემიძლია, იმით ვიმართლო თავი, რომ „მე-ს" კულტი ისეთივე არასასიამოვნო ცნება მგონია, როგორც ნიცშეს - ''ზეკაცი''. თუმცა, შტირნერის ანარქისტი თაყვანისმცემლები მარწმუნებენ, რომ მისი მიდგომა სრულიად განსხვავებულია. მათი მტკიცებით, ''გონივრული ეგოიზმი'' არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს ადამიანის მიდრეკილებას ალტრუიზმისკენ, რადგან ჩვენი წარმოდგენა საკუთარ თავზე მაშინ აღწევს კმაყოფილებას, როდესაც თავს მოვიაზრებთ სოციალურ არსებად. ასევე, მიმითითებენ შტირნერის წინასწარგანჭვრეტილ იმ ტენდენციაზე, რომელიც მოგვიანებით რობერტ მიჩელსმა[34]

ჩამოაყალიბა ''ოლიგარქიის ურყევი კანონის'' (Iron law of oligarchy) სახით. მიჩელსი დიაგნოზს უსვამს ადამიანის მიერ შექმნილ ნებისმიერ კომპლექსურ ინსტიტუციას, რომ თანდაყოლილი მიდრეკილებით, მომავალში გადაიქცევა მჩაგვრელ ერთეულად, ოლიგარქიად. მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, სწორედ, ინდივიდუალური თავისუფლების სახელით უნდა მოხდეს.

ინდივიდუალისტური ანარქიზმის გაცილებით ტიპური წარმომადგენლები არიან, ამერიკელ მოღვაწეთა და ნოვატორთა მთელი პლეადა, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში აქტიურად ავრცელებდნენ ანარქისტულ პროპაგანდას; მუშაობდნენ, გერმანელ, რუს, ებრაელ, შვედ, ჰოლანდიელ, იტალიელ, ესპანელ ემიგრანტთა მრავალრიცხოვან ჯგუფებთან. მათ შესახებ მოგვითხრობს ჯეიმს მარტინი წიგნში - ''ადამიანები სახელმწიფოს წინააღმდეგ'' (პირველი გამოცემის თარიღია 1953 წელი) და დევიდ დელეონი, ნაშრომით - ''ამერიკელი ანარქისტი: ფიქრები ადგილობრივ რადიკალიზმზე'' (გამოიცა 1978 წელს). ავტორები განიხილავენ აშშ-ის ინდივიდუალური და სოციალური ანარქისტული ექსპერიმენტებისა და თეორიების მდიდარ და მრავალფეროვან ისტორიას.

ემიგრანტებს შორის ხშირი იყო ისეთი სოციალური და კოლექტიური წამოწყებები, რომლებიც მალევე გადაიზარდა ღრმად ფესვგადგმულ საყოველთაო კეთილდღეობის ორგანიზაციებში. ემიგრანტთა ტრადიციები მოიცავდა მშრომელთა გაერთიანებებს, სკოლებს და კოოპერატივებს. მკვიდრი მოსახლეობის ტრადიციები უფრო მეტად ინდივიდუალისტური იყო, მაგრამ ემიგრანტული ტრადიციების პროტაგონისტებმა შესამჩნევი გავლენა მოახდინეს ამერიკულ ცხოვრებაზე. ისტორიკოსები განასხვავებენ ''მემარცხენე'' და ''მემარჯვენე'' ლიბერტარიანელების იდეოლოგიას. დევიდ დელეონი მათ შემდეგნაირად ახასიათებს:

''მემარჯვენე ლიბერტარიანელებს სძულთ სახელმწიფო, რადგან იგი დაბრკოლებას უქმნის კერძო საკუთრების თავისუფლებას. მემარცხენე ლიბერტარიანელები კი იმ მიზეზით გმობენ სახელმწიფოს, რომ იგი კერძო საკუთრების ბასტიონია''.

ინდივიდუალისტური მიმართულების პირველი ''მანათობელი'' იყო ჯოსაია უორენი (1798-1874). მას იმედი გაუცრუვდა, რობერტ ოუენის[35] მიერ შექმნილი კოოპერატიული დასახლების, ''ახალი ჰარმონიის'' მარცხის გამო. უორენმა თავად გახსნა მაღაზია, ცინცინატში. მაღაზიის კლიენტები საქონელს იძენდნენ ''შრომის ბარათების'' მეშვეობით. გამყიდველს კი ბარათის საშუალებით შეეძლო მისი ეკვივალენტური პროდუქტის ან მომსახურების მიღება. მაღაზიას მოჰყვა, ''სამართლიანობის სოფელი'' ოჰაიოში; შემდეგ, ხანგრძლივი დროის

განმავლობაში არსებული - ''მუტუალისტური'' უტოპიური სოფელი და ბოლოს - კომუნა ''ახალი დროება'', ლონგ აილენდზე, რომელმაც 20 წლის განმავლობაში შეინარჩუნა კოოპერატიული ხასიათი. უორენი დარწმუნებული იყო ინდივიდუალიზმის მნიშვნელობაში, რამაც, საბოლოო ჯამში, კომუნალური სამზარეულოების ქომაგად აქცია. უორენის აზრით, მსგავსი ტიპის სამზარეულო საჭირო იყო, რათა ''მძიმე ოჯახური სამუშაოსთვის განწირული ქალები, ოდნავ მაინც გათავისუფლებულიყვნენ''.

ლიზანდერ სპუნერს (1808-1887) სურდა, ამერიკა დასახლებული ყოფილიყო თვითდასაქმებული ინდივიდებით და მათ თანაბარი წვდომა ჰქონოდათ კრედიტებზე. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ:

''თუ ადამიანი არასოდეს დათანხმებია ან მისალმებია მთავრობისთვის მხარდაჭერის გამოცხადებას, მაშინ არაფერს აშავებს, როცა მისთვის მხარდაჭერა არ სურს. ხოლო, თუ ომს უცხადებს მთავრობას, ამას აკეთებს ღიად, როგორც დაუფარავი მტერი და არა - ფარულად, მოღალატეობრივი გზით''.

სტეფან პერლ ენდრიუსი (1812-1886), ანალოგიურად იზიარებდა აზრს, რომ ინდივიდის სუვერენობა თითოეულ პიროვნებაზე ვრცელდება. შესაბამისად, როგორც პიტერ მარშალი გვიხსნის ენდრიუსის პოზიციას:

''იგი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა მონათმფლობელობას და ტეხასის შტატის მისგან განთავისუფლებაში, ცდილობდა, საკუთარი წვლილი შეეტანა. ფულსაც აგროვებდა ცალკეული მონების გამოსყიდვის მიზნით, მაგრამ ხელი შეუშალა მექსიკასთან დაწყებულმა ომმა. ენდრიუსი, ასევე, ამტკიცებდა, რომ სექსუალური ქცევა და ოჯახური ცხოვრება პიროვნული პასუხისმგებლობის საკითხი იყო და არ უნდა დაქვემდებარებოდა ეკლესიის თუ სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს''.

ინდივიდუალიზმმა ენდრიუსი, ისევე, როგორც უორენი, მიიყვანა კომუნალური საბავშვო სივრცეების, სკოლების, კოოპერატიული კაფეტერიების აუცილებლობის გააზრებამდე, რათა ქალები გათავისუფლებულიყვნენ მძიმე, რუტინული შრომისგან.

ბენჟამენ რ. ტაკერი (1854-1939) თავისი დროის ყველაზე ცნობილი, ამერიკელი ინდივიდუალისტი ანარქისტი იყო. მისი ჟურნალი - ''Liberty'' (თავისუფლება) -მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გამოიცემოდა. ბეჭდვა შეწყდა 1907 წელს, როდესაც ბოსტონის სტამბა დაიწვა. ამას გარდა, ტაკერმა პირველმა თარგმნა პრუდონის და ბაკუნინის ნაშრომები.

მე-19 საუკუნის, თავისუფლებისთვის მებრძოლთა შორის ყველაზე ინდივიდუალური და გამორჩეული გახლავთ, ჰენრი დევიდ თორო

(1817-1862). მისი სახელგანთქმული წიგნი - ''უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება'' (Walden: Life in the Woods) - მის მიერ ქოხში გატარებული ცხოვრების ერთგვარი ანგარიშია. თორომ საკუთარი ხელით ააშენა ქოხი კონკორდში, მასაჩუსეტსის შტატში. ეს სრულებით არ ნიშნავდა ამერიკული ცხოვრებისგან გაქცევას. ადამიანი, რომელმაც განაცხადა, რომ ჯარისკაცის პირველი მტერი სწორედ მისი მწვრთნელი ხელისუფლებაა, საკუთარი ქვეყნის მანკიერებათა პატიოსანი გამომჟღავნებელი იყო. მისი ერთ-ერთი ესე ხშირად მოხსენიებულია სათაურით - ''სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მოვალეობის შესახებ'' (On the duty of civil disobedience), თუმცა, 1849 წელს დაიბეჭდა სახელწოდებით - ''სამოქალაქო ხელისუფლების წინააღმდეგ'' (Resistance to civil government). თავის დროზე ესეს გამოხმაურება არ მოჰყოლია, მაგრამ შემდგომში დიდი გავლენა მოახდინა ლევ ტოლსტოისა და მაჰათმა განდის (რომელმაც იგი სამხრეთ აფრიკის ციხეში წაიკითხა) მსოფლმხედველობაზე. მარტინ ლუთერ კინგი, რომელიც ატლანტაში, სტუდენტობის პერიოდში დაინტერესდა აღნიშნული ნაშრომით, მოგვიანებით იხსენებდა:

''აღმაფრთოვანა, ბოროტ სისტემასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის იდეამ. ამან იმდენად ამაღელვა, რომ ნაშრომი რამდენჯერმე წავიკითხე. ეს ჩემი პირველი ინტელექტუალური კონტაქტი იყო არაძალადობრივი წინაღმდეგობის თეორიასთან''.

1848 წელს, თორომ თანამოქალაქეებისთვის ლექცია ჩაატარა კონკორდის ლიცეუმში. ცოტა ხანში კი დაწერა ზემოხსენებული ესე სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ. თორომ მასში გამოხატა განრისხება აშშ-ის მთავრობის მიერ მექსიკაში გამართული ომის და შავკანიანთა მონობის შენარჩუნების გამო. კიდევ ერთი მაგალითი: 1859 წელს, აბოლოციონისტმა ჯონ ბრაუნმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია შეერთებული შტატების ხელისუფლებას, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს. თორომ, სერიოზული დაბრკოლებების მიუხედავად, ქალაქის მერიაში გაგზავნა წერილი, სათაურით - ''კაპიტან, ჯონ ბრაუნის დასაცავად''. ათწლეულების შემდეგ, ჰევლოკ ელისმა[36] აღნიშნა, რომ თორო ''ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა მთელ ამერიკაში, რომელმაც გაიაზრა მოვლენის მნიშვნელობა და დაუფარავად დადგა ბრაუნის გვერდით''.

კიდევ ერთი გამოჩენილი ამერიკელი ინდივიდუალისტია რენდალფ ბორნი (1886 -1918). იგი ყურადღებით აკვირდებოდა აშშ-ის მთავრობის მანევრებს და მცდელობებს, ჩაეთრია ქვეყანა პირველ მსოფლიო ომში. შედეგად, ბორნმა წარმოთქვა ცნობილი ფრაზა: ''ომი - სახელმწიფოს ჯანმრთელობაა''. მან შემდეგნაირად განმარტა საკუთარი სიტყვები:

''სახელმწიფო - ეს არის, ბრბოს ტიპის ორგანიზაცია. მისი დანიშნულებაა თავს დაესხას ან თავი დაიცვას სხვა, ამგვარივე ორგანიზაციისგან. ამასთან, მოწინააღმდეგე ანალოგიური პრინციპით არის სტუქტურირებული. ომი მიზანს და აქტივობის მოთხოვნას ავრცელებს ბრბოს ქვედა დონემდე, მის ყველაზე შორეულ განშტოებამდე. საზოგადოება დარაზმულია იმისთვის, რომ ყოველი ქმედება უსწრაფესად შეუკავშიროს ერთმანეთსა და ცენტრალურ მიზანს, რასაც სამხედრო თავდასხმა ან თავდაცვა ეწოდება. ასეთ დროს, სახელმწიფო გვევლინება იმგვარ წარმონაქმნად, როგორადაც ამაოდ ცდილობდა გადაქცეულიყო მშვიდობის ჟამს... კლებულობს უსაქმურობა, ქრება ერთმანეთთან დაპირისპირებული დინებები და ერი იწყებს მოუქნელად და დინჯად მოძრაობას. პროცესი, თანდათან უმატებს სიჩქარეს და იზრდება ინტეგრაციის მოცულობა, დიად მიზნამდე - ომში ყოფნის სიმშვიდემდე...''

რენდალფ ბორნი ზუსტად აღწერს მეთოდებს, რომლის საშუალებითაც მე-20 საუკუნის ხელისუფლება ქმნის და მანიპულირებს საზოგადოებრივი აზრით. მისი სიტყვების დაწერიდან 90 წელი გავიდა და უკვე საკმარისი მტკიცებულებაც დაგროვდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ამერიკელი ინდივიდუალისტი ანარქისტები არაერთხელ გამოსულან ქუჩაში, პროტესტის გამოსახატად. ისინი ცდილობდნენ ზემოქმედება მოეხდინათ აშშ-ის ხელისუფლებაზე. ერთ-ერთი მათგანის, ამონ ჰენესის სახელი ასოცირდება ''ერთი ადამიანის რევოლუციასთან'' თავისი შეუპოვარი ინდივიდუალური პროტესტით აშშ-ის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ; ყველგან - აღმოსავლეთ სანაპიროდან სამხრეთ-დასავლეთამდე. კიდევ ერთი წარმომადგენელია დოროთი დეი, ''კათოლიკე მუშების მოძრაობიდან''. მას ათწლეულების განმავლობაში სჯეროდა თვითორგანიზებული კოოპერატიული კომუნების ქმედუნარიანობის, რაც პოლიტიკური ტერმინოლოგიის მიხედვით, ანარქიზმად განისაზღვრება.

მოგვიანებით, 1970-იან წლებში, გამოიცა წიგნების ახალი სერია. ამჯერად ავტორები უმეტესად პროფესორები იყვნენ და არა - აქტივისტები. ნაშრომებში ამერიკული ლიბერტარიანიზმის განსხვავებული მიმართულება იყო განხილული. ავტორები იყვნენ: რობერტ პოლ ვოლფი - ''ანარქიზმის დაცვისთვის'' (In Defense of Anarchism); რობერტ ნოზიკი - ''ანარქია, სახელმწიფო და უტოპია" (Anarchy, State and Utopia); დევიდ ფრიდმანი - ''თავისუფლების მექანიზმი'' (The Machinery of Freedom); მიურეი როთბარდი - ''ახალი თავისუფლებისთვის: ლიბერტარიანული მანიფესტი'' (For a New Liberty: The Libertarian Manifesto). ჩამოთვლილი ავტორების ჯგუფმა შექმნა ''იდეოლოგიური ზედნაშენი'' აშშ-ის ფედერალური და ადგილობრივი პო-

ლიტიკის მემარჯვენე ფრთისათვის; ბრიტანული პოლიტიკისთვის კი მიზანი იყო ''სახელმწიფოს საზღვრების უკუქცევა''. თუმცა, რეალურად, მთელი ეს იდეოლოგიური ნიღაბი ზრდიდა გადაწყვეტილებათა მიღების ცენტრალიზებული სისტემისადმი დაქვემდებარებას.

რობერტ პოლ ვოლფი ამბობდა, რომ ''ფილოსოფიური ანარქიზმი ერთდათერთი გონივრული მრწამსი უნდა ყოფილიყო განათლებული ადამიანისთვის''. ისტორიკოსი პიტერ მარშალის სიტყვებით, რობერტ ნოზიკის მცდელობით, ''აკადემიური წრეებისთვის მისაღები გახდა ლიბერტარიანული და ანარქისტული თეორია''. რაც არცთუ ისე პატარა დამსახურებაა. დევიდ ფრიდმანმა ამერიკელ მკითხველებს შორის პოპულარული გახადა ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სოციალური კეთილდღეობის მოქცევა კანონის ფარგლებში პირველი ნაბიჯია ბატონყმობისკენ.

პიტერ მარშალს, ანარქო კაპიტალიზმის აპოლოგეტებს შორის, ანარქისტული ტრადიციების ყველაზე კარგ მცოდნედ მიურეი როთბარდი მიაჩნია:

''თავდაპირველად, ის მემარჯვენე რესპუბლიკელი იყო. მაგრამ, ლა ბოესის[37] ლიბერტარიანული კლასიკის - ''მოხალისეობრივი მონობის'' (Of Voluntary Servitude) რედაქტორობის შემდეგ, თავის თავს ანარქისტს უწოდებს. საკუთარ წიგნში ''ახალი თავისუფლებისთვის'' როთბარდი წერს: ''თუ გაინტერესებთ ლიბერტარიანელების აზრი სახელმწიფოსა და მის ქმედებებზე, მაშინ უბრალოდ შეადარეთ იგი კრიმინალების დაჯგუფებას და ყველა ლიბერტარიანული მოსაზრება თავის ადგილზე დადგება.'' მან საკუთარი ლიბერტარიანული იდეები ერთ, ცენტრალურ პოსტულატამდე დაიყვანა: ''ადამიანმა ან ადამიანთა ჯგუფმა არ უნდა ხელყოს სხვა პიროვნება ან მისი კერძო საკუთრება.'' ამიტომ სახელმწიფო თუ სხვა კერძო დაჯგუფება არ შეიძლება ემუქრებოდეს ვინმეს ან ძალადობდეს, როგორიც არ უნდა იყოს საბოლოო მიზანი. თავისუფალი ინდივიდები თავად არეგულირებენ საკუთარ საქმეს და ქონებას, მხოლოდ საკონტრაქტო ვალდებულებაზე დამყარებული ნებაყოფლობითი შეთანხმებით''.

როთბარდს მშვენივრად ესმის ტრადიცია, მაგრამ სრულებით ვერ იაზრებს ძველ ანდაზაში გამოთქმულ სიბრძნეს - ''ქარიყლაპიას თავისუფლება, ჭიჭყინასთვის სიკვდილს ნიშნავს'' (Freedom for the pike means death for the minnow). გავიხსენოთ, აშშ-ის ულმობელი ეკონომიკური მონაცემები - მოსახლეობის 10% ფლობს ქვეყნის სიმდიდრის 85%-ს. ეს უმცირესობა კოლოსალურ მოგებას ნახულობს ქვეყნის სოციალური ბიუჯეტის ყოველი შემცირებისას.

ანარქისტული იდეების სპექტრში მემარჯვენე ლიბერტარიანელები გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ - ანარქიზმის ნებისმიერი იდე-

ოლოგისთვის ნაცნობია მდგომარეობა, როდესაც მკითხველი თუ მსმენელი აუდიტორია შეცბუნებულია ადამიანთა ცხოვრების ხელისუფლების გარეშე მოწყობის იდეით; სწორედ ამიტომ ითხოვდა დაჟინებით კროპოტკინი, მემარცხენე ლიბერტარიანელი, როგორც მე-3 თავში განვიხილეთ, რომ იმ ამოცანების შესასრულებლად, რასაც დღეს სახელმწიფო ახორციელებს, აუცილებელია ორგანიზების ახალი ფორმების შექმნა, ყოველგვარი სახელისუფლებო ბიუროკრატიის გარეშე, - მიურეი როთბარდი, აშშ-ის ლიბერტარიანული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. როგორც, პიტერ მარშალი განმარტავს, პარტია იმ მიზნისთვის შეიქმნა, რომ: ''მთლიანად გაენადგურებინა მმართველი ფედერალური აპარატი და მასთან ერთად: სოციალური, საპენსიო, საგანმანათლებლო, საგადასახადო მექანიზმები. პარტია დაჟინებით ითხოვდა, აშშ-ს დაეთმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობა, განთავისუფლებულიყო საერთაშორისო ვალდებულებებისგან და შეემცირებინა სამხედრო ძალები, მხოლოდ თავდაცვისთვის საჭირო რაოდენობამდე.''

აშშ-ის სასამართლო სისტემაში არავითარი ცვლილების იმედი არ შეიძლება გვქონდეს, სანამ ''მსხვერპლის გარეშე ჩადენილ დანაშაულზე'' მუხლის გაუქმების იმედი არ გაჩნდება. ამჟამად, იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სანდო სტატისტიკას აწარმოებენ, აშშ მოწინავეა თავისუფლება-აღკვეთილი მოქალაქეების რაოდენობით. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, არც სხვა მემარჯვენე ლიბერტარიანელებს აქვთ უფრო მისაღები დღის წესრიგი. მაგალითად, რობერტ პოლ ვოლფი, 1998 წელს მეორედ გამოცემულ საკუთარ წიგნში - ''ანარქიზმის დაცვისთვის'', მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად გვთავაზობდა ''სახლიდან ხმის მისაცემი ტერმინალების'' შექმნას. თითოეული მათგანი დაკავშირებული იქნებოდა სატელევიზიო არხთან. ამ შემთხვევაში, ამტკიცებდა ვოლფი, ''სოციალური სამართლიანობა ისე აყვავდება, როგორც არასდროს''.

ამგვარ მიდგომას, ანარქისტების უმეტესობა, სავარაუდოდ, დამამცირებლად მიიჩნევდა და პრობლემისგან თავის არიდებად ჩათვლიდა. იმ პრობლემებისგან, რომლებიც წინ წამოსწია ამერიკული საზოგადოების ანარქისტულმა კრიტიკამ. ისინი უპირატესობას მიანიჭებდნენ და ყურადღებას მიაპყრობდნენ აშშ-ის სხვაგვარად მოაზროვნეთა მდიდარ მემკვიდრეობას, რაც ბევრმა გამორჩეულმა პროპაგანდისტმა დატოვა, დაწყებული თოროდან (პირველი თაობა), გაგრძელებული ემა გოლდმანით (მეორე თაობა), პოლ გუდმანამდე. ამ უკანასკნელმა, მართლაც დამაინტრიგებელი იდეები გადასცა ანარქისტ შთამომავლებს; ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებულ თავის ბოლო სტატიაში გუდმანი წერს:

''ჩემი აზრით, ანარქიზმის მთავარი პრინციპი არის ავტონომია და არა, თავისუფლება. ავტონომიურობა ნიშნავს თავად ჩამოაყალიბო მიზანი და შეადგინო მოქმედების საკუთარი გეგმა. ''ჩემეული'' ანარქიზმის სუსტი წერტილია, თავისუფლების წყურვილი, რაც ჩვეულებრივ, ყველაზე ძლიერი მოტივია პოლიტიკური ცვლილების მოსახდენად, განსხვავებით, ავტონომიისგან. ავტონომიური, დამოუკიდებელი ადამიანები ჯიუტად იცავენ საკუთარ თავს, ოღონდ ნაკლებად ენერგიული მეთოდებით. ხშირად მიმართავენ პასიურ წინააღმდეგობას. ყველა შემთხვევაში, ამას აკეთებენ საკუთარი გზით. ჩაგრული ხალხის პათოსი, თავისუფლების მოპოვების შემდეგ გაურკვევლობით იცვლება, რადგან არ იციან რა მოიმოქმედონ. არ აქვთ დამოუკიდებლობის გამოცდილება. არც ეცოდინებათ იქამდე, სანამ არ ისწავლიან. მაგრამ, ამასობაში უკვე ახალი მმართველები ჰყავთ, რომლებიც სულაც არ ჩქარობენ გადადგომას...''

მე-19 საუკუნის ამერიკელი ინდივიდუალისტები დაკავებული იყვნენ კომუნების, კოოპერატიული საზოგადოებების, ალტერნატიული სკოლების, ლოკალური ვალუტის და საერთო საკრედიტო საზოგადოებების ჩამოყალიბებით. ისინი მოუცლელი გამომგონებლები იყვნენ სოციალურ სფეროში. იკვლევდნენ ავტონომიურობის შესაძლებლობებს, მათ შორის ქალთა განთავისუფლებისა და შავკანიანთა თანასწორობის საკითხებს. ამერიკის სოციალურ კლიმატში შეძენილი მათი გამოცდილება ერთგვარი ილუსტრაციაა მარტინ ბუბერის მტკიცებისა, რაზეც მე-3 თავშია საუბარი. საქმე ეხება პოლიტიკური და სოციალური პრინციპების საწინააღმდეგო ურთიერთობას. ავტონომიურობის გამოცდილება და პრაქტიკა ზრდის წარმატების შესაძლებლობას. როგორც, ამერიკელმა ანარქისტმა დევიდ ვიკიმ ჩამოაყალიბა:

''პირდაპირი მოქდებების განხორციელების ჩვევა, ალბათ, თავისუფლების ჩვევის იდენტურია. მოსამზადებელი ეტაპია თავისუფალ საზოგადოებაში პასუხისმგებლობით აღსავსე ცხოვრებისთვის''.

მე-20 საუკუნის ამერიკელი ''ლიბერტარიანელები'' უმეტესწილად აკადემიური წრის წარმომადგენლები არიან, ვიდრე სოციალური აქტივისტები. როგორც ჩანს, მთელი მათი გამომგონებლობა იმისკენ არის მიმართული, რომ იდეოლოგიური საფუძველი შეუქმნან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოქმედ, თავისუფალ საბაზრო კაპიტალიზმს.

თავი 8
ჩუმი რევოლუციები

მე-20 საუკუნის ისტორიასა და ანარქისტულ მისწრაფებებს შორის ნამდვილი უფსკრულია. ამის მიზეზად შეიძლებოდა დაგვესახელებინა განუხორციელებელი, "გიჟური" იდეები და იმედები. თუმცა, დანარჩენმა მემარცხენე პოლიტიკურმა იდეოლოგიებმაც მარცხი განიცადა. ვინ არ იგრძნო შვება საბჭოთა კომუნიზმის ნგრევის შემდეგ, იმის მიუხედავად რომ, მის შემდგომ რეჟიმს არავითარი სიხარული არ მოუტანია?! როდესაც, სასჯელაღსრულების შენობები დაიცალა გადარჩენილი ადამიანებისგან, სისტემის ბევრი გულშემატკივარი იძულებული გახდა გადაეხედა საკუთარი შეხედულებებისთვის.

მრავალი წლის წინ, ამერიკელმა ჟურნალისტმა დუაიტ მაკდონალდმა გამოაქვეყნა სტატია, სახელწოდებით - "წარსულის პოლიტიკა". სტატიას თან სდევდა ვრცელი შენიშვნა. დუაიტის სიტყვებით, მის მიერ დაწერილ სტატიებთან შედარებით, აღნიშნულ შენიშვნას ციტირების ყველაზე მაღალი ინდექსი ჰქონდა. გთავაზობთ, მაკდონალდის შენიშვნას:

"დღევანდელი ვითარების რევოლუციური ალტერნატივა არ არის საკუთრების კოლექტივიზაცია, რომელსაც "მუშათა სახელმწიფო" მართავს, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს ცნება. ალტერნატივა იქნება - ანარქისტული დეცენტრალიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ მასას დაშლის მომცრო თემებად (კომუნებად). ინდივიდებს შესაძლებლობა ექნებათ იცხოვრონ მრავალფეროვან გარემოში და არ იყვნენ მხოლოდ მასის გარკვეული ნაწილის უსახო წარმომადგენლები. ზედაპირულმა "ახალმა კურსმა"[38] და ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ომის შემდგომმა რეჟიმმა სრული უუნარობა აჩვენა ადამიანთა ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გაუმჯობესების საქმეში, როგორიც არის შრომითი ურთიერთობა, თავისუფალი დროის გამოყენება,

ბავშვთა აღზრდა თუ სექსი და ხელოვნება. მიზეზი კი არის, ერთი მხრივ, ცხოვრების მასობრივი წესი, რომელიც ყველაფერს ამახინჯებს და მეორე მხრივ, არსებული წესრიგის კიდევ უფრო გამამყარებელი სახელმწიფო. მარქსიზმი განადიდებს მასებს და მხარს უჭერს სახელმწიფოს. ანარქიზმი კი, უბრუნდება ინდივიდს და თემს, რაც "არაპრაქტიკულია", მაგრამ აუცილებელი ანუ სხვაგვარად რომ ითქვას - რევოლუციური".

რამდენიმე რევოლუციამ, რომელზეც მსჯელობდა დუაიტ მაკდონალდი, გარეგნულად და ნაწილობრივ უკვე შეცვალა ჩვენი ცხოვრება. განვიხილოთ ერთ-ერთი ზედაპირული, თუმცა თვალსაჩინო მაგალითი: ჩაცმულობაში მომხდარი გარდატეხა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. 50 წლის წინ, ქალის, მამაკაცის თუ ბავშვის კლასობრივი კუთვნილების შესახებ მათი ჩაცმულობის მიხედვით შეიტყობდით. დღეს ეს მეთოდი აღარ მუშაობს. გარდა მცირე გამონაკლისისა, როდესაც შეიძლება ექსკლუზიური და მდიდრული ტანისამოსის ამოცნობა. ჩვეულებრივ, ეს აიხსნება მასობრივი წარმოების გაზრდით და იმ ფაქტით, რომ ტანსაცმლით ვაჭრობა ყველაზე მარტივი გზაა გლობალური ეკონომიკისკენ, დაბალანაზღაურებადი სამუშაო ძალის მქონე განვითარებადი ქვეყნისთვის. თუმცა, მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი გახლავთ მოდის სავალდებულო და საყოველთაო დიქტატისგან განთავისუფლება. მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში ამ პროცესს ამზადებდნენ რადიკალური ნონკონფორმისტები, მოდის უარყოფითა და ჩაცმულობის წესის მიმართ დამოკიდებულების შეცვლით. სოციალურ კლასზე ან საქმიანობაზე მიმანიშნებელი "დრესკოდის" უარყოფა მცირე პერსონალური ამბოხი იყო დაკანონებული ჩვეულების წინააღმდეგ.

მაგრამ საუკუნის განმავლობაში სულ უფრო მზარდი და მნიშვნელოვანი რევოლუცია, რა თქმა უნდა, ქალთა მოძრაობა იყო. იგი უპირისპირდებოდა მამაკაცის უნივერსალურ დომინირებას. მოძრაობის ანარქისტი პიონერი ემა გოლდმანი ბასრი ინტონაციის მქონე ბროშურაში - "ქალის განთავისუფლების ტრაგედია", ამტკიცებს, რომ საარჩევნო ხმის უფლებამ ვერ გაათავისუფლა მამაკაცი და ანალოგიურად, ვერ დაეხმარება ქალს. გოლდმანის აზრით, თავად ქალს უნდა მოეხდინა საკუთარი თავის ემანსიპაცია:

"პირველ რიგში, საკუთარი თავის პიროვნებად და არა - სექსუალურ ობიექტად შეცნობის გზით; შემდეგ, საკუთარ სხეულზე სხვისთვის რაიმე უფლების ქონის უარყოფით; ბავშვის გაჩენაზე უარით, როდესაც არ სურს შვილის ყოლა; უარით, ემსახუროს ღმერთს, სახელმწიფოს, საზოგადოებას, ქმარს, ოჯახს და ა.შ. საკუთარი ცხოვრების გამარტივებით, მაგრამ მისი გამდიდრებით და გაღრმავებით. ეს ნიშნავს

ეცადო გაიგო ცხოვრების მნიშვნელობა, არსი, მთელი მისი კომპლექსურობა, საზოგადოებრივი აზრის და საჯაროდ გაკიცხვის შიშისგან განთავისუფლების გზით. მხოლოდ ამგვარად შეძლებს ქალი განთავისუფლებას და არა - საარჩევნო ბიულეტენით...''

სწორედ, ანარქისტებს შორის იყო გავრცელებული ჩვეულება, დაემყარებინათ "თავისუფალი კავშირი'', სახელმწიფოს და ეკლესიის მიერ სანქცირებული ქორწინების გარეშე. დღეს, ამგვარი ურთიერთობა ისევე ფართოდაა გავრცელებული, როგორც კანონიერი ქორწინება და აღარ ითვლება უპატიოსნობად ან სახელის გატეხად, რაც ამგვარი კავშირის შედეგად გაჩენილ ბავშვებს უკანონობის სამუდამო დაღს ასვამდა. რა თქმა უნდა, ეს ცვლილება დააჩქარა ფარმაკოლოგიურმა რევოლუციამ ჩასახვის საწინააღმდეგო აბების სფეროში.

ალექს კომფორტი (1920-2000) ექიმი, მწერალი, პოეტი და ანარქისტი იყო. 1940-იანი წლების ბოლოს, მის მიერ ლონდონის ანარქისტული ჯგუფის შეხვედრებზე ჩატარებული ლექციების კურსი საფუძვლად დაედო წიგნს - "ბარბაროსობა და სექსუალური თავისუფლება'', რომელიც 1948 წელს გამოსცა Freedom Press-მა. იმ დროს, არცერთი სხვა "რესპექტაბელური'' გამომცემლობა ამგვარი შინაარსის წიგნს არ დაბეჭდავდა. მას მოჰყვა - "სექსუალური ქცევა საზოგადოებაში'' და მისი ფენომენალურად წარმატებული სახელმძღვანელოები სექსის შესახებ. 1973 წელს გამოქვეყნებულ წიგნში - "მეტი სიამოვნება: სასიყვარულო კომპანიონობიდან, სექსუალურ სიამოვნებამდე'' (More Joy: A Lovemaking Companion to The Joy of Sex), მან სექსუალობასა და პოლიტიკას შორის არსებული კავშირის ანარქისტული ანალიზი წარმოადგინა. ალექს კომფორტი ამტკიცებდა, რომ:

"მოვლენების უკეთ გაცნობიერების უნარი ან განწყობა, რომელიც შესაძლოა მომდინარეობდეს კარგი და ჯანსაღი სექსუალური გამოცდილებიდან, ხელს უშლის ეგოიზმის აღმოცენებას... ავტორიტარული საზოგადოების და მისი ამგვარივე მმართველი ადამიანების ანტისექსუალობა სულაც არ გამომდინარეობს სექსუალობის, როგორც ცოდვის, აღქმიდან, რადგან თვითონაც კავდებიან სექსით; არამედ ბუნდოვანი წინათგრძნობაა, რომ ამ სფეროში თავისუფლების სიყვარულმა შეიძლება გამოიწვიოს თავისუფლების მოთხოვნილება სხვა სფეროებშიც. ადამიანები კი, რომლებმაც თავად მოახდინეს საკუთარი თავის და სამყაროს ეროტიზება, ერთი მხრივ, საოცრად მშვიდობის მოყვარეები არიან; მაგრამ მეორე მხრივ, შეუძლიათ გააფთრებით ებრძოლონ ყველა ჯურის პოლიტიკურ გამყიდველს და რასისტს, ვინც ემუქრება პირად თავისუფლებას, მოპოვებულს საკუთარი ძალისხმევით; თავისუფლებას, რომლის სხვებისთვის გაზიარებაც სასურველია.''

კომფორტი იმედოვნებდა, რომ მისი წიგნები ნუგეშს და გათავი-

სუფლებას მოუტანდა ადამიანებს. ამით მე-20 საუკუნის კიდევ ერთ რევოლუციაში შეიტანდა წვლილს - მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის რევოლუციურ ცვლილებაში. დღეს დასავლეთ ევროპაში რთული წარმოსადგენია მშობლის რეპრესიული ქცევა შვილის მიმართ, რაც ერთი საუკუნის წინ საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო.

ანალოგიური ვითარებაა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობაშიც. მე-20 საუკუნის, პირველი ათწლეულის პერიოდის სკოლის მოსწავლეთა მოგონებები, გაჯერებულია ფიზიკური დასჯის ისტორიებით და მისი შიშის გრძნობით.

მე-20 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში, ბრიტანეთის სკოლებში ფიზიკური დასჯა კანონით აიკრძალა. საკანონმდებლო ცვლილება სწრაფად არ მიუღიათ. ეს იყო მცირერიცხოვანი "პროგრესული" სასწავლო დაწესებულებების არსებობის და მათ მიერ საზოგადოებრივ აზრზე მოხდენილი ზეგავლენის შედეგი; მონაგარი პედაგოგიკისა და ზოგადი განათლების მიმართ არსებული დამოკიდებულებების შეცვლისა.

ბევრი დამკვირვებელი ამტკიცებს, რომ სკოლამ ვერ შეძლო დამაკმაყოფილებლად გადაეწყვიტა მის წინაშე მდგარი დილემები. მათი აზრით, ფიზიკური დასჯის გაუქმებით, მასწავლებელს წაერთვა ზემოქმედების მოხდენის უმაღლესი მეთოდი, რამაც გამოიწვია სკოლიდან გარიცხული ბავშვების რაოდენობის გაზრდა. მასწავლებელი უარს ამბობს, ზოგიერთი მოსწავლე იყოლიოს კლასში. ყველას, ვისაც დაკვირვება უწარმოებია, შეამჩნევდა, თუ როგორ შეუძლია არეულობის შემქმნელ ერთ მოსწავლეს, ხელი შეუშალოს მთელ კლასს სწავლის პროცესში. შესაბამისად, რთულია მასწავლებლის გაკრიტიკება, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც დამსაქმებელი უნაკლო სტატისტიკას მოითხოვს.

1960-70-იან წლებში, ბრიტანეთის რამდენიმე ქალაქში: ლონდონში, ლივერპულში, ლიდსსა და გლაზგოში საინტერესოდ წარიმართა მოვლენები. ენთუზიასტი ადამიანების ჯგუფები ეძებდნენ მიტოვებულ შენობებს, სადაც "თავისუფალ სკოლებს" ხსნიდნენ სკოლიდან გამოძევებული ან სწავლისთვის თავდანებებული ბავშვებისთვის. "თავისუფალ სკოლებში" მათ შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ არაფორმალური განათლება (ერთ-ერთმა მათგანმა, ლონდონის White Lion School-მა, 1972-დან 1990 წლამდე იარსება). თავისუფალი სკოლის დღის წესრიგი ემყარებოდა, პროგრესული საგანმანათლებლო მოძრაობის გამოცდილებას. მე შევეკითხე ექსპერიმენტის ვეტერან მონაწილეს, თუ რატომ არ გამოიყენეს ეს მეთოდი სკოლიდან გარიცხული ბავშვების შემდგომი თაობებისთვისაც, უკვე ახალ საუკუნეში. მან

ორი მიზეზი დაასახელა: ტეტჩერის მმართველობის დროს მიღებული და მომდევნო მთავრობების მიერ შენარჩუნებული კანონი, რომლის მიხედვითაც, სავალდებულოა საერთო ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება და მეორე, სირთულეს წარმოადგენს იმგვარი შენობის მოძებნა, რომელიც ზედმიწევნით დააკმაყოფილებს სკოლისთვის დაწესებულ სანიტარულ და უსაფრთხოების სავალდებულო ნორმებს.

მიუხედავად ყველაფრისა, რთული წარმოსადგენია, რომ სკოლებში ისევ დაბრუნდეს საუკუნის წინანდელი შიშის რეჟიმი. ჩუმ რევოლუციას განათლების სფეროში მხოლოდ წინსვლის მოტანა შეუძლია.

როგორც ჩანს, 1960-იან წლებში დაწყებული მოძრაობის შედეგად მომხდარი კიდევ ორი ცვლილება, ასევე შეუქცევადი ფაქტია. პირველი, ეს არის ჰომოსექსუალობის გამო სამართლებრივი დევნის გაუქმება და ამასთან დაკავშირებული შიშის გაქრობა. მნიშვნელოვანი ბიძგი იყო ჯონ ვოლფენდენის[39] ხელმძღვანელობით მომუშავე კომიტეტის ანგარიში, 1957 წელს. მაგრამ, საჭირო გახდა მსჯელობა და აგიტაცია მრავალი წლის განმავლობაში, რათა ცვლილებები კანონმდებლობაში ასახულიყო.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, სიკვდილით დასჯის გაუქმება 1965 წელს. ამ საკითხზე დისკუსიის დაწყების წინ, Freedom Press-ის ანარქისტმა გამომცემლებმა, პარლამენტის თითოეულ წევრს წინასწარ დაურიგეს ჩარლზ დაფის სულისშემძვრელი წიგნი - "სახელმძღვანელო ჩამოხრჩობისთვის". ეს იყო ჯალათებისთვის განკუთვნილი, სასტიკი ენთუზიაზმით აღსავსე ნაწერი. მხოლოდ, იუმორის გრძნობასთან მწყრალად მყოფი ადამიანი თუ გამოხატავს უკმაყოფილებას ანარქისტების მონაწილეობის გამო, ბარბაროსული კანონის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში და ჩათვლის, რომ ეს ანარქისტების ანტისაპარლამენტო პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ბრიტანეთში მომხდარი, ჩემს მიერ ჩამოთვლილი სოციალური ცვლილებები შემდეგზე მიანიშნებს: მიუხედავად იმისა, რომ ანაქისტებმა ვერ მოახდინეს საზოგადოების იმგვარი ფართომასშტაბიანი ძვრა, როგორსაც იმედოვნებდნენ, ხელი შეუწყვეს მთელ რიგ მცირე თავისუფლებების მოპოვებას და საერთო ჯამში, ადამიანურ ტანჯვას უზარმაზარი ტვირთი ჩამოაშორეს.

რამდენიმე ანარქისტულმა ჯგუფმა გადაწყვიტა ერთად მოეყარა თავი ადამიანის განმათავისუფლებელი, მცირე ბრძოლებისთვის და პროცესისთვის გააზრებული კამპანიის სახე მიეცა. ჰოლანდიაში, ახალგაზრდული, ანარქისტული ჯგუფი - "პროვო"[40] (პროვოკატორები) ქალაქის ადმინისტრაციის დასაცინად მართავდა თამაშის ტიპის სხვადასხვა იუმორისტულ აქციას. ყველაზე ცნობილი წამოწყება შემდეგნაირი იყო: მათ მთელ ამსტერდამში თეთრი ველოსიპედები

დაახვავეს. ველოსიპედით სარგებლობა ყველას შეეძლო. აქციის მიზანი იყო ეჩვენებინათ, რომ ავტომობილი არც ისეთი აუცილებელი ნივთია. "პროვოს" შემდეგ გამოჩნდნენ "კაბუტერები"[41] (გნომები), მწვანეთა მოძრაობის წინამორბედები. ერთ-ერთი მათგანი, როელ ვან დაინი ერთმანეთს უკავშირებდა ანარქიას და კიბერნეტიკას - მეცნიერებას მართვის შესახებ და საკომუნიკაციო სისტემებს. ვან დაინი ეყრდნობოდა კიბერნეტიკის დამაარსებლის, ნევროლოგ გრეი ვოლტერის იდეებს და ამბობდა:

"ადამიანის ტვინში არ არსებობს ზედამხედველი. ვერც, ოლიგარქიულ ნერვულ კვანძებს ან ჯირკვლოვან დიდ ძმას (Big Brother) აღმოაჩენთ. ჩვენს თავებში, ჩვენი ცხოვრება დამოკიდებულია თანასწორ შესაძლებლობებზე, მრავალმხრივ სპეციალიზაციაზე, თავისუფალ კომუნიკაციასა და გონივრულ თავშეკავებაზე, თავისუფლებაზე, ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ჩვენს თავებში, ადგილობრივ უმცირესობას შეუძლია და ახორციელებს კიდეც კონტროლს წარმოების საშუალებებზე. ხოლო, მეზობლებთან თავისუფალი და თანასწორი ურთიერთობა აქვს''.

საფრანგეთში ფართოდ გავრცელებული ბუნდოვანი, ლიბერტარიანული ტენდენციების დახვეწა სცადეს "სიტუაციონისტებმა''. განსაკუთრებით, რაულ ვანეიგემმა, მანიფესტით - "ყოველდღიური ცხოვრების რევოლუცია'' (The Revolution of Everyday Life; 1967). როგორც, პიტერ მარშალი ამბობს:

"სიტუაციონისტებისთვის გამოსავალი არ იყო შორეული რევოლუციის ლოდინი, არამედ ყოველდღიური ცხოვრების გადააზრება აქ და ახლა. სამყაროს აღქმის ტრანსფორმაცია და საზოგადოების სტრუქტურის შეცვლა - ერთი და იგივეა. ადამიანი, საკუთარი თავის განთავისუფლებით ცვლის ძალაუფლებრივ ურთიერთობებს და შესაბამისად, გარდაქმნის საზოგადოებასაც...''

სიტუაციონისტების და კაბუტერების მოძრაობა ისტორიაში ისე შევიდა, რომ ვერ მოახერხა საზოგადოების ტრანსფორმირება. თუმცა, მათი დამსახურებით საფრანგეთის, ჰოლანდიის, ისევე, როგორც ბრიტანეთის ცივილიზაცია მთელ რიგ მოკრძალებულ მიღწევებს ეზიარა.

შემდეგ, ჩუმი რევოლუცია უფრო ხმაურიანი გახდა. ინტერნეტის საშუალებით, ანარქისტები შეუერთდნენ სხვა ანტიკაპიტალისტური მოძრაობების აქტივისტებს. მოეწყო მასშტაბური დემონსტაციების მთელი სერია გლობალური ორგანიზაციების კულისებს მიღმა მოქმედებების წინააღმდეგ, რომლებიც საკუთარი ინტერესების განმტკიცებისთვის ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჯორჯ მონბიო, წიგნში - "დატყვევებული სახელმწიფო'' (Captive State) წერს:

"1998 წლის აპრილში, "დაკონკილი'' გამპროტესტებლების ბანდებ-

მა მრავალთაგან პირველი დარტყმა მიაყენეს მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი კოალიციის ინტერესებს. ოცდაცხრა უმდიდრესი ქვეყნის უდიდესი მულტინაციონალური კომპანიები შეიკრიბნენ, რათა დაეწერათ "მსოფლიოს გლობალური ეკონომიკის ერთიანი კონსტიტუცია". ინვესტირების შესახებ მრავალმხრივი შეთანხმება მოამზადეს მსხვილმა ბიზნესმენებმა და ფარულად განიხილეს მთავრობებმა. მისი განხორციელების შემთხვევაში, კორპორაციებს საშუალება მიეცემოდათ ეჩივლათ იმ ქვეყნისთვის, რომლის კანონმდებლობაც შეზღუდავდა მათ ბიზნეს ინტერესებს. ამ წამოწყების ოპონენტების აზრით, ხელშეკრულება დააკანონებდა კორპორაციების მიერ მსოფლიოს დაპყრობის პროცესს".

მონბიოს განმარტებით, 1997 წელს, საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციამ გაჟონა და მოწინააღმდეგეებმა ის გაასაჯაროვეს ინტერნეტის საშუალებით. შედეგად, დემონსტრაციები იმართებოდა ყველგან, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ სახელმწიფოთა შუამავლები. საზოგადოების მხრიდან ზეწოლის და შიდა უთანხმოებების გამო, მსოფლიო ლიდერებმა დროებით უარი თქვეს მოლაპარაკებების გაგრძელებაზე, მხოლოდ იმისთვის, რომ ისევ განეახლებინათ პროცესი, უკვე "მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის" ეგიდით. 1999 წელს, შუამავლები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ქალაქ სიეტლში. თუმცა, ათობით ათასმა ადამიანმა მთელი მსოფლიოდან შეხვედრა გააპროტესტა და ჩაშალა, ღარიბი ქვეყნების და გარემოს დაცვის ინტერესების სახელით.

სიეტლიდან დაიწყო დემონსტრაციების მთელი სერია, რომელთა მსვლელობისას გამოიყენეს "პროვოს" და "კაბუტერების" მიერ აპრობირებული მეთოდები. ამასხარავებდნენ კანონის და წესრიგის დამცველებს. შონ შიანი,[42] საკუთარ ნაშრომში თანამედროვე ანარქიზმის შესახებ, აღწერს პრაღის აქციას, რომელიც სიეტლის მოვლენებიდან ერთი წლის შემდეგ გაიმართა. დემონსტრანტები გამოვიდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინააღმდეგ:

"ფერიების კოსტიუმში გამოწყობილი და ბუმბულის მტვრის საწმენდით შეიარაღებული გამპროტესტებლების არმია იარაღასხმული, ჯავშანჟილეტიანი პოლიციელების რიგებს მტვრის საწმენდი ჯოხით უღიტინებდა. ამგვარ დემონსტრაციებზე სატრანსპორტო არტერიის ბლოკირებას გიგანტური "განმათავისუფლებელი თოჯინებით" უფრო წარმატებით ახერხებენ, ვიდრე ცეცხლწაკიდებული ბარიკადებით და ქუჩის ბრძოლებით".

თუმცა, როდესაც ხუთ დღიანი პროტესტის შემდეგ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონფერენცია თითქმის ჩაიშალა, მაშინ მძიმედ აღჭურვილმა პოლიციამ საპასუხო ნაბიჯი გადადგა. როგორც, შიანი

გვამცნობს:

“პოლიცია დააფრთხო პროტესტის სიდიდემ და ორგანიზებულობამ. იძულებული გახდნენ დაუფარავი გაცოფებით და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით ეპასუხათ. აღნიშნული იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ 631 დაკავებულიდან საბოლოოდ მხოლოდ 14 წარსდგა სასამართლოს წინაშე’’.

მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული, სიფრთხილით და იუმორით დაწყებული ფართომასშტაბიანი საპროტესტო დემონსტრაციები უკვე არც თუ ისე ჩუმი რევოლუციებია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიციელებს შორის შეთანხმება არსებობდეს, რათა დემონსტრაციის მონაწილეებს, ძალადობის ესკალაციით უპასუხონ. შონ შიანი წერს:

“თავდაპირველად, პოლიციის “სტანდარტული’’ ძალადობა სიეტლში; შემდეგ, პოლიციელების აღჭურვა საბრძოლო ვაზნებით და შედეგად, სამი მოკლული ადამიანი გოტენბურგში, 2001 წლის ივნისში; გენუაში, ივლისში გამართული კიდევ ერთი ანტიკაპიტალისტური პროტესტი გადაიზარდა გააფთრებულ აჯანყებაში; შეუძლებელია დავივიწყოთ, ხალხის მასაში დიდი სისწრაფით შეჭრილი ჯავშნიანი მანქანები და ღამით, ცივსისხლიანი, სასტიკი დარბევა შენობისა, სადაც მედია აქტივისტები იმყოფებოდნენ, მათ მიერ მომზადებული მასალებით’’.

გენუაში მოკლეს ახალგაზრდა ანარქისტი. მისმა სიკვდილმა ახალი დისკუსიები გამოიწვია პროტესტის სტრატეგიების შესახებ. იქნებ, უფრო დახვეწილი გზა არსებობს გლობალური კაპიტალიზმის დასამარცხებლად?! ჩუმმა რევოლუციონერებმა, რომლებმაც მე-20 საუკუნეში, დასავლეთის ქვეყნების კულტურის ტრანსფორმაცია მოახდინეს, ჯერ ვერ აღმოაჩინეს ამგვარი გზა.

თავი 9
ფედერალური დღის წესრიგი

ანარქიზმის კრიტიკისას ხშირად მიუთითებენ, რომ იგი მცირე ზომის იზოლირებულ დასახლებას უფრო შეეფერება, სადაც თვითმმართველობის განხორციელება შესაძლებელია მასშტაბის სიმცირის გამო და რომ, იგივე შეუძლებელი იქნება, ამჟამად არსებული გლობალური, მრავალეროვანი საზოგადოების შემთხვევაში. სინამდვილეში, გამოჩენილმა ანარქისტმა მოაზოვნეებმა: პრუდონმა, ბაკუნინმა და კროპოტკინმა ფედერალურ პრინციპებზე საუბარი თანამედროვე ევროკავშირის შესახებ დებატებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყეს.

ბავშვები, რომლებსაც საკუთარი ქვეყნის ისტორიის გარდა ევროპის ისტორიის შესწავლის საშუალებაც ჰქონდათ, შეიტყობდნენ რომ, მე-19 საუკუნეში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ბისმარკმა და იმპერატორმა ვილჰელმ I-მა გააერთიანეს გერმანია; ხოლო კავურმა[43], გარიბალდიმ, მაძინიმ[44] და ვიტორიო ემანუელე II-მ - იტალია. ამ ტრიუმფალურ გამარჯვებებს მიესალმა მთელი მაშინდელი მსოფლიო (იგულისხმებოდა ევროპა), რადგან გერმანიამ და იტალიამ უკან მოიტოვეს ყველა წვრილ-წვრილი სამთავრო, რესპუბლიკა, პაპის პროვინცია და გახდნენ ეროვნული სახელმწიფოები, იმპერიები და, რა თქმა უნდა, დამპყრობლები.

ისინი დაადგნენ საფრანგეთის გზას, რომლის ადგილობრივი დესპოტები დაიმორჩილა ჯერ ლუდოვიკო XIV-მ, მედიდური ლოზუნგით - "სახელმწიფო მე ვარ!'' და შემდეგ ნაპოლეონმა, დიდი რევოლუციის მემკვიდრემ, რომელმაც ზემოხსენებული ლოზუნგის ჭეშმარიტების დასადასტურებლად ტერორის ადმინისტრაციული მანქანა შექმნა (ისეთივე, როგორიც სტალინმა მე-20 საუკუნაში). ან სულაც, ინგლისის ანალოგიურად, რომლის მეფეებმა (და ერთადერთმა რესპუბლიკელმა მმართველმა - ოლივერ კრომველმა) დაიპყრეს უელსი, შოტ-

ლანდია, ირლანდია და ცდილობდნენ ევროპის ფარგლებს გარეთ, დანარჩენ მსოფლიოზე დომინირებას. იგივე პროცესი მიმდინარეობდა ევროპის მეორე ბოლოშიც. ივანე IV-თვის შემთხვევით არ შეურქმევიათ "მრისხანე". მან დაიპყრო ცენტრალური აზია წყნარ ოკეანემდე.[45] ხოლო პეტრე I-მა,რომელსაც "დიდი" უწოდეს, საფრანგეთისა და ბრიტანეთის მიერ გამოყენეული მეთოდების დახმარებით, კონტროლი დაამყარა ბალტიისპირეთზე, პოლონეთის უმეტეს ნაწილსა და დასავლეთ უკრაინაზე.

მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, მთელ ევროპაში მიესალმნენ გერმანიის და იტალიის შებიჯებას, ნაციონალური და იმპერიული ზე-სახელმწიფოების ჯენტლმენთა კლუბში. მე-20 საუკუნეში, ამ პროცესების შედეგი აღმოჩნდა: დამპყრობლური ომების საშინელი თავგადასავლები; ევროპელი

ახალგაზრდა მამაკაცების ურიცხვი მსხვერპლი ორივე მსოფლიო ომში; პოპულისტი დემაგოგების - ჰიტლერის და მუსოლინის აღზევება; აგრეთვე, მათი მიმბაძველების დაუსრულებელი აღმოცენება დღემდე, რომლებიც იგივეს მოითხოვენ: "'სახელმწიფო მე ვარ!'' შესაბამისად, ძალიან ცოტა გვყავს სახელმწიფოს დემონტაჟის შესახებ მოსაუბრე პოლიტიკოსები, მაგრამ ყველა მიმდინარეობაში მოიძებნებიან ევროპის ეკონომიკურ, სოციალურ, ადმინისტრაციულ და პოლიტიკური გაერთიანებაზე მოლაპარაკენი.

ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ პოლიტიკოსების მიერ ლობირებული უნიფიკაციის იდეის შედეგად, ბრიუსელში გვყავს ურიცხვი ბიუროკრატი. ისინი დაკავებული არიან დირექტივების გაცემით, თუ რა სახეობის ბოსტნეულის მოყვანაა მიზანშეწონილი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ან რა შემადგენლობით უნდა დამზადდეს ნაყინი თუ ჰამბურგერი. პრესაც სიხარულით აშუქებს მსგავს ამბებს. მაგრამ იგივე პრესა გაცილებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს სტრასბურგში, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანებისგან პან-ევროპული განვითარების საკითხის განსხვავებულ, ქვედა დინებაზე საუბარს. ეს ადამიანები ხაზს უსვამენ "რეგიონული ევროპის'' არსებობას და გაბედულად ამტკიცებენ, რომ ნაციონალური სახელმწიფო მე-16-დან მე-19 საუკუნემდე პერიოდის ფენომენია და იგი ვერ მოიტანს სარგებლობას 21-ე საუკუნეში. ამასთან, ცდილობენ შეიმუშავონ ფედერაციული ევროპის მომავალი სისტემა, რომელშიც დაკავშირებული იქნებიან სხვადასხვა რეგიონები; მაგალითად: კალაბრია, უელსი, ანდალუსია, აქვიტანია, გალიცია, საქსონია. აღნიშნული რეგიონები მიისწრაფვიან ეკონომიკური და კულტურული თავისებურებების შენარჩუნებისკენ, რაც დიდწილად დაკარგეს ნაციონალური სახელმწიფოს შემადგენლობაში გაერთიანებისას, სადაც სიმძიმის ცენტრი სხვა-

გან არის გადატანილი.

მე-19 საუკუნეში, ნაციონალიზმის მძლავრი ტალღის პარალელურად, განსხვავებული აზრის მქონე მცირერიცხოვანი ადამიანები საუბრობდნენ ფედერალიზმზე, როგორც ალტერნატივაზე. საინტერესოა, რომ მათ შორის, ვისი სახელიც არ მიეცა დავიწყებას, აღნიშნული ეპოქის სამი ანარქისტი მოაზროვნეა. მე-20 საუკუნის განმავლობაში თანდათან განვითარებულმა მემარცხენეობამ, უკუაგდო მათი მემკვიდრეობა, როგორც არარელევანტური რამ, რითაც ისევ მემარცხენეები დაზარალდნენ. მას შემდეგ, დებატები მემარჯვენე ფრთის პოლიტიკოსებს აქვთ მონოპოლიზებული საკუთარი დღისწესრიგით და ორივეს უპირისპირდებიან, როგორც ფედერალიზმს, ისე რეგიონალიზმს.

ანარქისტების წინამორბედთა შორის პრუდონი პირველი დაუპირისპირდა ნაციონალური სახელმწიფოს იდეას და ორი წიგნი მიუძღვნა ფედერალიზმს. ესენია: "ფედერაცია და უნიტარიზმი იტალიაში'' (La Fédération et l'Unité en Italie), დაწერილი 1862 წელს და მომდევნო წლის - "ფედერალური პრინციპი'' (Du Principe Fédératif). პრუდონი ფრანგი გახლდათ - გაერთიანებული, ცენტრალიზებული, ნაციონალური სახელმწიფოს მოქალაქე. საბოლოოდ, იძულებული გახდა ბელგიაში

გადასახლებულიყო. ის რამდენიმე მიზეზის გამო აკრიტიკებდა იტალიის უნიფიკაციას. 1858 წელს, ნაშრომში - "სამართლიანობის შესახებ'' (De la Justice), პრუდონმა იწინასწარმეტყველა, რომ გერმანული იმპერიის შექმნა მხოლოდ პრობლემებს მოუტანდა მთელ ევროპას და თავად გერმანიას. მსგავსი არგუმენტაციით ხელმძღვანელობდა იტალიის შემთხვევაშიც.

მისი აზრით, ყველაფრის საფუძველი იყო გარემო ფაქტორები. ადგილობრივი წეს-ჩვეულებების და განწყობების ჩამოყალიბება განაპირობა გეოლოგიურმა აგებულებამ, კლიმატმა. პრუდონი აცხადებდა, რომ იტალია:

"ფედერალური ქვეყანაა - ტერიტორიული აგებულების, ერთმანეთისგან განხვავებული მაცხოვრებლების, სულისკვეთების, ზნე-ჩვეულების, ისტორიის მიხედვით. იგი მთელი არსებით ფედერალური იყო, უხსოვარი დროიდან მოყოლებული... ფედერალიზმის წყალობით იმდენად თავისუფალს გახდით იტალიას, რამდენი დამოუკიდებელი ერთეულიც იქნება.''

ამიტომ, იტალიისთვის ნაციონალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, არ იყო ბუნებრივი პროცესი. პრუდონი ხვდებოდა, რომ კავურისა და ნაპოლეონ III-თვის იტალიის ფედერალური მოწყობა მისაღები იყო. მაგრამ, ამავე დროს, იცოდა, რომ ისინი დაეყრდნობოდნენ სავოის პატივმოყვარე ჰერცოგს (ვიტორიო ემანუელე II), რომელიც კონსტი-

ტუციური მონარქიის გარდა არაფერს დათანხმდებოდა. ამას გარდა, არ ენდობოდა მაძინის ლიბერალურ ანტი-კლერიკალიზმს, არა იმიტომ რომ, ის პაპობას სცემდა პატივს. პრუდონი თვლიდა, რომ მაძინის ლოზუნგს - "ღმერთი და ხალხი'' (Dio e popolo), გამოიყენებდა ნებისმიერი დემაგოგი, რომელიც ხელში ჩაიგდებდა ცენტრალიზებულ სახელმწიფო აპარატს. პრუდონი ხედავდა, რომ ადმინისტრაციული მანქანის არსებობა უსათუოდ შეუქმნიდა საფრთხეს პიროვნების და რეგიონის თავისუფლებას. მე-19 საუკუნის თეორეტიკოსებს შორის პრუდონი თითქმის ერთადერთი იყო, ვინც შემდეგი გაიაზრა:

"იგი ლიბერალური იარაღია ლიბერალური მთავრობის ხელში, მაგრამ მომავალში უზურპაციის მძლავრ ინსტრუმენტად გადაიქცევა. ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაუსრულებელი ცდუნება და მუდვიმი საფრთხე ადამიანების თავისუფლებისთვის. არასწორია იმის თქმა, რომ პიროვნებას ან კოლექტივს შეუძლია დარწმუნებული იყოს ხვალინდელ დღეში. შემდგომში, ერს საზიანოდ შემოუბრუნდება ცენტრალიზაცია და განაიარაღებს მას, მთავრობის სასარგებლოდ...''

მე-20 საუკუნეში, ევროპის, აზიის, ლათინური ამერიკის და აფრიკის მიერ განვლილი ისტორია პრუდონის მსჯელობის დასაბუთებაა. გარანტია არც თომას ჯეფერსონის და მისი თანამოაზრეების მიერ სათუთად შემუშავებული ჩრდილო-ამერიკული ფედერალიზმია. პრუდონის ერთ-ერთმა ინგლისელმა ბიოგრაფმა, ედუარდ ჰაიემსმა აღნიშნა:

"მეორე მსოფლიო ომის დროს თვალსაჩინო გახდა, რომ აშშ-ის პრეზიდენტებს აქვთ შესაძლებლობა და იმგვარად სარგებლობენ ფედერალური ადმინისტრაციული

მანქანით რომ პირდაპირ დასცინიან დემოკრატიას.''

ხოლო, პრუდონის კანადელმა მთარგმნელმა, რიჩარდ ვერნონმა შემდეგნაირად მოახდინა მისი პერიფრაზი:

"ჰკითხეთ აზრი ადამიანთა მასას და მიიღებთ სულელურ, მერყევ ან სასტიკ პასუხს. მაგრამ თუ გამოჰკითხავთ სოლიდარული, თვითმყოფადი ადამიანების განსაზღვრულ ჯგუფს, მათი პასუხი გონიერი და პასუხისმგებლობით გაჯერებული იქნება. თუ მათ შესთავაზებთ მასობრივი დემოკრატიის პოლიტიკურ "ენას'', რომელიც "ხალხს'' წარმოადგენს ერთიან, განუყოფელ მოვლენად, ხოლო უმცირესობას - მოღალატედ, მაშინ ისინი ტირანიას ჩაუყრიან საფუძველს. ასწავლეთ მათ ფედერალიზმის პოლიტიკური ენა, რომლის მეშვეობითაც ხალხი მრავალფეროვანი რეალური გაერთიანებების ერთიანობას წარმოადგენს და ისინი ბოლომდე შეეწინააღმდეგებიან ტირანიას.''

ამ დაკვირვებაში ჩანს, პოლიტიკური ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა. პრუდონმა, ექსტრაპოლირება[46] მოახდინა შვეიცარული კონფედერა-

ციის ევოლუციაზე დაყრდნობით. თუმცა, ევროპაში კიდევ მოიძებნება მაგალითები, სხვადასხვა სპეციფიკური სფეროებიდან. ნიდერლანდები ცნობილია ზომიერი და მომთმენი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკით. ოფიციალური მიზეზია 1886 წელს, ნაპოლეონის კოდექსის ჩანაცვლება "წმინდა ჰოლანდიური სისხლის სამართლის კოდექსით", რომელიც გამომდინარებს კულტურული ტრადიციებიდან, როგორიცაა, მაგალითად, ჰოლანდიური "ტოლერანტობა" და "დევიაციური" უმცირესობის მიმღებლობა. საინტერესოა, ნიდერლანდელი კრიმინოლოგის, ვილემ დე ჰაანის ციტატა, სადაც ის საუბრობს ჰოლანდიურ საზოგადოებაზე, რომელიც:

"ტრადიციულად რელიგიურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ხაზს უფრო მიჰყვებოდა, ვიდრე კლასობრივს. გავლენიანი კონფესიები საკუთარ სოციალურ ინსტიტუტებს ქმნიდნენ ყველა ძირითად საზოგადოებრივ სფეროში. ეს პროცესი გახდა იმის მიზეზი, რომ პრაგმატული, ტოლერანტული საერთო განწყობა გარდაისახა აბსოლუტურ სოციალურ აუცილებლობად."

სხვა სიტყვებით, მრავალფეროვნება, და არა - ერთიანობა, ქმნის იმგვარ საზოგადოებას, რომელშიც თქვენ და მე მაქსიმალურად კომფორტულად ვიგრძნობთ თავს. თანამედროვე ნიდერლანდური საზოგადოების იდეოლოგიური პრინციპების ფესვები ამოზრდილია, შუასაკუნეების ჰოლანდიისა და ზელანდიის[47] ერთმანეთისგან განსხვავებული ქალაქ-სახელმწიფოებიდან. რაც აჩვენებს იმას, რომ პრუდონის რეგიონალიზმი და მთელი ევროპისთვის სასურველი მომავალი, ეფუძნება ლოკალური განსხვავებების ურთიერთშეთანხმებას.

1860-იანი წლების დისკუსიას ევროპის გაერთიანების თაობაზე პრუდონი სკეპტიკურად გამოეხმაურა:

"ფრანგი დემოკრატები ბევრს საუბრობენ ევროპული კონფედერაციის და ევროპის შეერთებული შტატების შესახებ. გულისხმობენ მხოლოდ ამჟამად არსებული, დიდი

და მცირე ევროპული სახელმწიფოების ალიანსს, რომლებსაც უხელმძღვანელებს მუდმივი კონგრესი. იგულისხმება, რომ სახელმწიფოები შეინარჩუნებენ მმართველობის მათთვის შესაფერის ფორმებს. თუ კონგრესში სახელმწიფოების ხმათა რაოდენობა პროპორციული იქნება ქვეყნის ტერიტორიული სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობისა, მაშინ უახლოეს მომავალში პატარა სახელმწიფოები შეუერთდებიან დიდს..."

დღეს, მეზობელი ქვეყნების "შთანთქმაზე" საუბარი აღარ არის მიღებული, მაგრამ შეგვიძლია დავინახოთ პრუდონისეული გაფრთხილება იმ კრიტიკოსთა პოზიციაში, რომლებიც მიუთითებენ გადაწყვეტილების მიღების არასრულყოფილ მექანიზმზე ევროპის გა-

ერთიანებაში, სადაც დიდი წევრი სახელმწიფოები დომინირებენ მცირე ქვეყნებზე.

ჩემს მეორე მენტორად მიჩნეული მიხეილ ბაკუნინი თითქმის ერთადერთი იყო მე-19 საუკუნის მოაზროვნეებს შორის, ვინც იწინასწარმეტყველა ნაციონალური სახელმწიფოების საშინელი შეჯახება პირველ და მეორე მსოფლიო ომში; ისევე, როგორც წინასწარ განსაზღვრა მარქსიზმის რუსეთში შეჭრის შედეგები. 1867 წელს, პრუსია და საფრანგეთი ომის პირას იმყოფებოდნენ ლუქსემბურგზე კონტროლის მოსაპოვებლად. ამ კონფლიქტში შეიძლებოდა "მთელი ევროპა ყოფილიყო ჩათრეული''. "მშვიდობის და თავისუფლების ლიგამ''[48] კონგრესი მოიწვია ჟენევაში. ლიგას მრავალი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანი უჭერდა მხარს: ჯუზეპე გარიბალდი, ვიქტორ ჰიუგო, ჯონ სტიუარტ მილი და სხვ. ბაკუნინმა ისარგებლა შემთხვევით და მიმართა კონგრესის აუდიტორიას. მან თავისი მოსაზრება ჩამოაყალიბა დოკუმენტში, სათაურით - "ფედერალიზმი, სოციალიზმი და ანტი-თეოლოგიზმი''. იგი 13 პუნქტისგან შედგებოდა, რომლებსაც, ბაკუნინის მიხედვით, ჟენევის კონგრესი ერთსულოვნად უჭერდა მხარს.

პირველი პუნქტი შემდეგი შინაარსის გახლდათ:

"იმისათვის რომ, ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებში იზეიმოს თავისუფლებამ, სამართლიანობამ და მშვიდობამ; სამოქალაქო ომის წარმოება კი შეუძლებელი გახდეს ევროპულ ოჯახში შემავალ ხალხებს შორის, არსებობს ერთადერთი გამოსავალი: ევროპის შეერთებული შტატების შექმნა.''

მეორე პუნქტი ამტკიცებდა, რომ დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფოს შეცვლა რეგიონებით. ამასთან დაკავშირებით ბაკუნინი წერდა:

"ევროპის შტატები ვერ შეიქმნება დღეს არსებული სახელმწიფოების პირდაპირ გაერთიანებით, რადგან მათ ძალებს შორის არსებობს უზარმაზარი სხვაობა და უთანასწორობა.''

მეოთხე პუნქტში, ვკითხულობთ:

"ვერც ერთი ცენტრალიზებული, ბიუროკრატიული და შესაბამისად, მილიტარისტული სახელმწიფო, თუნდაც იგი რესპუბლიკად იწოდებოდეს, ვერ

გახდება საერთაშორისო კონფედერაციის სერიოზული და გულითადი წევრი. პოლიტიკური მოწყობის გამო, ღია თუ ფარული გზით, ყოველთვის უარყოფს თავისუფლებას საზღვრებს შიგნით, რაც აუცილებლად გამოიწვევს მუდმივ მოწოდებას ომისაკენ და საფრთხის შემცველი იქნება მეზობელი ქვეყნებისთვის.''

შედეგად, მეხუთე პუნქტის მოთხოვნა იყო:

"ლიგის ყველა მხარდამჭერი ვალდებულია მთელი ძალისხმევა მი-

მართოს თავისი ქვეყნის რეკონსტრუქციისკენ, რათა თავიდან ბოლომდე ავტორიტარულ პრინციპზე დაფუძნებული ძველი ორგანიზება შეიცვალოს ახლით, რომელსაც სხვა საფუძველი არ ექნება, გარდა მოსახლეობის ინტერესების, მოთხოვნილების და ბუნებრივი მისწრაფებებისა. მთავარი პრინციპი იქნება ინდივიდის თავისუფალი გაერთიანება კომუნაში, კომუნის ორგანიზება პროვინციად, პროვინციისა - ერად, მომდევნო ეტაპზე - ევროპის შეერთებული შტატების შექმნა და შემდეგ, მთელ მსოფლიოში გავრცელება.''

ამგვარად, გათვალისწინებული იყო სულ უფრო მზარდი დინამიკა. მაგრამ ბაკუნინმა იზრუნა გამოყოფის უფლების აღიარებაზეც. მისი მერვე პუნქტი შემდეგნაირად ჟღერს:

“თუ ქვეყანა რომელიმე სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა, მათ შორის ნებაყოფლობით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვალდებულია მუდმივად დარჩეს მის ფარგლებში. ადამიანური მართლმსაჯულებისთვის მიუღებელია რაიმე ვალდებულების მუდმივობა. თავისუფალი გაერთიანების და გამოყოფის უფლება, პირველ რიგში, პოლიტიკური უფლებაა. მის გარეშე, კონფედერაცია სხვა არაფერი იქნება, თუ არა - შენიღბული ცენტრალიზაცია.''

ბაკუნინი აღტაცებით განიხილავდა შვეიცარიის კონფედერაციას; მისი თქმით, “პრაქტიკაში წარმატებით განხორციელებული ფედერაციის'' მოდელს. პრუდონისთვისაც სამაგალითო იყო შვეიცარული კანტონები - უპირატესობის მქონე სოციალური ორგანიზაციის ერთეულები. კანტონების ერთობა დაკავშირებული იყო, წმინდა ადმინისტრაციული ფუნქციის მქონე - ფედერალურ საბჭოსთან. მაგრამ, ორივეს კარგად ახსოვდა 1848 წლის მოვლენები, როდესაც კონფედერაციას გამოეყო შვიდი კანტონი და შეიქმნა ახალი კავშირი - ზონდერბუნდი. ამას მოჰყვა ომი და მათ ძალით მიაღებინეს უმრავლესობის კონსტიტუცია. პრუდონი და ბაკუნინი ერთხმად გმობდნენ ფედერალიზმის პრინციპის ამგვარ დაკნინებას უნიტარიზმის სასარგებლოდ და აღიარებდნენ გამოყოფის უფლების დაშვების აუცილებლობას.

სწორედ არაცენტრალიზებული სტრუქტურის გამო გახდა შვეიცარია თავშესაფარი მრავალი პოლიტიკური ნიშნით დევნილისთვის: ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, რუსეთის იმპერიებიდან; თუმცა ისტორიას შვეიცარიის მიერ გაძევებაც ახსოვს - ერთ-ერთი რუსი ანარქისტი შვეიცარიის ფედერალური საბჭოსთვისაც მეტისმეტი აღმოჩნდა. ეს პიროვნება პეტრე კროპოტკინი გახლდათ. მისი იდეები ერთმანეთთან აკავშირებდა მე-19 საუკუნის ფედერალიზმს და მე-20 საუკუნის რეგიონალურ გეოგრაფიას.

არმიის ოფიცერის რანგში, კროპოტკინმა ახალგაზრდობა გაატარა გეოლოგიურ ექსპედიციებში, რუსეთის შორეული აღმოსავლეთის

რეგიონებში. მის ავტობიოგრაფიაში ნათლად არის გადმოცემული ცენტრალიზებულ მმართველობაზე დაკვირვების შედეგად გამოწვეული აღშფოთება. ცენტრალიზებული მართვის და დაფინანსების პრინციპი ანგრევდა ადგილობრივი პირობების გაუმჯობესების ყველა მცდელობას: მოშლილიყო უყურადღებობა, არაკომპეტენტურობა, ადგილობრივი კორუფცია და ის ძველი სათემო ინსტიტუტები, რაც ადამიანებს საშუალებას მისცემდა, შეეცვალათ ცხოვრება. მდიდრები მდიდრდებიან, ღარიბები ღატაკდებიან, ადმინისტრაცია უმოქმედო და მფლანგველია - ყველა იმპერიასა თუ ნაციონალურ სახელმწიფოში არსებობს ანალოგიური ვითარება.

1872 წელს, კროპოტკინი პირველად ესტუმრა ევროპას და შვეიცარიამ მოხიბლა, მართალია ბურჟუაზიული, მაგრამ მაინც დემოკრატიული სიოთი. იურის მთებში ის სტუმრობდა მესაათეებს, დამოუკიდებელი ხელოსნების კავშირიდან. ბიოგრაფი მარტინ მილერი აღწერს კროპოტკინის შთაბეჭდილებას:

“მშრომელებთან შეხვედრების და საუბრის დროს კროპოტკინს თვალწინ გადაეშალა ხელისუფლების და ზემოდან მართვის გარეშე არსებული სპონტანური თავისუფლების ხედი. იურის მთების დამოუკიდებელი და თვითკმარი ოსტატების არსებობამ შთაბეჭდილება მოახდინა კროპოტკინზე, როგორც საზოგადოების ტრანსფორმაციის შესაძლო მაგალითმა; იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი თემი განვითარდებოდა დიდ მასშტაბებამდე, ის დარწმუნებული იყო, რომ თემი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდებოდა, რადგან არ იყო თავს მოხვეული სისტემის მიერ, როგორც მაგალითად, მურავიოვის[49] მცდელობები ციმბირში. პირიქით, მშომელთა ინტერესების შესაბამის, ბუნებრივ აქტივობას წარმოადგენდა.’’

იურის მთებში გატარებული დრო გარდამტეხი პერიოდი აღმოჩნდა კროპოტკინისთვის. მან მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება, გარკვეულწილად, მიუძღვნა მტკიცებულებების მოძიებას ანარქიზმის, ფედერალიზმის და რეგიონალიზმის დასაბუთებისათვის.

კროპოტკინის მიდგომა მხოლოდ ისტორიისთვის არ წარმოადგენს ინტერესის საგანს. იტალიელ ანარქისტს, კამილო ბერნერი[50] ნაშრომში - “რუსი ფედერალისტი პეტრე კროპოტკინი’’ (1922) ციტირებს ამონარიდს კროპოტკინის წერილიდან - “მიმართვა დასავლეთ ევროპის მშრომელებს’’, რომელიც მან ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელს, მარგარეტ ბონფილდს გადასცა 1920 წელს; კროპოტკინი წერს:

“იმპერიული რუსეთი მოკვდა და აღარასოდეს აღდგება. იმპერიის შემადგენელი სხვადასხვა რეგიონების მომავალია უზარმაზარი ფედერაციის ფორმირება. ფედერაციის სხვადასხვა ნაწილის ბუნებრივი

ტერიტორიები არ განსხვავდებიან იმისგან, რაც მათ შესახებ ვიცით რუსეთის ისტორიიდან, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური ცხოვრებიდან. ყველა დანარჩენი მცდელობა რუსეთის იმპერიის ერთიანი, ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ ისეთი შემადგენელი ნაწილების

გაერთიანებისა, როგორიცაა - ფინეთი, ბალტიის პროვინციები, ლიტვა, უკრაინა, საქართველო, სომხეთი, ციმბირი და ა.შ. - წარუმატებლობისთვის არის განწირული. რუსეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიის მომავალი მიმართულია დამოუკიდებელი წარმონაქმნების ფედერაციისკენ''.

დღეს უკვე თვალსაჩინოა 70 წლის მანძილზე იგნორირებული ამ აზრის აქტუალობა. დასავლეთ ევროპაში გადასახლებაში მყოფ კროპოტკინს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რეგიონალური პოლიტიკის თეორეტიკოს პიონერებთან. რეგიონალიზმსა და ანარქიზმს შორის კავშირი საინტერესოდ აქვს აღწერილი გეოგრაფ პიტერ ჰოლს, "ბერკლის ურბანული და რეგიონალური განვითარების ინსტიტუტის'' დირექტორს (კალიფორნია), ნაშრომში - "მომავლის ქალაქები'' (Cities of Tomorrow; 1988).

ანარქისტი და გეოგრაფი ელიზე რეკლიუ[51] ასაბუთებდა მცირე მასშტაბის თემის უპირატესობას, რადგან იგი რეგიონის ეკოლოგიაზე იყო დამყარებული. ფრანგული გეოგრაფიის კიდევ ერთი ფუძემდებელი პოლ ვიდალ დე ლა ბლაში[52] ამტკიცებდა, რომ "რეგიონი მეტია ვიდრე კვლევის ობიექტი; იგი საფუძველია სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ტოტალური რეკონსტრუქციისთვის''. როგორც პროფესორი ჰოლი განმარტავს, პოლ ვიდალისთვის არა ერი, არამედ რეგიონი "იყო მამოძრავებელი ძალა ადამიანის განვითარებისთვის; იგი ლამის მგრძნობიარე ურთიერთქმედებაა - ქალებს, მამაკაცებსა და მათ გარემომცველ გარემოს შორის; ყველასთვის ნათლად აღქმადი თავისუფლების და კულტურული ევოლუციის წყაროა, რომელსაც თავს დაესხა ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფო და ფართომასშტაბიანი ინდუსტრია.''

და ბოლოს, შესანიშნავი შოტლანდიელი ბიოლოგი პატრიკ გედესი ცდილობდა, თავი მოეყარა ყველა რეგიონალური იდეისთვის. იქნებოდა ეს გეოგრაფიული, სოციალური, ისტორიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური და ჩამოეყალიბებინა გამართულ იდეოლოგიად, რომელსაც შეგვიძლია გავეცნოთ მისი მიმდევარის, ლუის მამფორდის ნაშრომებით.

პროფესორი ჰოლი, მიუთითებს:

"მიწათმოწყობის შესახებ ადრეული წარმოდგენები, არა ყველა, მაგრამ უმეტესი მათგანი, მომდინარეობდა ანარქისტული მოძრაობიდან, რომელიც მომძლავრდა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 სა-

უკუნის პირველ ათწლეულში. მისი პიონერების ხედვა ეხებოდა არა მხოლოდ შენების ალტერნატიული გზის, არამედ ალტერნატიული საზოგადოების დანერგვას - არც კაპიტალისტურის, არც ბიუროკრატიულ-სოციალისტურის; ისეთი საზოგადოების, რომლის ბაზისი იქნებოდა მცირე თვითმმართველ თემში მცხოვრები და მომუშავე ადამიანების ნებაყოფლობითი თანამშრომლობა''.

მე-19 საუკუნის ეს ანარქისტი მოაზროვნეები თანამედროვეებზე ერთი საუკუნით წინ იყვნენ. დიდი ხნით ადრე აფრთხილებდნენ ევროპის მოსახლეობას რეგიონალური და ფედერალური მიდგომის უარყოფით გამოწვეული შედეგების შესახებ. მე-20 საუკუნეში მომხდარი ყველა საშინელი კატასტროფის შემდეგ, ევროპის ნაციონალური სახელმწიფოების მმართველები ქმნიდნენ სხვადასხვა სახის ზე-ნაციონალურ ორგანიზაციას. ამ დროს, მთავარი კითხვა, რომელიც მათ წინაშე იდგა, ევროპის წარმომადგენლობას შეეხებოდა - როგორი მოწყობის უნდა ყოფილიყო ის: სახელმწიფო თუ რეგიონალური?

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ევროპის მომხრეებმა შეიმუშავეს "მაქვემდებარებელი'' დოქტრინა, რომლის მიხედვითაც, ზენაციონალური დაწესებულების უფლებამოსილების გარეთ სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, უმეტესად ეკისრება ადგილობრივ, რეგიონალურ ორგანოს და არა - ცენტრალურ ხელისუფლებას. ევროპის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოუწოდებს ხელისუფლებებს, მიიღონ "ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' და დაცული იქნას შემდეგი პრინციპი - "სამთავრობო ფუნქცია განხორციელდეს მაქსიმალურად ქვედა საფეხურზე და შეთანხმების შემდეგ გადაეცეს უმაღლეს ხელისუფლებას''.

ეს წესი ერთგვარი დაფასებაა პრუდონის, ბაკუნინის და კროპოტკინისა, რომლებიც მარტოდმარტო იცავდნენ საკუთარ აზრს (გარდა რამდენიმე საინტერესო ესპანელი მოაზროვნისა, როგორებიც არიან პი ი მარგალი[53] ან ხოაკინ კოსტა[54]). რა თქმა უნდა, მათი მიდგომა ერთ-ერთი პირველი ასპექტია პანევროპული იდეოლოგიის, რომლის მიჩქმალვასაც ცდილობენ ნაციონალური მთავრობები. თუმცა, ამ მხრივ, სახელმწიფოებს შორისაც არსებობს აშკარა სხვაობა. ბევრ მათგანში, მაგალითად: გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთსა და საფრანგეთშიც კი, სამთავრობო აპარატის ქვედა დონეზე დღეს გაცილებით მეტი უფლებამოსილებაა გადანაწილებული, ვიდრე 50 წლის წინ იყო. იგივე შეიძლება ითქვას ყოფილ საბჭოთა კავშირზე.

ჰოლანდიელმა ანარქისტმა, ტომ ჰოლტერმანმა[55] შეიმუშავა კრიტერიუმი, ერთგვარი წინაპირობა, რომლითაც ანარქიზმი ხედავს თავისუფალ, გაერთიანებულ ევროპას. ჰოლტერმანს რეგიონალური ევრო-

პის მთავარ დაბრკოლებად ნაციონალური სახელმწიფოს არსებობა მიაჩნია. მისი მეორე გაფრთხილება შემდეგია: ვინაიდან მომავალი ევროპის შესახებ ფიქრი და დაგეგმვა სამთავრობო ბიუროკრატების ხელშია, შესაბამისად, ისინი ქმნიან ბიუროკრატიულ ევროპას.

კროპოტკინს ხშირად მოჰყავდა სამაშველო სამსახურის მაგალითი მოხალისეობრივი და არაიძულებითი ორგანიზაციის საილუსტრაციოდ. ანარქისტები ანალოგიურად ხედავენ მსოფლიო მასშტაბით განხორციელებულ სერვისს, ხელისუფლების ჩაურევლობის პრინციპით. კიდევ ორი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გაერთიანდნენ ლოკალური ჯგუფები და საზოგადობები რთული ფუნქციონალური ქსელის მუშაობისთვის ყოველგვარი ცენტრალური ხელისუფლების გარეშე, არის ფოსტა და რკინიგზა. თქვენ შეგიძლიათ გაგზავნოთ წერილი ჩილეში ან ჩინეთში და დარწმუნებული იყოთ, რომ იგი მიაღწევს ადრესატამდე, სხვადასხვა ნაციონალურ საფოსტო სამსახურებს შორის თავისუფალი გაცვლის შესახებ დადებული შეთანხების საუძველზე, რასაც არ სჭირდება რაიმე მსოფლიო საფოსტო ხელისუფლების არსებობა. ან შეგიძლიათ იმოგზაუროთ ევროპასა თუ აზიაში, სახელმწიფო ან კერძო სარკინიგზო ხაზების მეშვეობით, რომლებსაც არ

ხელმძღვანელობს არავითარი საერთო, მსოფლიო ცენტრალური სარკინიგზო ხელისუფლება; - კოორდინაციისთვის არ არის აუცილებელი არც ერთსახოვნება და არც ბიუროკრატია.

თავი 10
"მწვანე" მისწრაფებები და ანარქისტული მომავალი

კროპოტკინის 1899 წელს გამოცემული წიგნი - "მინდვრები, ფაბრიკები და სახელოსნოები", შთაგონების წყაროდ იქცა "მწვანეთა" მოძრაობის წინამორბედებისთვის. წიგნში ავტორი ყურადღებას ამახვილებს მცირე მასშტაბის დეცენტრალიზებული მრეწველობისა და "სამებაღეო" მეურნეობის პროდუქტიულობაზე. ნაშრომი ხელახლა გამოიცა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას. მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: "წიგნი მოგვიწოდებს ადამიანის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული ენერგიის ეკონომიისკენ, რადგან მოთხოვნები მუდმივად იზრდება, ენერგია კი ამოუწურავი არ არის".

აღნიშნულ ეპოქაში მზარდი მოთხოვნილებების ლიმიტის შესახებ საუბარი იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა. დღესდღეობით, უკვე გვაქვს მდიდარი ლიტერატურა, რესურსების ამოწურვის და გარემოს განადგურების სავალალო შედეგების შესახებ. პრობლემათა ნუსხაში პრიორიტეტის განსაზღვრა რთული ამოცანაა გარემოს დამცველი აქტივისტებისთვის, რომლებიც ცდილობენ მოქალაქეთა მხარდაჭერის მოპოვებას. ხშირად დაისმის კითხვა: უფრო მეტად, რომელ კამპანიას ესაჭიროება დახმარების ხელი?

კაპიტალიზმი მთელი დედამიწის მასშტაბით ეძებს დაუცველ შრომის ბაზრებსა და ბუნებრივ რესურსებს, რათა მუდმივად მზარდ ბაზარზე ადგილი დაუმკვიდროს საკუთარ საქონელს. აღნიშნულ პროცესს კაპიტალიზმი უწოდებს "სამომხმარებლო სუვერენიტეტს" და მისი საშუალებით თავიდან იცილებს ღარიბი ხალხის და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების დაუნდობელი ექსპლუატაციაზე პასუხისმგებლობას. რაც უფრო მდიდრები ვართ, მით უფრო აქტიურად ვცდილობთ თავი ავარიდოთ პასუხისმგებლობას.

მრავალი წელია, განვითარებულ ქვეყნებში არსებობს მთელი რიგი კამპანიები და მოძრაობები, რომელთა დახასიათება შეიძლება როგორც - "გარემოს დაცვითი", "მწვანეთა", ეკოლოგიური" და ა.შ. ისინი ცდილობენ მოსახლეობის ყურადღება შეაჩერონ გარემოს დაცვის, გლობალური დათბობის და რესურსების ამოწურვის პრობლემებზე. თუმცა, მოძრაობის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ისინი ხშირად მხედველობაში არ იღებენ მდიდარ ქვეყნებში მცხოვრები ღარიბი ადამიანების რთულ მდგომარეობას.

ამარტია სენი[56] ხაზს უსვამს იმ პარადოქსს, რომ "ღარიბ ქვეყნებში, მდიდრები მსუქნები არიან, ღარიბები კი გამხდრები. ხოლო, მდიდარ ქვეყნებში, მდიდრები - გამხდრები, ღარიბები კი - მსუქნები". სენი არის ცნობილი ნაშრომის ავტორი, სადაც იკვლევს იმას, თუ როგორ იკვებებიან ადამიანები, ვინ იკვებება სათანადოდ და ვინ შიმშილობს. სენმა შეიმუშავა "ხელმისაწვდომობის უფლების" თეორია (theory of "entitlements"), რომელიც განსაზღვრავს "ინდივიდის შესაძლებლობას იქონიოს საკვები პროდუქტების ალტერნატიული პაკეტები". მისი დაკვირვება შეგვახსენებს, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში რამდენიმე კვების კულტურა ერთდროულად არსებობს, რაც განპირობებულია ადამიანების ცხოვრების დონით და შემოსავლის რაოდენობით. მესამე სამყაროს განვითარებად ქვეყნებში ძლიერნი ამა ქვეყნისა, მდიდრები და სამხედრო ელიტა განცხრომით ცხოვრობენ მაშინ, როდესაც ღარიბები უკიდურესად ცუდად იკვებებიან ან შიმშილობენ. განვითარებულ ქვეყნებში ღარიბთა უმცირესობა ძირითადად "სწრაფი კვების" ობიექტების პროდუქციით იკვებება, რომლის არაფრად ჩაგდების და ამრეზით ყურების პრივილეგია მხოლოდ მდიდრებს აქვთ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, 1968 წლიდან 1998 წლამდე, სიღარიბეში გაზრდილ ბავშვთა რიცხვი გასამმაგდა.

დისკუსია გარემოს დაცვის შესახებ ყოველთვის უნდა დაიწყოს იმ ფაქტით, რომ მსოფლიოში, სადაც საკმარისი საკვები მოიპოვება, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ აქვს კარგად კვების საშუალება; შემდეგი საკითხი უნდა იყოს განვითარებულ ქვეყნებში, იაფი "ფასტ ფუდი", რომელიც, საბოლოო ჯამში, ძვირი გვიჯდება. კროპოტკინის არგუმენტები ეყრდნობოდა მოსაზრებას, რომ ისეთი მჭიდროდ დასახლებული, მცირე ფართობის მქონე ქვეყნის მოსახლეობის გამოკვება, როგორიცაა ბრიტანეთი, შესაძლებელი იყო მხოლოდ საკუთარი მიწების დამუშავებითაც. ბევრს ეს მოსაზრება აბსურდად მიაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ გამოცდილებას ეფუძნებოდა. ამგვარი აზრის გამოთქმიდან საუკუნის შემდეგ დიდი პატივი მხვდა წილად, შევხვედროდი ჯეკ სმიტს[57], "ქალაქის სასოფლო-სამეურნეო ქსელის" (Urban Agriculture Network) პრეზიდენტსა და გაეროს ანგარიშის

- “ურბანული სოფლის მეურნეობა: საკვები, სამუშაო და მდგრადი ქალაქები“, თანაავტორს. მან მიამბო, რომ ჩინეთის ქალაქებში, ბოსტნეულის 90% ადგილობრივად მოყავთ. ხოლო “ჰონკ-კონგში, მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში, მოსახლეობის მიერ მოხმარებული ფრინველის ხორცის ორი მესამედი, ღორის ხორცის ერთი მეექვსედი და ბოსტნეულის თითქმის ნახევარი ქალაქის საზღვრებს შიგნით იწარმოება’’.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქალაქები ყველაზე ცნობილი მაგალითია კვების პროდუქტების ინტენსიური წარმოების საილუსტრაციოდ. სინგაპური განთქმულია 1 500 ჰექტარზე გადაჭიმული “აგროსამრეწველო პარკებით’’. მსგავსი გამოცდილების პროპაგანდისტი ჯეფ ვილსონი აღნიშნავს: “რთულია იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ სოფლად წარმოებული მეურნეობა საჭიროებს საწვავი ენერგიის რვა ერთეულს, სუპერმარკეტში გაყიდული ერთი საკვები ენერგიის საწარმოებლად. ხოლო, ქალაქურ მეურნეობაში შესაძლებელია რვა საკვები ენერგიის წარმოება, გამოყენებული საწვავი ენერგიის ყველა ერთეულზე’’.

ტიმ ლენგი, სასურსათო პოლიტიკის პროფესორი, მრავალი წელია დაინტერესებულია ამ ტიპის პრობლემებით. ის შეგვახსენებს, რომ:

“სუპერმარკეტების სადისტრიბუციო სისტემა თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია იაფ ენერგიაზე. სინამდვილეში, არც თუ ისე კომფორტული ჰიპერმარკეტების გამო, ჩვენ სულ უფრო ხშირად გვიწევს შორ მანძილზე გადაადგილება. 1978-1991 წლებში, მაღაზიაში ვიზიტის საშუალო რაოდენობა 28 პროცენტით გაიზარდა. ამასთან ერთად, მყიდველი იძულებულია, სულ უფრო შორ მანძილზე იმგზავროს. იმავე 1978-1991 წლებში, ჰიპერმარკეტამდე მისასვლელი მანძილი გაიზარდა 60 პროცენტით. ამ პროცესების გამომწვევი საერთო ფაქტორია საცალო მოვაჭრეების მიერ ცენტრალიზებული სადისტრიბუციო სისტემის გამოყენება. ყოველ ფირმას თავისი რეგიონალური სადისტრიბუციო ცენტრები გააჩნია. მთელი საკვები ჯერ ამ ცენტრებში იგზავნება, შემდეგ კი ნაწილდება მაღაზიებში. შედაგად, საკვები უფრო მეტ მანძილს გადის....’’

როგორც ცნობილია, ეს არის “საკვების მრავალ კილომეტრზე მგზავრობის’’ პრობლემა. მანძილი კიდევ უფრო მეტად იზრდება ბაზარზე საკვები პროდუქციით მოვაჭრე გიგანტების გამოისობით. ისინი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებენ პროდუქტის რაც შეიძლება იაფ მომწოდებელს, რომელიც თავის მხრივ, ყურადღებას არ აქცევს, გამოიყენება თუ არა ლოკალური წყლის მარაგი მოსახლეობის ადგილობრივი, ტრადიციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აღმოსავლეთ ინგლისში, ჩემგან ყველაზე ახლოს მდებარე ქალაქში, შემიძლია

შევიძინო მექსიკური სტაფილო, ავსტრალიური ხახვი, აფრიკული ბარდა და პერუდან ჩამოტანილი სატაცური. ეს ფაქტი, გაცილებით მეტად უწყობს ხელს გლობალურ დათბობას, ვიდრე ელექტროენერგიის უყაირათო მოხმარება. პროფესორი ჯონ ჰოუფტონი, გარემოს დაბინძურების სამეფო კომისიის და გაეროს კლიმატის ცვლილების ჯგუფის თავმჯდომარე, აბსურდულად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სადილად გემრიელ ახალ კარტოფილს მიირთმევს, რომელიც 40 ტონიანი სატვირთო მანქანით მიიტანეს ადგილობრივ ჰიპერმარკეტში; ბრიტანეთში კი რეაქტიული თვითმფრინავით ჩამოიტანეს. არადა, როგორც პროფესორმა აღნიშნა, მას თავისუფლად შეეძლო თავად მოეყვანა კარტოფილი სახლის უკანა ეზოში.

მისი შენიშვნა ძალზედ მნიშვნელოვანია და თვალსაჩინოს ხდის ჩვენს "მწვანე" მისწაფებასა და რეალურ ქმედებას შორის არსებულ უფსკრულს. ამერიკელ ანარქისტს, მიურეი ბუკჩინს დიდი წვლილი მიუძღვის ამ განსხვავების კვლევაში. 1950-60-იან წლებში, ბუკჩინი, რეიჩელ კარსონის[58] მსგავსად, გარემოს დაცვის პროპაგანდას ეწეოდა, რის გამოც ახლად შექმნილი ამერიკული "მწვანეთა მოძრაობის" წინამორბედის სტატუსი ხვდა წილად. ბუკჩინმა შეძლო ეკოლოგიური საკითხების დაკავშირება ამერიკის ანარქისტულ ტრადიციასთან.

"ჩვენ ვცდილობთ, - გვიხსნის ბუკჩინი - აღვადგინოთ ამერიკული ოცნების გარკვეული ასპექტები. რა თქმა უნდა, ამერიკული ოცნების რამდენიმე ვარიანტი არსებობს. მაგალითად, ჯონ უეინის ტრადიცია - ველური დასავლეთის კოვბოური და პიონერული რომანტიკა. ან კიდევ, იმიგრანტების ამერიკული ოცნება, რომლებიც შეუზღუდავი შესაძლებლობების მქონე ქვეყანაზე ოცნებობენ, სადაც ქუჩები ოქროთია მოფენილი. მაგრამ არსებობს მესამე, მათგან ყველაზე ძველი, პურიტანების დროინდელი ამერიკული ოცნებაც, რომელიც აქცენტს აკეთებს თემზე, დეცენტრალიზაციაზე, დამოუკიდებლობაზე, ურთიერთდახმარებასა და პირდაპირ დემოკრატიაზე".

აქ, ბუკჩინი კიდევ ერთ ამერიკულ ოცნებას შეეწინააღმდეგა: როდესაც, ეკოლოგიური ცნობიერება მაღალი კლასის წარმომადგენლების შვილებს შორის გავრცელდა, მთელ ქვეყანას მოედო დანაშაულის გრძნობა მკვიდრი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი გენოციდის გამო. ამან გამოიწვია "კეთილშობილი ველურის" რომანტიზება და ზიზღი ჩვეულებრივ მოკვდავთა მიმართ, რომლებსაც არავითარი მისია არ ჰქონდათ დაკისრებული. ე.წ. "ღრმა ეკოლოგია" (Deep Ecology) პოპულარული გახდა შეძლებულ ადამიანებს შორის, რომლებსაც ჰქონდათ "ყველაფრის მიტოვების" და მისტიკური რწმენის კვალდაკვალ სიარულის ფუფუნება, სანამ მათ ხარჯებს საბანკო ანგარიშები ფარავდა. ბუკჩინის ბევრმა თანამოქალაქემ სოციალური საკითხებიდან

ყურადღება გადაიტანა "ველურ ბუნებასა" და მის სენტიმენტალურ, სნობურ იდეალიზაციაზე, რის შედეგადაც ლოგიკურად მივიდნენ მიზანთროპიამდე.

ამგვარი მიდგომების უარყოფით ბუკჩინი ცდილობდა, სოციალური პრობლემების მიმართ ინტერესის დაკარგვას გამკლავებოდა ისედაც სულ უფრო მეტად დაქსაქსულ ამერიკაში. "სოციალური ეკოლოგიის" თემატიკის კვლავ წამოწევით, იგი იმედოვნებდა, რომ "სერიოზული იერიშს მიიტანდა საზოგადოებაზე, მის უზარმაზარ იერარქიულ, სექსისტურ, კლასის მიერ მართულ სახელმწიფო აპარატსა და მილიტარისტულ ისტორიაზე".

ანარქისტების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ეკოლოგიურად სიცოცხლისუნარიანი საზოგადოება შეუთავსებელია კაპიტალიზმთან, რომელიც დამოკიდებულია ბაზრის მუდმივ ზრდაზე, რაც მიიღწევა მოთხოვნის შექმნით და სამომხმარებლო საქონლის წინასწარ დაგეგმილი მოძველებით. ამავე დროს, ყველა ვხვდებით, რომ ეკოლოგიურად სუფთა ცხოვრების წესის მიზნად დასახვისთვის, ვერ დაველოდებით კაპიტალისტური სისტემის ნგრევას. მწვანეთა მოძრაობა უკვე საკმაოდ დიდი ხანია არსებობს და მის მიმდევრებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, თუ როგორი სამოქმედო სტრატეგია იქნება ხელსაყრელი.

1970-იან წლებში გამიმართლა და მონაწილეობა მივიღე პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის განკუთვნილი ახალი ჟურნალის მომზადებაში, სახელწოდებით - "ეკოლოგიური განათლების ბიულეტენი" (Bulletin of Environmental Education – BEE). 1975 წელს, პიტერ ჰარპერი, ჟურნალის ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული ხელმძღვანელი, გაემგზავრა უელსში, სადაც შეუერთდა ენთუზიასტების ჯგუფს. ქალაქ მაქინლეტში, მოსაწყენი ინდუსტრიული პეიზაჟით გარშემორტყმულ ძველ კარიერში, მათ დააარსეს "ალტერნატიული ტექნოლოგიის ცენტრი" (Centre for Alternative Technology – CAT). უკვე საუკუნის მიწურულს, აღნიშნულ საწარმოს (რომელიც 28 წევრისგან შემდგარი კოოპერატივია), ყოველწლიურად სტუმრობდა 80 000-მდე ადამიანი, მათ შორის - 20 000 ბავშვი. "ალტერნატიული ტექნოლოგიის ცენტრი" მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც საგამოფენო სივრცე - ელექტროენერგიის გამოსამუშავებელი, სამშენებლო ტექნოლოგიების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციისთვის განკუთვნილი, ეკოლოგიურად უსაფრთხო დანადგარებისა და მეთოდების სადემონსტრაციოდ. ჩემი ინფორმაციით, კოოპერატივი საკუთარი ენერგორესურსების 90%-ის თავისით აწარმოებს, ენერგიის განახლებადი წყაროების - მზის, ქარის, წყლის მეშვეობით.

ჰარპერს დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს ამ სფეროში. მის

დასკვნებს სრულიად ვენდობი. 1998 წელს, ინტერვიუში ის ამბობს:

"მანიაკალური სწრაფვა ავტონომიურობისკენ და პრინციპი - "რაც ნაკლებია, მით უკეთესი", უკვე აღარ არის აქტუალური. ნუ ეცდებით, ყველაფერი თვითონ გააკეთოთ. დაიწყეთ იმით, რაშიც ძლიერი ხართ და არა - სუსტი... ნუ ეცდებით, "შექმნათ" საკუთარი ენერგია. ეცადეთ, დაზოგოთ არსებული. სამუშაოს დიდი ნაწილი ქალაქებში იქნება გასატარებელი, რადგან ჩვენი იდილიური წარმოდგენების საწინააღმდეგოდ, ეკოლოგიურად სიცოცხლისუნარიანი თანამედროვე ცხოვრების წესი იქ უფრო ადვილი მისაღწევია".

ეკოლოგიური ცნობიერების მუდმივმა შესწავლამ ჰარპერს საშუალება მისცა, შეემუშავებინა მწვანეთა მოძრაობის წევრების განსხვავებული კლასიფიკაცია, ვიდრე ეს არის დაყოფა - "ღრმა" (Deep) და "სოციალურ" (Social) ეკოლოგებად. პიტერ ჰარპერი განასხვავებს - "ღია მწვანეებს" (რომლებსაც, უფრო მეტი ფული აქვთ, ვიდრე თავისუფალი დრო) და "მუქ მწვანეებს" (რომლებსაც, მეტი თავისუფალი დრო გააჩნიათ, ვიდრე ფული). მისი სიტყვებით, "ღია მწვანეები" დაინტერესებული არიან მზის ენერგიაზე მომუშავე გათბობის ახალი ტექნოლოგიებით; ეკონომიური, მსუბუქი ავტომობილებით; პროდუქტების და საქონლის რაციონალური მოხმარებით. მაშინ, როდესაც "მუქი მწვანეები" იმედს ამყარებენ პატარა, იზოლირებულ სახლებზე; ველოსიპედებზე; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; საკუთარ ნაკვეთზე მოყვანილ პროდუქტებზე; ნივთების შეკეთებაზე; ნარჩენების გადამუშავებაზე; ადგილობრივ სავალუტო სქემებსა და საქონელგაცვლაზე.

ამასობაში, საზოგადოების დანარჩენ ნაწილში გაბატონებულია "უფრო მეტის!" კულტურა. ამასთან დაკავშირებით, ჰარპერი აღნიშნავს:

"ადამიანები ესწრაფვიან მეტ კომფორტს, უფრო მეტ პირად სივრცეს, მარტივ მობილობას, მუდმივად მზარდი შესაძლებლობების შეგრძნებას. ეს თანამედროვე სამომხმარებლო პროექტია და თანამედროვე საზოგადოების არსია. პოლიტიკური და ეკონომიკური მეინსტრიმისთვის დამახასიათებელი შტრიხია, რომ კონსუმერიზმი არასოდეს დადგეს ეჭვის ქვეშ. პირიქით, ოფიციალური გზავნილი თავისთავად გულისხმობს შემდეგს: "დაგველოდეთ და ჩვენ მოგაწვდით!" მთავარი ლოზუნგი კი, ძალზე მარტივია: "უფრო მეტი!"

ზოგ ჩვენგანს, როგორც პიტერ ჰარპერმა აღნიშნა 2001 წელს, შუმახერის ლექციაზე ბრისტოლში, აპოკალიფსური წარმოდგენა აქვს გაურკვეველი ეკონომიკური საქმიანობით გამოწვეულ, მომავლის უმართავ კატასტროფებზე. თუმცა ჰარპერი ოპტიმისტია და სულ სხვა მოლოდინი გააჩნია. ის ასევე ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებას ეკოლოგიურ აქტივიზმში. მისი აზრით, როდესაც თითოეული ჩვენგანის

ცხოვრება თანდათან დაიწყებს გაუარესებას, “მუქი მწვანეები”(ადამიანები, რომლებსაც ჰარპერი ეკოლოგიური მოძრაობის რეცესიულ გენებს უწოდებს), ამოხსნიან უდიდეს ამოცანას და შეძლებენ შეარიგონ თანამედროვეობა, სოცოცხლისუნარიანობასთან:

“მათთვის კარგი დრო დადგება: კომფორტული, მრავალფეროვანი ცხოვრებით, ნაკლები სტრესით. ჯანმრთელნი და კარგ ფიზიკურ ფორმაში მყოფნი, ხელახლა აღმოაჩენენ თავშეკავების და წონასწორობის დაცვის ელემენტარულ ღირსებებს”.

პიტერ ჰარპერი ოცდახუთი წლის განმავლობაში სთავაზობდა იმ თანამოქალაქეებს ეკოლოგიურად უსაფრთხო ალტერნატივებს, რომლებიც სხვადასხვა მიზნით სტუმრობდნენ “ალტერნატიული ტექნოლოგიის ცენტრს”. მიღებული გამოცდილების წყალობით, ჰარპერი მივიდა მოსაზრებამდე, რომ ადამიანების დარწმუნება ცხოვრების წესის შეცვლის აუცილებლობაში უმჯობესია, მოხდეს მსუქუბი მიდგომების საშუალებით. ალბათ, მიურეი ბუკჩინს ახლა განსხვავებული რეაქცია ექნებოდა, მაგრამ დიდი ხნის წინ, ტექნოლოგიების შესახებ გამართული დისკუსიის დროს (ტექნოლოგიისა, რომელიც გვათავისუფლებს და არ გვიმონებს), მან დასვა კითხვა: განა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ეკოლოგიური და სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკა, რომელიც დაეყრდნობა ცენტრალიზებულ, ნაციონალურ სახელმწიფოს და მის ბიუროკრატიულ აპარატს? ბუკჩინი ამტკიცებდა, რომ პლანეტის და მასზე მცხოვრები ორგანიზმების გადარჩენისთვის, ანარქისტული კონცეფციები არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიც არის:

“დღეს რეალობად იქცა ის, რასაც ადრე შეუძლებლად და ილუზორულად მიიჩნევდნენ... თუ, პირდაპირი დემოკრატიის, ჰუმანისტური, განმათავისუფლებელი ტექნოლოგიების და დეცენტრალიზაციის ერთიანობა დღეს არსებულ ვითარებაზე საპასუხო რეაქციად აღიქმება, ანუ გადამწყვეტ “არა”-დ, იმ “დიახ”-ზე, რაც დღეს გაგვაჩნია, მაშინ შეგვიძლია მყარი და ობიექტური არგუმენტის წამოყენება, ანარქისტული საზოგადოების პრაქტიკულობის სასარგებლოდ”.

ეკოლოგიური პრობლემებისა და გარემოს დაცვის საკითხების შესახებ ინფომირებულობის კამპანიები საკმაოდ დიდი ხანია მიმდინარეობს. ამგვარად, შეგიძლია შევისწავლოთ მოსახლეობის ძირითადი ნაწილისგან მიღებული მხარდაჭერის აღმასვლა და დაქვეითებაც. მოსახლეობის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია ცვლილებების მსურველი რეფორმატორებისთვის. კრიზისული ცნობიერების მოთხოვნაზეც ისეთივე მოდა არსებობს, როგორც სოციალური ცხოვრების სხვა ასპექტებზე. ანარქისტებისთვის დამამშვიდებელია იმაზე ფიქრი, რომ საზოგადოება საკმარისად არის განვითარებული, რათა გაიაზროს და მიიღოს 21-ე საუკუნის ეკოლოგიური იმპერატივები. არსე-

ბულ პრობლემებთან გასამკლავებლად, საზოგადოება იძულებული გახდება, ხელახლა აღმოაჩინოს ანარქიზმი.

მიურეი ბუკჩინისა და ალან კარტერის[59] მსგავსმა ავტორებმა გვიჩვენეს, რომ ანარქიზმი არის ერთადერთი პოლიტიკური იდეოლოგია, რომელსაც შეუძლია სხვა, საყოველთაოდ მიღებული პოლიტიკური იდეების რიგში ჩააყენოს "მწვანე" ცნობიერების მიერ დასმული პრობლემები. ანარქიზმი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ახალ საუკუნეში.



სათემო-საზოგადოებრივი ბაღი, კლიფორდ ჰარპერის წარმოდგენით

გამოყენებული ლიტერატურა

თავი 1

Peter Marshall (ed.), The Anarchist Writings of William Godwin (London: Freedom Press, 1986)

Stewart Edwards (ed.), Selected Writings of Pierre-Joseph Proudhon (London: Macmillan, 1969)

K. J. Kenafick (ed.), Marxism, Freedom and the State (London: Freedom Press, 1984)

Paul Avrich (ed.), The Conquest of Bread (London: Allen Lane, 1972 [1892])

Colin Ward (ed.), Fields, Factories and Workshops (London: Allen and Unwin, 1974; London: Freedom Press, 1985 [1899])

John Hewetson (ed.), Mutual Aid: A Factor of Evolution (London: Freedom Press, 1987 [1902])

The passage quoted from Landauer is from Martin Buber, Paths in Utopia (London: Routledge and Kegan Paul, 1949).

F. G. Notehelfer, Kotuku Shusui: Portrait of a Japanese Radical (Cambridge: Cambridge University Press, 1971)

Robert A. Scalapino and George T. Yu, The Chinese Anarchist Movement (Bristol: Drowned Rat Publications, 1985)

Hai Ki-Rak, History of the Korean Anarchist Movement (Tuega, Korea: Anarchist Publishing Committee, 1986)

Adi Doctor, Anarchist Thought in India (Bombay: Asia Publishing House, 1964)

Geoffrey Ostergaard and M. Currell, The Gentle Anarchists (Oxford: Clarendon Press, 1971)

Sam Mbah and I. E. Igarewey, African Anarchism: The History of a Movement (Tucson, Arizona: See Sharp Press, 1997)

Charles Townshend, Terrorism: A Very Short Introduction (Oxford: Oxford University Press, 2002)

Kropotkin's article on anarchism for the 11th edition of the Encyclopaedia Britannica is reprinted in Peter Kropotkin, Anarchism and Anarchist Communism (London: Freedom Press, 1987)

თავი 2

Thomas Paine, Common Sense (Harmondsworth: Penguin, 1971 [1776])

J. Varlet, quoted in George Woodcock, Anarchism (Harmondsworth: Penguin, 1963)

Paris Commune, cited in Woodcock op. cit. John Womack, Zapata and the Mexican Revolution (London: Thames and Hudson, 1972)

John Ross, The War Against Oblivion: The Zapatista Chronicles (Monroe, Maine: Common Courage Press, 2000)

Sue Branford and Jan Rocha, Cutting the Wire: The Story of the Landless Movement in Brazil (London: Latin American Bureau, 2002)

Paul Avrich, The Russian Anarchists (New Jersey: Princeton University Press, 1967)

Carl Levy, 'Italian anarchism 1870 — 1926', in For Anarchism: History, Theory and Practice, ed. David Goodway (London: Routledge, 1989)

Gerald Brenan, The Spanish Labyrinth (Cambridge: Cambridge University Press, 1943)

Pierre Broué and Emile Témine, The Revolution and the Civil War in Spain (London: Faber, 1970)

Burnett Bolloten, The Spanish Revolution (Chapel Hill: University of North Carolina Press, 1979)

Noam Chomsky, American Power and the New Mandarins (New York: Random House, 1967)

S. Faure, cited in Vernon Richards, Lessons of the Spanish Revolution

(London: Freedom Press, 1953; 3rd edn. 1983)

თავი 3

M. Buber, 'Society and the State', in World Review, July 1951, reprinted in M. Buber, Pointing the Way (London: Routledge and Kegan Paul, 1957)

Colin Ward, Social Policy: An Anarchist Response (London: London School of Economics, 1996; Freedom Press, 2000)

James Burnham, The Managerial Revolution (Harmondsworth: Penguin, 1944)

Richard Koch and Ian Godden, Managing Without Management (London: Nicholas Brealey, 1996)

Pierre Guillet de Monthoux, Action and Existence: Anarchism for Business Administration (Chichester: John Wiley, 1983)

Herzen, From the Other Shore (London: Weidenfeld and Nicholson, 1956; Oxford: Oxford University Press, 1979)

თავი 4

Avi Schlaim, in The Guardian, 29 March 2003

M. Buber, Israel and Palestine (London: East and West Library, 1952)

M. Bakunin, God and the State, in Bakunin on Anarchy, ed. Sam Dogloff (London: Allen and Unwin, 1973)

N. Walter, cited in Colin Ward, 'Fundamentalism', in The Raven, 27, Vol. 7, No. 3 (London: Freedom Press, 1994)

Malise Ruthven 'Phantoms of ideology' in Times Literary Supplement, 19 August 1994

R. Rocker, cited in W. J. Fishman, East End Jewish Radicals 1875 — 1914 (London: Duckworth, 1975)

E. W. Said, Culture and Imperialism (London: Chatto and Windus, 1993)

Fatima Mernissi, Women and Islam: An Historical and Theological Enquiry (Oxford: Basil Blackwell, 1991)

თავი 5

Peter Kropotkin, In Russian and French Prisons (New York: Schocken Books, 1971 [1887])

Alexander Berkman, Prison Memoirs of an Anarchist (New York: Schocken Books, 1970 [1912])

David Cayley, The Expanding Prison: The Crisis in Crime and Punishment and the Search for Alternatives (Toronto: Anansi, 1998)

David Downes, 'The Macho Penal Economy: Mass Incarceration in the United States. A European Perspective', Lecture at New York University, February 2000.

Errico Malatesta, in Umanità Nova, 2 September 1920, reprinted in V. Richards (ed.), Errico Malatesta: His Life and Ideas (London: Freedom Press, 1965)

David Waddington, on BBC Radio 4, 19 February 2003

Geoffrey Ostergaard, The Tradition of Workers' Control, ed. Brian Bamford (London: Freedom Press, 1997)

Paul Thompson, Why William Morris Matters Today: Human Creativity and the Future World Environment (London: William Morris Society, 1991)

თავი 6

William Godwin, An Enquiry Concerning Political Justice (Harmondsworth: Penguin, 1976 [1793]); Uncollected Writings (1785 — 1822), eds J. W. Marken and B. R. Pollin (Gainsville, Florida: Scholars' Facsimiles, 1968)

Paul Goodman, Compulsory Miseducation, 2nd edn. (Harmondsworth: Penguin, 1971)

National Union of Teachers, The Struggle for Education (London: NUT,1970)

Stephen Humphries, Hooligans or Rebels? An Oral History of Working-Class Childhood and Youth 1889 — 1939 (Oxford: Basil Blackwell, 1981)

Philip Gardner, The Lost Elementary Schools of Victorian England (London: Croom Helm, 1984)

Paul Thompson, 'Basic Skills', in New Society, 6 December 1984

Francesco Ferrer, see Paul Avrich, The Modern School Movement:Anarchism

and Education in the United States (New Jersey: Princeton University Press, 1980)

Michael Bakunin, God and the State (London: Freedom Press, 1910;New York: Dover, 1970)

Harry Rée, reported in The Teacher, 8 April 1972

H. M. Chief Inspector of Schools, interviewed in The Times, 1 February 1995

Michael Smith, The Libertarians and Education (London: Allen and Unwin, 1983)

John Shotton, No Master High or Low: Libertarian Education and Schooling 1890 — 1990 (Bristol: Libertarian Education, 1993)

Jonathan Croall, Neill of Summerhill: The Permanent Rebel (London: Routledge and Kegan Paul, 1983)

Jonathan Croall (ed.), All the Best, Neill: Letters from Summerhill (London: Andre Deutsch, 1974)

თავი 7

Max Stirner, The Ego and His Own, tr. Steven Byington (New York: Libertarian Book Club, 1963 [1907])

James J. Martin, Men Against the State (Colorado Springs: Ralph Myles, 1970)

David DeLeon, The American as Anarchist: Reflections on Indigenous Radicalism (Baltimore: Johns Hopkins University Press, 1978)

Henry David Thoreau, in Carl Bode (ed.), The Portable Thoreau (Harmondsworth: Penguin, 1979)

Randolph Bourne, War and the Intellectuals: Collected Essays 1915 — 1919 (New York: The Resistance Press, 1964)

Ammon Hennacy, The Autobiography of a Catholic Anarchist (New York: Catholic Worker Books, 1954) Dorothy Day, The Long Loneliness (New York: Harper and Row, 1952)

Robert Paul Wolff, In Defence of Anarchism (New York: Harper Colophon, 1976)

Robert Nozick, Anarchy, State and Utopia (Oxford: Blackwell, 1974)

David Friedman, The Machinery of Freedom (New York: Harper, 1975)

Murray Rothbard, For a New Liberty: The Libertarian Manifesto (New York: Collier, 1978)

F. von Hayek, The Road to Serfdom (London: Routledge, 1944)

Paul Goodman, 'Politics within Limits', reprinted in Taylor Stoehr (ed.), Crazy Hope and Finite Experience: Final Essays of Paul Goodman (San Francisco: Jossey-Bass, 1994)

თავი 8

Dwight Macdonald, 'Politics Past', in Encounter, April 1957

Emma Goldman, 'The Tragedy of Women's Emancipation', in Anarchism and Other Essays (New York: Dover, 1969 [1911])

Alex Comfort, More Joy: A Lovemaking Companion to The Joy of Sex (London: Quartet, 1973)

Charles Duff, A Handbook on Hanging (London: Freedom Press, 1965)

Rudolf de Jong, Provos and Kabouters (Buffalo, NY: Friends of Malatesta, no date)

Raoul Vaneigem, The Revolution of Everyday Life, rev. edn. (London: Rebel Press, 1983)

George Monbiot, Captive State (London: Macmillan, 2000)

Sean M. Sheehan, Anarchism (London: Reaktion Books, 2003)

თავი 9

Pierre-Joseph Proudhon, The Principle of Federation, tr. Richard Vernon (Toronto: University of Toronto Press, 1979)

Edward Hyams, Pierre-Joseph Proudhon (London: John Murray, 1979)

Willem de Haan, The Politics of Redress (London: Unwin Hyman, 1990)

Arthur Lehning (ed.), Bakunin: Selected Writings (London: Jonathan Cape, 1973)

Martin Miller, Kropotkin (Chicago: University of Chicago Press, 1976)

Camillo Berneri, Peter Kropotkin: His Federalist Ideas (London: Freedom

Press, 1942 [1922])

Peter Hall, Cities of Tomorrow (Oxford: Basil Blackwell, 1988)

Council of Europe, 'The Impact of the Completion of the Internal Market on Local and Regional Autonomy' (Council of Europe Studies and Texts, Series No.12, 1990)

Thom Holterman, 'A Free United Europe', in The Raven, 31, Vol. 8, No. 3 (London: Freedom Press, 1995)

თავი 10

Amartya Sen, Poverty and Famine (Oxford: Oxford University Press, 1981)

Jac Smit et al., Urban Agriculture: Food, Jobs and Sustainable Cities (New York: United Nations Development Programme, 1996)

Tim Lang, in Ken Worpole (ed.), Richer Futures: Fashioning a New Politics (London: Earthscan, 1999)

John Houghton, cited in The Raven, 43, Vol. 11, No. 3 (London: Freedom Press, 2001)

Murray Bookchin, Post-Scarcity Anarchism (London:Wildwood House 1974)

Peter Harper, interviewed in W. & D. Schwartz Living Lightly: Travels in Post-Consumer Society (Oxford: Jon Carpenter 1998), and 'Natural Technology', lecture to the Schumacher Society, Bristol 2001

Alan Carter, A Radical Green Political Theory (London: Routledge, 1999)

რეკომენდებული ლიტერატურა

ერთ-ერთმა ისტორიკოსმა, ანარქიზმი შეადარა "საშრობ ქაღალდს, რომელიც ყველაფერს ისრუტავს". სხვა პოლიტიკური იდეოლოგიების მსგავსად, ანარქიზმშიც აქცენტები სხვადასხვა თემატიკაზე დაისმის ხოლმე და შესაბამისად იცვლება მისი კონტურებიც. წინასიტყვაობაში დასახელებული ფუნდამენტური ლიტერატურის გარდა, დამატებით აუცილებლად უნდა მოვიხსენიო ქვემოთ ჩამოთვლილი ნაშრომები. შემოთავაზებულ ალტერნატიულ წყაროებში, სხვადასხვა კუთხიდან არის განხილული წიგნში დასმული საკითხები:

Max Blechman (ed.), Drunken Boat: Art, Rebellion, Anarchy (Brooklyn, NY: Automedia; and Seattle, WA: Left Bank Books, 1984)

Murray Bookchin, Post-Scarcity Anarchism (London: Wildwood House, 1974)

Alan Carter, A Radical Green Political Theory (London: Routledge, 1999)

Howard J. Ehrlich (ed.), Reinventing Anarchy, Again (Edinburgh and San Francisco: AK Press, 1996)

Clifford Harper, Anarchy: A Graphic Guide (London: Camden Press, 1987)

George McKay (ed.), DIY Culture: Party and Protest in Nineties Britain (London: Verso, 1998)

Jon Purkis and James Bowen (eds), Twenty-First Century Anarchism: Unorthodox Ideas for a New Millennium (London: Cassell, 1997)

Sean M. Sheehan, Anarchism (London: Reaktion Books, 2003)

მთარგმნელის შენიშვნები

1. 1381 წლის აჯანყების ინიციატორები იყვნენ: ხელოსანი უოტ ტაილერი, მღვდელი ჯონ ბოლო და ჯეკ სტროუ. მოითხოვდნენ ჩაგვრის გაუქმებას და გადასახადების შემცირებას.

2. როგორც ჩანს, კოლინ ვარდი გულისხმობს ჰუსიტების აჯანყებას ჩეხეთში, იან ჰუსის მეთაურობით (მაგრამ ჰუსი 1915 წელს დაწვეს კოცონზე). აჯანყებულების ბანაკი მდებარეობდა თაბორის მთაზე, ბოჰემიაში. მოითხოვდნენ სოციალურ სამართლიანობას, გამოდიოდნენ ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ.

3. ანაბაპტისტები ანუ ხელახლა მონათლულები - რელიგიურ-სექტანტური მიმდინარეობაა, მე-16 საუკუნეში. მოითხოვდენენ ადამიანის მონათვლას მოწიფულ ასაკში, რათა იგი გაცნობიერებული არჩევანი ყოფილიყო. უარყოფდნენ საეკლესიო იერარქიას. ანაბაპტისტების რადიკალური ფრთა საერთო საკუთრების, კომუნების მომხრე იყო.

4. ინგლისში, 1642-1651 წლებში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. დაძაბული ურთიერთობა იყო, მეფე ჩარლზ I-სა და პარლამენს შორის. 1949 წელს, მეფე სიკვდილით დასაჯეს. რამდენიმე წლით დამყარდა რესპუბლიკა. ქვეყანას მართავდა ოლივერ კრომველი.

5. დიგერები (მთხრელები) - ერთიანდებოდნენ კომუნებში. მათი აზრით, ბიბლია არ ამართლებდა კერძო საკუთრებას, ამიტომ თვლიდნენ, რომ მიწა თვითონ უნდა გაენაწილებინათ. ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო ჯერარდ უინსტენლი. გამოხატავდნენ ღარიბების, უმიწო გლეხების ინტერესებს. იყვნენ სოციალური რევოლუციის ერთგვარი წინამორბედები.

   რანტერები (ყბედები) - უარყოფდნენ ცოდვის ცნებას. მათი

აზრით, ცოდვა მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფი იყო. რანტერების პანთეისტური, პროტესტანტული სექტის ნაწილი, კვაკერებს შეუერთდა.

ლეველერები (გამთანაბრებლები) - წვრილ ბურჟუაზიული პარტია. მათი მიზანი იყო ყველა ადამიანისთვის თანაბარი პოლიტიკური უფლების მინიჭება, ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების გზით. ლეველერების ლიდერი იყო ჯონ ლილბერნი.

6. შესაძლოა იგულისხმებოდა შვეიცარიის კონფედერაციული მოწყობის და კანტონებს შორის შეთანხმების ტრადიცია.

7. "ცოფიანები" - საფრანგეთის რევოლუციის ყველაზე რადიკალური ფრაქცია, რომელიც ღარიბი მოსახლეობის, სანკიულოტების ინტერესებს გამოხატავდა. მოითხოვდნენ სპეკულანტების და კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ ტერორს; მონოპოლიის შესამცირებლად, პროდუქტებზე ფასების მაქსიმუმის დაწესებას, რაც განახორციელეს კიდეც იაკობინელებმა; სამოქალაქო, სოციალურ, პოლიტიკურ თანასწორობას; მდიდრების დაბეგვრას. რადიკალური მოთხოვნების გამო, განხეთქილება მოხდა მათსა და იაკობინელებს შორის, რაც "ცოფიანების" დამარცხებით დასრულდა.

8. მუშათა და წვრილი ბურჟუაზიის აჯანყების მიზანი იყო მონარქიის გაუქმება და რესპუბლიკის დამყარება. დიდი გავლენა იქონია, საფრანგეთის 1848 წლის თებერვლის რევოლუციამ. რევოლუციური მღელვარება გრძელდებოდა 1848-1849 წლებში. მოითხოვდნენ სიტყვის თავისუფლებას, საერთო გერმანული პარლამენტის მოწვევას.

9. ლუიზ მიშელი (1830 – 1905), ანარქისტი, რევოლუციონერი, მასწავლებელი, მწერალი, პოეტი. კროპოტკინის და ბაკუნინის მომხრე. ეწეოდა ანარქიზმის პროპაგანდას. იყო პარიზის კომუნის აქტიური წევრი. მრავალჯერ იქნა დაპატიმრებული და გადასახლებული. მიმოწერა ჰქონდა ვიქტორ ჰიუგოსთან.

10. ფრედერიკა მონტსენი (1905 – 1994), ესპანელი ანარქო-ფემინისტი, ესპანეთის ჯანდაცვის და სოციალური სამსახურის მინისტრი 1936-1937 წლებში. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გახდა საბავშვო მწერალი.

გარსია ოლივერი (1901 – 1980), ანარქო -სინდიკალისტი, 1936-1939 წლებში, კატალონიის ანტიფაშისტური მილიციის ხელმძღვანელი, ესპანეთის იუსტიციის მინისტრი.

11. ჯერალდ ბრენანი (1894 – 1987), ბრიტანელი ისტორიკოსი, ისპანისტი.

12. ანარქისტული პერიოდული გამოცემა იდიშზე, 1890-დან 1977 წლამდე. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ ემა გოლდმანი, რუდოლფ როკერი და სხვები. 1934-1940 წლებში, რედაქტორი იყო მარკ მრაჩნი (მარკ კლივანსკი), დევნილი უკრაინელი ანარქისტი, გაზეთ "ნაბათის'' ყოფილი რედაქტორი. ერიხ ფრომის მეგობარი.

13. სებასტიენ ფორი (1858 – 1942), ფრანგი ანარქისტი, პედაგოგი, სინტეზური ანარქიის იდეის ერთ-ერთი ავტორი, რაც გულისხმობს კაპიტალიზმთან მებრძოლი, სხვადასხვა ანარქისტული მიმართულების გაერთიანებას, როგორებიცაა: ანარქო-კომუნიზმი; ანარქო-სინდიკალიზმი; ანარქო-კოლექტივიზმი; მუტუალიზმი; ანარქო-ინდივიდუალიზმი. დღეს, ამგვარ პლატფორმაზე დგას "ანარქისტული ფედერაციების ინტერნაციონალი" – IFA. სებასტიენ ფორის ინიციატივით დაიწყო მუშაობა "ანარქისტული ენციკლოპედიის'' გამოცემაზე. თავდაპირველი ჩანაფიქრით, ენციკლოპედია ხუთი ნაწილისგან უნდა შემდგარიყო. სამწუხაროდ, მხოლოდ პირველი ნაწილის ოთხტომეულის გამოცემა მოხერხდა. (ხელახლა დაიბეჭდა საფრანგეთში, 2012 წელს).

14. საბჭოთა კავშირის რღვევას, სრულიად უსისხლოდ არ ჩაუვლია. ეთნიკურმა კონფლიქტებმა ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე და დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მიტინგების დარბევამ, მათ შორის საქართველოშიც, ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

15. ისაია ბერლინი (1909 – 1997), ბრიტანელი (წარმოშობით რუსი) პოლიტიკური ფილოსოფოსი; იდეათა ისტორიკოსი (იდეათა ისტორია - ფილოსოფიის, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის დარგში არსებული იდეების ინტელექტუალური ისტორია); ბრიტანეთის აკადემიის წევრი 1974-1978 წლებში.

16. ჯორჯ დუგლას კოული (1889 – 1959), ბრიტანელი ისტორიკოსი, მწერალი, ფაბიანური საზოგადოების წევრი.

17. პიტერ ჰენესი (1947), ინგლისელი ისტორიკოსი.

18. მოლოჰი - იგივე ბაალი, კართაგენელი უზენაესი ღვთაება, რომელსაც მსხვეპლად სწირავდნენ ბავშვებს.

19. კარიატიდი - შენობის საყდენი კოლონა, ქალის გამოსახულებით.

20. ავი შლაიმი (1945), ბრიტანელი პროფესორი, საერთაშორისო

ურთიერთობების სპეციალისტი. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მკვლევარი. წარმოშობით ებრაელი შლაიმი, მეცნიერთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც კრიტიკულად აანალიზებენ სიონიზმის ისტორიას.

21. აშშ-ში, აბორტის მოწინააღმდეგე ფანატიკოსების მიერ, არაერთი გინეკოლოგია მოკლული. 1993 წელს - დევიდ განი; 1994 წელს, პრესვიტერიანული ეკლესიის მღვდელმა მოკლა ექიმი ჯონ ბაიადრი და მისი თანაშემწე; 1998 წელს, სიცოცხლეს გამოასალმეს, ბარნეტ სლეპიანი და ბომბი შეაგდეს ალაბამას კლინიკაში. ყველაზე გახმაურებულია, ექიმ ჯორჯ ტაილერის საქმე, რომელსაც ბევრჯერ დაესხნენ თავს და ბოლოს მოკლეს 2009 წელს. ტაილერი იყო, გვიანი აბორტის სპეციალისტი. მას იმ შემთხვევაში მიმართავდნენ ქალები, როდესაც მათ ჯანმრთელობასაც და ნაყოფსაც ემუქრებოდა გამოუსწორებელი და სერიოზული გართულებები.

22. ბრიკ ლეინზე მდებარე მეჩეთი, ბანგლადეშელი მუსლიმების სამლოცველოა.

23. ედვარდ საიდი (1935-2003), არაბული წარმოშობის ამერიკელი კულტუროლოგი, კრიტიკოსი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი. პალესტინელთა მოძრაობის აქტივისტი.

24. დევიდ კეილი (1946), კანადელი მწერალი და რადიო წამყვანი. ათეული წლების განმავლობაში ამზადებს დოკუმენტურ გადაცემებს, სამეცნიერო-პოპულარულ თემაზე. მისი გადაცემები განთავსებულია საიტზე: www. davidcayley.com

25. დევიდ დოუნსი (1966), ბრიტანელი სოციოლოგი, კრიმინოლოგი. ლონდონის ეკონომიკის სკოლის ემერიტუს პროფესორი.

26. პოლ ტომპსონი (1935), ბრიტანელი სოციოლოგი, ისტორიკოსი. ტომპსონმა დიდი წვლილი შეიტანა ე.წ. ზეპირი ისტორიის (oral history) მეთოდის პოპულარიზაციასა და განვითარებაში, რაც გულისხმობს ადამიანთა მიერ მოყოლილი ცხოვრებისეული ისტორიის ჩაწერას, შენახვას და დამუშავებას.

27. სამუელ სმაილსი (1812-1904), შოტლანდიელი რეფორმატორი, მორალისტი, მწერალი. სმაილსის პოლიტიკური ბრძოლის მიზნები იყო: თავისუფალი ვაჭრობა, საარჩევნო ხმის უფლება ყველასთვის, მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესება. მოგვიანებით, მას იმედი გაუცრუვდა სტრუქტურული პოლიტიკური რეფორმების გატარების საქმეში. სმაილსი იმ აზრამდე მივიდა, რომ რეფორმა

შეუძლებელია ინდივიდის ფსიქოლოგიის ცვლილების გარეშე. 1859 წელს, გამოსცა წიგნი "დაეხმარე საკუთარ თავს" (Self-help), რომლის ძირითადი იდეა შემდეგში მდგომარეობს - ადამიანმა თვითონ უნდა სრულყოს საკუთარი თავი.

28. პოლ გუდმანი (1911 – 1972), ამერიკელი მწერალი, პოეტი, ანარქისტი, ფსიქოთერაპევტი. 1960-იანი წლების პაციფისტური მოძრაობის მონაწილე. გეშტალტ თერაპიის ერთ-ერთი დამაარსებელი

29. ივან ილიჩი (1926 -2002), ავსტრიელი ფილოსოფოსი, თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის და ინდუსტრიული საზოგადოების კრიტიკოსი. აღსანიშნავია, მისი იდეები განათლების სფეროში. ილიჩის აზრით, სკოლადა ხელისუფლება უნდა გამიჯნულიყო ერთმანეთისგან. სანაცვლოდ, გამოდიოდა საკომუნიკაციო კულტურულ ცენტრების შექმნის და "მუტუალისტური სკოლის" იდეით.

30. მაიკლ იანგი (1915 – 2002), ბრიტანელი სოციოლოგი, აქტივისტი, პოლიტიკოსი. მის სახელს უკავშირდება ტერმინ, "მერიტოკრატიის" დამკვიდრება, წიგნით "მერიტოკრატიის აღორძინება".

31. ჰარი ალფრედ რე (1914 – 1991), ბრიტანელი პედაგოგი, სპეციალისტი განათლების სფეროში. მეორე მსოფლიო ომის დროს, ბრიტანეთის სპეციალური ოპერაციების მართვის სამსახურის წევრი.

32. დორა რასელი (1894 – 1986), ინგლისელი მწერალი, ფემინისტი, ბერტრან რასელის მეუღლე. დორა რასელი მოითხოვდა ხარისხიან განათლებას გოგონებისა და ქალებისთვის. 1927 წელს, ბერტრან რასელთან ერთად დააარსა Beacon Hill School. განათლების თაობაზე დაწერილი მისი წიგნებიდან, აღსანიშნავია - "In Defence of Children", 1932.

33. "Le Libertaire" - ფრანკოფონული ანარქისტული გაზეთი, რომელიც პირველად გამოიცა 1858 წელს, ნიუ იორკში, ამერიკაში გადასახლებული ანარქო-კომუნისტის, ჟოზეფ დეჟაკის მიერ. არა რეგულარულად იბეჭდებოდა, 1861 წლამდე. 1895 წელს, საფრანგეთში, გაზეთის ხელახლა გამოცემა ითავა ანარქისტმა სებასტიან ფორმა და 1914 წლამდე იარსება. გაზეთთან თანამშრომლობდა ლუიზ მიშელიც. 1940-50-იან წლებში კვლავ აღადგინეს. ხოლო დღეს, მის ბაზაზე არსებობს ახალი პერიოდული გამოცემა

- “Le Monde Libetraire”. იგი ანარქისტული ფედერაციის ეგიდით იბეჭდება.

34. რობერტ მიჩელსი (1876 – 1936), გერმანელი სოციოლოგი. მაქს ვებერის მოწაფე. “ელიტების თეორიის” შემქმნელი. მოგვიანებით მან გაწყვიტა კავშირი სოციალისტებთან და მემარჯვენე პოზიციაზე გადავიდა. მხარს უჭერდა იტალიურ ფაშიზმს.

35. რობერტ ოუენი (1771–1858), ინგლისელი პედაგოგი, ფილოსოფოსი, სოციალისტი. ამტკიცებდა, რომ ადამიანის ხასიათი ყალიბდება გარემო და სოციალური პირობების ზემოქმედებით. ინგლისში, ნიუ ლანაკრის ფაბრიკაში ჩატარებული მისი ექსპერიმენტი წარმატებული გამოდგა. ოუენი ზრუნავდა დაქირავებულ მუშებზე. თვლიდა რომ ამგვარი მიდგომა, დამქირავებლისთვისაც მომგებიანია. საბოლოო ჯამში, ოუენი საშიშ მეოცნებედ ჩათვალეს სამშობლოში და შვილებთან ერთად, აშშ-ში გაემგზავრა. 1815 წელს, მან შეიძინა მიწა ინდიანას შტატში და დაარსა თემი - “ახალი ჰარმონია”, რომელიც ეგალიტარული კომუნიზმის პრინციპებს ემყარებოდა. მაგრამ ადამიანების “გადაკეთების” მცდელობა, გარემო და შრომითი პირობების შეცვლის გზით, წარუმატებლად დასრულდა. ოუენმა დიდი წვლილი შეიტანა პედაგოგიკის განითარებაშიც.

36. ჰენრი ჰევლოკ ელისი (1859 – 1939), ინგლისელი ექიმი, მწერალი, პროგრესისტი, სექსოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის დამაარსებელი. ელისს ეკუთვნის 7 ტომეული ნაშრომი - “Studies in the Psychology of Sex”, რომლის გამოქვეყნებას დიდი რეზონანსი მოჰყვა ვიქტორიანული ეპოქის ინგლისში და სასამართლოში განხილვის საგნადაც იქცა. 1897 წელს, გამოქვეყნდა ელისის კვლევა ჰომოსექსუალობის შესახებ. ის სკეპტიკურად უყურებდა ჰომოსექსუალობის მკურნალობის შესაძლებლობას. უარყოფდა ჰომოსექსუალობის შეფასებას, როგორც გარყვნილების, ავადმყოფობის ან დანაშაულისა. მან ფროიდამდე შეისწავლა აუტოეროტიზმი და ნარცისიზმი.

37. ეტიენ დე ლა ბოესი (1530 – 1563), ფრანგი ჰუმანისტი, ფილოსოფოსი, მწერალი. მიშელ დე მონტენის მეგობარი. ვირგილიუსის, პლუტარქეს, ქსენოფონტის ფრანგულ ენაზე მთარგმნელი. ლა ბოესი, ტირანიის და აბსოლუტიზმის წინააღმდეგი იყო. ემხრობოდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის და არაძალადობრივი წინააღმდეგობის იდეას. სიტუაციონისტი რაულ ვანეიგემი მას თავის წინამორბედად თვლიდა.

38. “ახალი კურსი” (New Deal), ფრანკლინ დელანო რუზველტის ადმინისტრაციის მიერ, 1933 წლიდან გატარებული რეფორმები დიდი დეპრესიიდან გამოსვლის მიზნით.

39. ჯონ ვოლფენდენი (1906 – 1985), სკოლების დირექტორი და სხვადასხვა სამთავრობო კომიტეტების ხელმძღვანელი, განათლების სფეროში.

40. “პროვო”- კონტრკულტურული ახალგაზრდული მოძრაობა ნიდერლანდებში, 1960-იან წლებში. მოძრაობის დამაარსებლები იყვნენ: ჰეპენინგების მომწყობი რობერტ იასპერ გროოტფელდი და ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი როელ ვან დუინი. მათი გამოსვლებიდან, აღსანიშნავია თამბაქოს მწარმოებლების წინააღმდეგ გამართული აქციები; ასევე, ნიდერლანდების პრინცესა ბეატრიკსის დაქორწინების გაპროტესტება ვერმახტის ყოფილ ოფიცერზე, კლაუს ფონ ამსბერგზე; “პროვოს” მოთხოვნებს შორის იყო: გარემოს უფრო მეტად დამაბიძურებლების ორმაგად დაჯარიმება; სექსუალური ჯანმრთელობის ცენტრების შექმნა; სკოლებში სექსუალური განათლების სწავლების მოთხოვნა და სხვა.

41. “კაბუტერები”- 1970-იან წლებში, ჰოლანდიაში არსებული ანარ-ქისტული ჯგუფი. დასახელება მომდინარეობს ჰოლანდიური ფოლკლორის პერსონაჟიდან, სახელად კაბოტერი (გნომი). მათი მოთხოვნები და მცდელობა ძირითადად ეკოლოგიის სფეროს ეხებოდა: ნაკლები ავტომობილი, მეტი ხე, ფერმების მოწყობა. ასევე, სკვოტინგი: იკავებდნენ მიტოვებულ შენობებს და ფერმებს. ჰქონდათ მაღაზიები, ტანსაცმლის ფაბრიკები.

42. შონ შიანი (1951), ინგლისელი მწერალი. სამოგზაურო, საბავშვო; ასევე, ანარქიზმის ისტორიის შესახებ ნაშრომების ავტორი.

43. კამილო კავური (1810 – 1861), იტალიის პირველი პრემიერ მინისტრი. მან დიდი როლი ითამაშა იტალიის გაერთიანებაში. მემარჯვენე ლიბერალურ პოზიციაზე მდგარ კავურს, კავშირი ჰქონდა ზომიერ, მემარცხენე ლიბერალებთანაც, რომლებიც ბურჟუაზიის ინტერესებს წარმოადგენდნენ.

44. ჯუზეპე მაძინი (1805 – 1872), პოლიტიკოსი, მწერალი, ფილოსოფოსი. მისი აზრით, ნაციონალიზმის და ლიბერალიზმის იდეები, ღმერთის მიერ იყო მოწოდებული და ამიტომ ყველა ხალხის განუყოფელ უფლებას წარმოადგენდა.

45. ივანე მრისხანემ დაიპყრო ყაზანის და ასტრახანის სახანო, რის

შემდეგაც რუსეთს გზა გაეხსნა ციმბირის სახანომდე. დასავლეთ ციმბირის ტერიტორიის შეერთებას მოსკოვის სამთავროსთან სათავე დაუდო ერმაკმა, ივანე მრისხანეს მმართველობის დროს, მე-16 საუკუნის ბოლოს. ხოლო, წყნარ ოკეანემდე გასასვლელი რუსეთმა მოიპოვა შემდეგი საუკუნის შუა ხანებში.

46. მოვლენის ერთ ნაწილზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნის გავრცელება მის მეორე ნაწილზე.

47. ზელანდიის საგრაფოს ტერიტორია თითქმის შეესაბამებოდა დღევანდელი ზელანდიის პროვინციას, რომელიც ნიდერლანდე-ბის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

48. "მშვიდობის და თავისუფლების ლიგა" (League of Peace and Freedom), შეიქმნა საფრანგეთ-პრუსიის ომის თავიდან აცილების მიზნით, რაც ვერ განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ ლუქსემბურგის კრიზისი მშვიდობიანად გადაიჭრა. ლიგა დაიშალა და მის მაგივრად დაარსდა - "ერთა შორის სააბიტრაჟო ლიგა"(League of arbitration between of Nations), რომელიც ჰააგის საარბიტრაჟოსასამართლოსწინამორბედადშეიძლებაჩაითვალოს. "მშვიდობის და თავისუფლების ლიგის" საორგანიზაციო კომიტეტში შედიოდნენ ჯონ სტიუარტ მილი, ელიზე რეკლიუ. ბაკუნინი დიდ როლს თამაშობდა ლიგის მუშაობაში. თუმცა, მეორე კონგრესზე, მისი რეზოლუცია კლასობრივი თანასწორობის შესახებ არ გაიზიარეს, რის შემდეგაც ბაკუნინმა დატოვა ლიგა.

49. ნიკოლაი მურავიოვი (1809 – 1881), აღმოსავლეთ ციმბირის გუბერნატორი. პოსტზე დანიშვნის შემდეგ, მკაცრად აკონტროლებდა ბიუჯეტს. სკოლებში შემოიღო რუსული ენის სწავლება. მიზნად დაისახა, მდინარე ამურის ჩრდილოეთ ტერიტორიის დასახლება. ცდილობდა ვაჭრობის განვითარებისთვის ხელის შეწყობას.

50. კამილო ბერნერი (1897 – 1937), ანარქისტი, ანტიფაშისტი, მწერალი, ფილოსოფოსი. 1936 წლის პუტჩის და ფრანკოს ხელისუფლებაში მოსვლის მცდელობის შემდეგ, ჩამოაყალიბა მებრძოლთა ბრიგადა, კარლო როსეტისა და მატიო ანგელონისთან ერთად. კამილო ბერნერი ამტკიცებდა, რომ ფაშიზმთან დასაპირისპირებლად აუცილებელი იყო კაპიტალიზმთან ბრძოლა და არ უნდა მომხდარიყო სოციალური რევოლუციის პრინციპიდან გადახვევა, რაც ჩიხში შეიყვანდა ანტიფაშისტურ მოძრაობას. მისთვის უპირველესი მიზანი იყო სოციალური

რევოლუცია. ეწინააღმდეგებოდა საბრძოლო ბრიგადების მილიტარიზაციას, რადგან ეს სახელმწიფოს გამარჯვება იქნებოდა. ემხრობოდა პარტიზანულ ბრძოლას. მან ღია წერილით გააკრიტიკა ფრედერიკა მონტსენი და ანარქისტების მოსვლა ხელისუფლებაში. ბერნერი ასევე, დაუპირისპირდა კომუნისტების პოლიტიკას, მიხვდა რომ მათი მიზანი იყო მუშათა მოძრაობის გაკონტროლება, CNT-ის წევრების გადაბირება. მისი მკვლელობის დღეს, ესპანეთის კომუნისტური პარტიის წევრებმა, სავარაუდოდ, სტალინის ბრძანებით, ბერნერი და მისი თანამებრძოლი ფრანჩესკო ბარბიერი სახლიდან გაიყვანეს. მეორე დღეს იპოვეს მათი ჩაცხრილული გვამები.

51. ელიზე რეკლიუ (1830 – 1905), ფრანგი ანარქისტი, ცნობილი გეოგრაფი, მწერალი, სოციოლოგი, პოლიტიკური მოღვაწე. ელიზე რეკლიუ იყო I ინტერნაციონალის წევრი და ემხრობოდა ბაკუნინს. პარიზის კომუნის დროს იბრძოდა ეროვნულ გვარდიაში, რისთვისაც ვერსალის მთავრობამ სამუდამოდ გააძევა საფრანგეთიდან. აღსანიშნავია, რეკლიუს 19 ტომიანი ნაშრომი, თანდართული რუკებით - "ადამიანი და დედამიწა", რომელზეც მკვლევარი 20 წლის განმავლობაში მუშაობდა. რეკლიუ დედამიწის ისტორიას განიხილავს მისი მახასიათებლების ერთობლიობით, როგორიცაა გეოგრაფია, ბუნება, კლიმატი, ეთნოგრაფია, რეგიონების მაცხოვრებებლთა შესახებ მონაცემები. კავკასიის შესახებ ინფორმაცია რეკლიუს მიაწოდა იონა მეუნარგიამ.

52. პოლ ვიდალ დე ლა ბლაში (1845 – 1918), ფრანგული გეოგრაფიული სკოლის დამაარსებელი. გეოგრაფიის პროფესორი სორბონას უნივერსიტეტში. ვიდალის აზრით, ადამიანის როლი გეოგრაფიაში არ იყო პასიური, რადგან მას გარკვეულწილად შეუძლია გარემოზე ზემოქმედება. აღსანიშნავია მისი ნაშრომი - "საფრანგეთის გეოგრაფიის სურათი" (1903).

53. ფრანჩესცო პი ი მარგალი (1824 – 1901), ესპანელი პოლიტიკოსი, კატალონიელი ფედერალისტი, ისტორიკოსი, ანარქო-კომუნიზმის მომხრე. ხანმოკლე დროის განმავლობაში იყო პირველი ესპანური რესპუბლიკის პრეზიდენტი 1873 წელს. მან ესპანურად თარგმნა პრუდონის ნაშრომები, რამაც გავლენა მოახდინა ესპანური ანარქიზმის განვითარებაზე.

54. ხოაკინ კოსტა (1846 – 1911), ესპანელი პოლიტიკოსი, ადვოკატი, ეკონომისტი, ისტორიკოსი. ხოაკინ კოსტა იყო ინტელექტუალური მიმდინარეობის, ე.წ. "რეგენერაციონიზმის" წარმომადგენელი.

რეგენერაციონისტები, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, განიხილავდნენ ესპანეთის დეკადანსის მიზეზებს, რომელთა ძიებისას იყენებდნენ ობიექტურ, დასაბუთებულ, სამეცნიერო კვლევას და არა, სუბიექტურს და ლიტერატურულს.

55. ტომას ჰოლტერმანი (1942), ჰოლანდიელი ადვოკატი. მისი კვლევის საგანია, ანარქიზმის თეორიისა და პრაქტიკის შესაძლო გავლენა იურიდიულ სფეროზე. ჰოლტერმანზე დიდი გავლენა მოახდინა კლარა მეიერ ვიხმანის (1885 – 1922), ჰოლანდიელი იურისტის, ანარქო-სინდიკალისტის ნაშრომებმა. ჰოლტერმანი, 1974 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ჰოლანდიურ ანარქისიტულ ჟურნალ "De AS" ("ანარქისტული სოციალიზმი").

56. ამარტია სენი (1933), ინდოელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი. ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში (1988), მკვლევარი კეთილდღეობის ეკონომიკის, სიღარიბის განმაპირობებელი მექანიზმების საკითხებში. 1943 წელს, ბავშვობისას, ბენგალის შიმშილობის მსხვერპლი გახდა. ამით აიხსნება მისი დაინტერესება შიმშილობის პრობლემით. 1981 წელს გამოაქვეყნა წიგნი - Poverty and Famines: An Essay on Entitlement and Deprivation, რომელშიც ამტკიცებს რომ შიმშილობას იწვევს არა მხოლოდ საკვების ნაკლებობა, არამედ მისი უთანასწოროდ გადანაწილების მექანიზმები.

57. ჯეკ სმიტი (1929- 2009), ურბანული სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. ურბანული სოფლის მეურნეობა ნიშნავს ქალაქის ფარგლებს შიგნით ან მასთან ახლოს, თავისუფალი მიწის ნაკვეთების დამუშავებას. შედეგად, ნაკლები ჯდება ტრანსპორტირება, შენახვა. სწრაფად ხდება წარმოებული პროდუქტის მიწოდება.

58. რეიჩელ კარსონი (1907-1964), ამერიკელი ბიოლოგი, მწერალი. დიდი წვლილი შეიტანა ეკოლოგიური მოძრაობების განვითარებაში. მისი წიგნი "Silent spring" ეხება პესტიციდების მავნე ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე.

59. ალან ბრაიან კარტერი (1952), ბრიტანელი ფილოსოფოსი. გლაზგოს უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი. მკვლევარი გარემოს დაცვის საკითხებში. ლონდონში არსებული "ანარქისტული კვლევის ცენტრის" (Anarchist Research Group) წევრი და ერთ-ერთი დამფუძნებელი.

კოლინ ვარდი

ანარქიზმი

ძალიან მოკლე შესავალი

კოლინ ვარდი (1924 – 2010) - ბრიტანელი მწერალი, არქიტექტორი და თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანარქისტი მოაზროვნეა. კ. ვარდი, მეორე მსოფლიო ომის დროს გახდა ანარქისტი. გამოწერილი ჰქონდა ანარქისტული პერიოდული გამოცემა War Commentary. ომის შემდეგ, ბრიტანული ანარქისტული გაზეთის Freedom-ის რედაქტორი იყო. ხოლო, 1961 წლიდან დააარსა ჟურნალი - Anarchy. საყოველთაო აღიარება დაიმსახურეს მისმა ნაშრომებმა განათლების, არქიტექტურის, ქალაქ დაგეგმარების დარგში. აღსანიშნავია, კოლინ ვარდის წიგნი- The Child in The City, ბავშვების და ურბანული გარემოს ურთიერთობის შესახებ. 1995-96 წლებში, კოლინ ვარდი, ლონდონის ეკონომიკის და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის სოციალური პოლიტიკის პროფესორი იყო.

''ანარქიზმი - ძალიან მოკლე შესავალი'', ერთგვარი, ინფორმაციული გზამკვლევია ანარქისტი ავტორების შესახებ. იგი ანარქისტული მიმდინარეობების და ისტორიის უმოკლესი მიმოხილვაა.

ანარქისტული ბიბლიოთეკა
www.a-library.org